შოთა რუსთაველი

ვეფხის ტყაოსანი

თანამედროვე ქართულით მოთხრობილი

ᲖᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ

ᲕᲔᲞᲮᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲡᲐᲜᲘ

თანამედროვე ქართულით მოთხრობილი

გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი, 2022

მთხროგელი
ლილი კოჭლამაზაშვილი

რედაქტორი
მანანა გორგიშვილი

დამკაბადონებელი
ინგა დვალიშვილი

ISBN 978-9941-503-22-1

მკითხველისათვის

ვუძღვნი ჩემი მეგობრის

ვიოლა ვაშაკიძის ნათელ ხსოვნას

გასაკვირი არაა, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ თხრობას, რომელსაც უკვდავი შოთა რუსთაველი ძველი ქართული სიტყვებით და ულამაზესი ლექსთა წყობით გადმოგვცემს, მეც ასევე დავიწყე.

ჩემი აზრით, პოემის დასაწყისისა და დასასრულის თქვენთვის თანამედროვე ქართულით წარმოდგენა ძალიან გააუბრალოებდა მასში ჩადებულ უდიდეს სიბრძნეს და სწავლებას, რაც დიდებულ შოთა რუსთაველს ჩვენთვის აქვს მარგალიტებად ასხმული და წარმოდგენილი.

განმარტებისათვის კი, იმ ძველი სიტყვების ახსნა ჩამოვიტანე სქოლიოებში. დანარჩენ ამბავს, რომელსაც წიგნის (1957წ. მეცნ. აკადემიის გამოცემა) მიხედვით და თავებად მოგითხრობთ უკვე თხზულების სახით, შევეცადე ზომიერად და თანაც ტექსტის მიხედვით გადმომეცა თქვენთვის ყველაფერი ისე, როგორც შოთა რუსთაველს აქვს დაწერილი.

ზოგიერთი პატარა თავი თვითნებურად გავაერთიანე და თხრობისას მთლიანობაში წარმოგიდგინეთ. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე შოთა რუსთაველის აფორიზმებს, რომელიც მუქ ფერად მაქვს ამობეჭდილი, რომ კიდევ ერთხელ გაგხსენებოდათ ახალგაზრდობისას ნასწავლი ზოგიერთი სიბრძნე.

ამ პატარა წიგნით მე მგონი დაინტერესდება ყველა, მათ შორის სკოლის ახალგაზრდობა, რომელთაც უჭირთ ძველი ქართულით „ვეფხის ტყაოსნის“ წაკითხვა და გამორიცხული არაა, რომ ეს წიგნი გახდეს მისი სრული ტექსტის წაკითხვის დაინტერესების საფუძველიც.

უღრმესი პატივისცემით ლილი კოჭლამაზაშვილი

დასაწყისი

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა[1] მის მიერითა.

ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ საქმე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიმდე გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება მუნ[2] თანა წასატანისა.

ვის ჰშვენის, ლომსა, - ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა[3],
— მეფისა მზის თამარისა, ღაწვ -[4] ბადახშ[5], თმა- გიშერისა, -
მას, არა ვიცი. შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შე, რისა,
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა[6] მირთმა[7] ხამს[8] მართ, მი. შერისა[9].

თამარს ვაქებდი მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ ავად გამორჩეული.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,

---

[1] სახითა - მსგავსი, შესადარი
[2] მუნ - იქ
[3] შიმშერისა - ხმალი
[4] ღაწვი - ლოყა
[5] ბადახში - ლალი
[6] ყანდი - შაქარყინული
[7] მირთმა -მირთმევა
[8] ხამს - უნდა, საჭიროა
[9] შერი - რჩეული

ბროლ-ბადახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა,
გატეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, -
ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება;
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება,
მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება.

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი;
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!
დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულს ლახვარ-სობილი ,
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

მე, რუსთველი ხელობითა[1], ვიქმ საქმესა ამა დარი[2]:
ვის ჰმორჩილებს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი,
დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები[3],
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან ნები.

თვალთა, მისგან უნათლოთა[4], ენატრამცა ახლად ჩენა;
აჰა, გული გამიჯნურდა, მიჰხვდომია ველთა რბენა!
მიაჯეთ [5] ვინ, ხორცთა დამწვა კმა არს[6], მისცეს სულთა ლხენა,
სამთა ფერთა[7] საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა.

---

[1] რუსთველი ხელობითა - რუსთავი მაქვს სახელად.
[2] ამა დარი - ამიტომ
[3] საჭოჭმანები - მოსაწონი
[4] უნათლოთა - უფრო ნათელმა
[5] მიაჯეთ - ევედრეთ
[6] კმა არს - საკმარისია
[7] სამთა ფერთა - სამი მეგობრის

რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს;
მუშა მიწყივ[1] მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს.

შაირობა[2] პირველადვე სირძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
კვლა აქაცა ეამების , ვინცა ისმენს კაცი ვარგი,
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი.

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მობურთალსა - მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრეთვე მელექსესა - ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა,
რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.

მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ვეღარ მიჰხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა - მცირობა,
ხელ - მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა.

მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი;
თავი ყოლა[3] ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
განაღა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს[4] ვითა ჯორი.

მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა,-
ვამსგავსე მშვილდი ბედითი[5] ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად[6] აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა.

---

[1] მიწყივ - მარად, მუდამ
[2] შაირობა - ლექსის ფორმა
[3] ყოლა - ყოვლად, სრულად
[4] უცილობლობს - ჯიუტობს
[5] ბედითი - უხეირო, უვარგისი
[6] ხელად აქვს - შეუძლია

მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად,
სააშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად[1];
ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ[2] თქვან ნათელად.
მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

ხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმობდეს[3],
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს[4],
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს.

ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია:
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია[5]!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია[6];
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.

ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა[7] ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო[8], მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თმობამცა[9] ჰქონდა მრავალთა წყენათა.

მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან,
ენა დაშვრების[10], მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან[11];
ვთქვენ ხელობანი[12] ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან:
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ[13], შორით ბნდებიან.

---

[1] სათრეველად - გასახუმრებლად
[2] ოდენ - მხოლოდ
[3] აბრკმობდეს - აბრკოლებდეს
[4] აშიკობდეს - ეტრფიალებოდეს
[5] გამიქიქია - შემირცხვენია
[6] ჯიქია - ლეოპარდი, ვეფხვისებრი ცხოველი
[7] გვართა - ძნელი რამ
[8] საზეო - ცად ამყვანი, აღმაფრენი
[9] თმობამცა - გაძლება მოთმინება
[10] დაშვრების - დაიღლება
[11] დავალდებიან - დაიქანცებიან
[12] ხელობანი - გადარეულობა
[13] სიძვენ - გარყვნილობენ

მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,
მით რომე შმაგობს მისისა ვერ - მიხვდომისა წყენითა;
ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე , დაშვრების აღმაფრენითა,
კვლა ზოგთა ქვე უც[1] ბუნება კეკლუცთა ზედან ფრფენითა[2].

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა[3],
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა ,
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი,
ნუვინ გაჰრევთ ერთმანეთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!

ხამს მიჯნური ხანიერი[4], არ მეძავი[5], ბილწი[6], მრუში[7],
რა მოჰშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში[8],
გული ერთსა დააჯეროს, კუშტი[9] მიჰხვდეს, თუნდაც ქუში[10];
მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში.

ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა;
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა,
ესე მღერასა ბედითსა[11] ჰგავს ვაჟთა , ყმაწვილობასა
კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა[12] თმობასა[13].

---

[1] ქვე უც - აქვს
[2] ფრფენა-ტრფიალება
[3] მოცალეობა - თავისუფალი დროის ქონება
[4] ხანიერი - არ მერყევი, დიდხანს ერთზე მდგომი
[5] არ მეძავი - გაურყვნელი
[6] ბილწი - ბინძური, უწმინდური
[7] მრუში - გარყვნილი მამაკაცი
[8] უში - ოხვრა
[9] კუშტი - მკაცრი
[10] ქუში - მწყრალი
[11] ბედითსა- ტყუილს, უბრალოს
[12] სოფლისა -წუთისოფლის
[13] თმობასა- გაძლებას

არს პირველი მიჯნურობა არ - დაჩენა ჭირთა, მალვა,
თავის - წინა იგონებდეს, ნიადაგმცა[1], ჰქონდა ხალვა[2],
შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა[3], შორით ალვა[4],
დათმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.

ხამს, თავისსა ხვაშიადსა[5] არვისთანა ამჟღავნებდეს,
არ ბედითად[6] „ჰაის“ ზმიდეს[7], მოყვარესა აყივნებდეს[8],
არსით უჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს.

მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამჟღავნოს?
ამის მეტი რამცა ირგო: მას ავნოს და თვითცა ივნოს,
რათამცაღა ასახელა, რა სიტყვითა მოაყივნოს?
რა ჰგავა, თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკივნოს!

მიკვირს, კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვარულსა;
ვინცა უყვარს, რად აყივნებს მისთვის მკვდარსა, მისთვის წყლულსა?!
თუ არ უყვარს, რად არა სძულს? რად აყივნებს, რაცა სძულსა?!
ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.

თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლების;
სიარული, მარტოობა ჰშვენის, გაჭრად[9] დაეთვლების;
იგონებდეს, მისგან კიდე ნურაოდეს მოეცლების,
არ დააჩნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცსა ეახლების.

---

[1] ნიადაგმცა - მუდამ, ყოველთვის
[2] ხალვა- მარტოობა
[3] დაგვა- ძლიერი ცეცხლის მოკიდება
[4] ალვა -ალის მოკიდება
[5] ხვაშიადი -საიდუმლო
[6] ბედითად - ტყუილად, უბრალოდ
[7] ზმიდეს -ქმნიდეს
[8] აყივნებდეს -არცხვენდეს
[9] გაჭრად - ველად გავარდნა

არაბთა მეფის - როსტევანის ამბავი

არაბეთში მეფობდა ღმერთისგან ბედნიერი, ახოვანი, თავმდაბალი, უხვი, ლაშქარმრავალი, მოსამართლე, გამგები, შეუდარებელი მეომარი და ენაწყლიანი მოსაუბრე, მეფე - როსტევანი. მეფეს მხოლოდ ერთი, მზის სადარი ქალიშვილი, თინათინი ჰყავდა, რომლის სილამაზე მნახველებს აოცებდა. თინათინი როცა წამოიზარდა, ისე დამშვენდა, რომ მზეს შეეჯიბრებოდა სილამაზეში.

ერთხელ, მეფე როსტევანმა მოიხმო დიდებულები და მოახსენა, რომ იგი უკვე დაბერდა, დღეს თუ არა ხვალ მოკვდება და სურვილი აქვს, ხელმწიფედ არაბეთის ტახტზე დასვას თავისი ქალიშვილი თინათინი. დიდებულებმა მეფეს ჰკადრეს, რომ სიბერე მისგან ძალიან შორსაა, მიმცხრალ (მილევად) მთვარეს ვარსკვლავები ვერ გაუბედავენ მტრობას, თანაც, თქვენი ვარდი ჯერ დაუმჭკნარია, მაგრამ რადგან თქვენ გულს ასე სურს, მიეცით მეფობა თქვენს მზის სადარ ქალიშვილს თინათინს. მართალია იგი ქალია, მაგრამ ღვთისგანაა გაჩენილი და იცის მეფობა, თანაც *„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.*

როსტევან მეფეს სახელმწიფოში ჰყავდა თავისი გაზრდილი, სამეფოს მხედართმთავრის ვაჟიშვილი ავთანდილი, რომელიც ჯერ კიდევ უწვერული, მაგრამ ულამაზესი ვაჟკაცი იყო. მას თინათინის სიყვარული სწვავდა, მაგრამ არ ამჟღავნებდა. მეფემ როდესაც ბრძანა თინათინის გამეფება, ავთანდილს გულში ესიამოვნა და გაიფიქრა, რომ თავისი ბროლ-ფიქალისა და მზის სადარის ნახვას ხშირად შესძლებდა და ამით იპოვიდა თავისი სიყვარულის წამალს.

დიდმა მბრძანებელმა როსტევანმა თინათინის მეფედ კურთხევის დღეს მოიხმო არაბეთის დიდებულები, ყმები და მრავალათასიანი მხედრობა, მომავალი ხელმწიფის დასალოცად. მოიტანეს თინათინისთვის დასაჯდომი სამეფო ტახტი, სადაც იგი მეფემ თვითონ დასვა, თავისი ხელით დაადგა სამეფო გვირგვინი, ხელთ მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელით. მეფემ

და მისმა მხედრობამ თინათინი დალოცეს, დაჰკრეს ბუკსა და ნაღარას. შეიქმნა დიდი ზეიმი. თინათინი ატირდა, დახარა თავისი ყორნისფერი წამწამები, მას თავი ღირსად არ მიაჩნდა მამის ტახტის დასაკავებლად. როსტევანმა ქალიშვილს უბრძანა: ნუ სტირი, ჩემო ასულო, დღეს შენ ხარ არაბეთის მეფე, ჩემგან ხელმწიფედ ხარ ხმობილი, ეს სამეფო უკვე შენზეა მინდობილი, ბრძნულად და წყნარად მართე შენი სამეფო, თანაც ***„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“***, ამიტომ, შენი სამეფოს ყველა ადამიანს წყალობას ნუ მოაკლებ და უხვად გაეცი საბოძვარი, რადგან:

„მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა რგულია;
უხვსა მორჩილებს ყოველი, იგიცა ვინ ორგულია;
...რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია!“

მამა მეფის ამ სწავლებას თინათინი ყველაფერს გულისყურით ისმენდა. შემდეგ თინათინმა მოიხმო გამზრდელი და უბრძანა, ყველა დაბეჭდილი საგანძური გაეხსნათ და არავინ დაეტოვებინათ დასაჩუქრების გარეშე.

ერთი დღის ზეიმის შემდეგ მეფე როსტევანმა მოიწყინა. ავთანდილმა და ერთ-ერთმა ვეზირმა სოკრატმა შენიშნეს მეფის მოწყენილობა და გადაწყვიტეს ეკითხათ ამის მიზეზი და, ამავე დროს, მეფისათვის, გასამხიარულებლად, რაიმე სალაღობო შეეთავაზებინათ. ავსებული ჭიქებით მივიდნენ მეფესთან, წინ დაუსხდნენ მუხლმოყრით და ღიმილიანი სახით ჰკითხეს მიზეზი: რატომ მოიწყინეთ, მეფეო, ნუთუ იმისთვის, რომ თქვენს სიმდიდრეს ასე არიგებს თქვენი ქალიშვილი? მეფემ ღიმილით შეხედა მათ და უპასუხა: რატომ მკადრეთ ეს სიტყვა, ვის გაუგია ჩემი სიძუნწე, ეგ კი არ მაწუხებს, არამედ ის მწყინს, რომ სიყმაწვილე წავიდა, სიბერე მახლავს და კაცი არ არის, რომ ჩემგან ესწავლა სიმამაცე, ერთი სათუთად გაზრდილი ქალი მყავს, ღმერთმა არ მომცა ძე, რომ მე დამმსგავსებოდა მშვილდოსნობასა და ბურთაობაში, თუმცა ჩემი გაზრდილი ავთანდილი ცოტათი მაინც მგავსო... ავთანდილს გაეღიმა, მეფემ ჰკითხა ღიმილის მიზეზი.

ავთანდილმა მოახსენა, რომ გეტყვით. ოღონდ, რასაც გკადრებთ არ გეწყინოთ და არ განმირისხდეთო. მეფემ თინათინის მზე დაიფიცა, რომ არ გაუწყრებოდა.

ავთანდილმა მეფეს ჰკადრა: მოდით ნადირობის დროს შევეჯიბროთ მშვილდოსნობაშიო. გადაწყვიტეს და დანიძლავდნენ, ვინც წააგებდა, სამი დღე თავშიშველს უნდა ევლო. მეორე დღეს თორმეტ-თორმეტი მონა წაიყვანეს ისრების მიმტანად, ასევე სროლისას აცდენილი ისრებისა და დახოცილი ნადავლის დასათვლელად.

როსტევან მეფისა და ავთანდილის ნადირობა და უცხო მოყმის ნახვა

ერეკებს წინასწარ უბრძანეს ნადირთა მორეკვა. როსტევან მეფე და ავთანდილი სანადიროდ გამოვიდნენ. მხედრობას მთელი არემარე დაეფარა. დიდი ზეიმი იყო. მეფემ ბრძანება გასცა, რომ მონებმა სწრაფად უნდა მიაწოდონ მონადირეებს ისრები და თან ცალ-ცალკე დაითვალონ აცდენილი ისრებისა და დახოცილი ცხოველების რიცხვი. მონები სწრაფად აწვდიდნენ ისრებს და ცხოველებიც ვერ ასწრებდნენ გაქცევას. უამრავი ნადირი დახოცეს და ამით ცათა ღმერთი განარისხეს. მეფე და ავთანდილი კი სიცილით ეუბნებოდნენ ერთმანეთს, „მე გაჯობეო.“ ბოლოს, მონებმა როცა დაითვალეს დახოცილი ნადირებისა და აცდენილი ისრების რიცხვი, აღმოჩნდა, რომ ავთანდილს მეფესთან შედარებით ოცჯერ მეტი დაუხოცავს და არც ერთი ისარი არ ასცდენოდა ნადირს. მეფეს როცა მოწიწებით მოახსენეს შედეგი, მას ძალიან გაუხარდა, რომ მისმა გაზრდილმა მას მშვილდოსნობაში აჯობა. შემდეგ, ორივემ მონებთან ერთად ტყის პირას ჩრდილში გადაინაცვლეს და მოილხინეს.

ამ დროს მათ შეამჩნიეს წყლის პირას მჯდომი ვიღაც ლომივით ვაჟკაცი, რომელსაც ერთ ხელში ეკავა იქვე მდგომი შავი ცხენის სადავეები, მეორეში - მკლავზე უმსხვილესი ნაჭედი მათრახი, ცხენის ლაგამ-აბჯარ-უნაგირი კი მარგალიტებით იყო მოჭედილი. მას ტანზე ეცვა ვეფხის ტყავის კაბა და ვეფხის ტყავისვე ქუდი ეხურა. მასთან გასასაუბრებლად მონა გააგზავნეს. ის უცხო მოყმე თავჩაქინდრული, გულმდუღარედ ტიროდა და ცრემლები ბროლის წვიმასავით სდიოდა. მონა დიდხანს გაკვირვებით უყურებდა, მერე მეფის ბრძანება გადასცა, რომ ის იბარებდა, მაგრამ ვერაფერი შეასმინა. დაბრუნებულმა მონამ როცა ეს მოახსენა მეფეს, იგი ძალიან გაწყრა და თორმეტ მონას უბრძანა ხელში აბჯარი აეღოთ, მისულიყვნენ და მოეყვანათ იქ მჯდომი კაცი. როცა მონები აბჯართა ჟღარუნით მიუახლოვდნენ მას შესაპყრობად, მხოლოდ მაშინ გამოერკვა, „ვა მეო“-თქვა, ცრემლი მოიწმინდა, ხმალი მოიმარჯვა, ცხენს მამაცუ-

რად შემოახტა და მონები დახოცა. მეფე გაწყრა, გაგულისდა და ლაშქარი დაადევნა, მაგრამ მათაც იგივე ბედი ეწიათ. მაშინ, მეფე და ავთანდილი ცხენებზე შესხდნენ და იმ გაქცეულ ყმას დაედევნენ. მან რომ დაინახა მეფე მოსდევდა, თავის ცხენს მათრახი დაჰკრა და ისე სწრაფად გაჰქრა თვალთხედვიდან, რომ თითქოს ქვესკნელში ჩაძვრა, ან ზეცად აფრინდა.

მეფე მეტად სევდიანი დაბრუნდა. მოგვიანებით, როცა თინათინი მამის სანახავად მივიდა, მან უკვე წინასწარ გაიგო იმ შემთხვევის ამბავი, რაც მათ ნადირობის შემდეგ შეემთხვათ. თინათინმა მამას ჰკადრა, რომ ასე მოწყენილობას სჯობს, რომ *„კაცმა საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს“.* მეფემ მიუგო: - როგორც ეშმაკი, ისე დამეკარგა, არც კი ვიცი, ცხადი იყო თუ მომეჩვენაო, მან ლაშქარი დამიხოცა, სისხლი ადინა ღვარად და ისე გაქრა, ხორციელ კაცად არ ითქმის. ალბათ, ღმერთს მოვძულდიო. თინათინმა მამას ჰკადრა, რომ ღმერთს ან ბედს ნუ ემდური, გირჩევ, რადგან მეფე ხარ, ყველგან გააგზავნე კაცი, რომელიც შეიტყობს იმ ყმის ამბავს და გაიგებს, ის ყმა ადამიანის ნაშობი იყო თუ უშობელიო.

თინათინის რჩევით, როსტევანმა ქვეყნიერების ოთხივე კუთხით გააგზავნა კაცები იმ ყმის მოსაძებნად, ისინი მას ერთი წლის განმავლობაში ეძებდნენ, მაგრამ ვერსად ნახეს და დამწუხრებულები დაბრუნდნენ.

თინათინმა ავთანდილი გააგზავნა იმ ყმის მოსაძებნად და ავთანდილის წერილი თავის ქვეშევრდომებისადმი

ავთანდილი პერანგის ამარა იჯდა საწოლზე, ჩანგი ეპყრა ხელთ და მღეროდა, როცა შემოვიდა თინათინის მონა ზანგი და მოახსენა, რომ ალვის ტანა და მთვარის მსგავსი თავისთან უხმობდა. ავთანდილს ესიამოვნა სანატრელი ქალის მიწვევა, სწრაფად გადაიცვა ტანზე და მივიდა მასთან, ვისთვისაც ცრემლი მრავალჯერ დაუღვრია. თინათინის მთვარესავით სახეს ჩრდილი გადაჰფენოდა. თინათინმა უთხრა: - რისი თქმაც მინდა, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ჩემი გასაჭირი აუცილებლად უნდა გაგანდო. თქვენი ნადირობისას მტირალი ყმის ნახვის ამბავი გონებიდან არ ამომდის, გეხვეწები, წადი, კიდით-კიდემდე ეძებე, მოძებნე, რომ გავიგოთ ვინ იყო და რა აწუხებდა, ასე რომ ტიროდაო... ვიცი, რომ გიყვარვარ და შენს თვალებს ჩემს გამო ბევრი ცრემლი დაუღვრია, ამიტომ ჩემი სამსახური ორმაგად გმართებს. პირველი ის, რომ სამეფოში პირველი ხარ და არავინაა შენი სწორი, მეორე - შენ ჩემი მიჯნური ხარ, ამიტომ წადი, ის მოყმე მოძებნე და შენი ჩემდამი სიყვარული ამით უფრო გაამყარე, ***„მერე მოდი, ლომო, მზესა შეგეყრები, შემეყარე“***. სამი წლის განმავლობაში ეძებე ის ყმა, თუ იპოვნი, მოდი გამარჯვებული, თუ არა, მაშინ დავიჯერებ, რომ თურმე უჩინარი იყო და არა ადამიანი, ამის შემდეგ მოდი და ***„კოკობი და დაუფრჭვნელი ვარდი დაგხვდე დაუჭკნარი“***, და ვფიცავ, შენს გარდა სხვა ქმარი არ მინდაო და ერთმანეთს შეჰფიცეს სიყვარული.

ავთანდილი წამოვიდა, მაგრამ მისი გული თინათინთან დარჩა. მეორე დღეს ავთანდილმა მეფესთან ეჯიბი (მეკარე) გაგზავნა, რომ მისი ნახვა უნდოდა. მივიდა და მოახსენა, რომ გადაწყვიტა ქვეყანა მოიაროს, რათა თინათინის ხელმწიფობა უფრო განამტკიცოს, მორჩილნი გაახაროს და ურჩნი აატიროს. თვალცრემლიანმა მეფემ ავთანდილი გადაკოცნა, როგორც შვილი და გზა დაულოცა. ავთანდილმა ოცი დღე იარა და მიადგა არაბეთის იმ ქალაქს, სადაც მისი გაზრდილი და თანაშეზრდილი შერმადი-

ნი იყო ვეზირად. მან არ იცოდა თუ რა ცეცხლი სწვავდა ავთანდილს. ეს უკანასკნელი კი შერმადინს გამოუტყდა თინათინის სიყვარულში და უამბო, რომ ახლა მისი დავალებითაა წამოსული უცხო ყმის მოსაძებნად და ისიც უამბო, რაც მეფესა და მას შეემთხვათ ნადირობის დროს და რომ თინათინმა მის მოსაძებნად მისცა სამი წლის ვადა.

ამის მერე ავთანდილმა თავის ვეზირს ჩააბარა სამეფო მოსავლელად და თან დაუბარა, სამ წელში თუ ვერ დავბრუნდე, მიგლოვეთ, მიტირეთ და მაშინ აცნობეთ მეფეს ჩემი სიკვდილი, ჩემი წილი ქონება კი ღარიბებს მიეცითო. წასვლის წინ ავთანდილმა ასევე წერილი დაუტოვა თავის მხედრობას, გამზრდელებს და გაზრდილებს, სადაც ის წერდა, ცოტა ხნით გადაწყვიტა, მარტო გაატაროს გარკვეული დრო და ემუდარებოდა, რომ სამეფო დაეხვედრებინათ მტრისაგან დაულეწელი. თავის ნაცვლად ტოვებს შერმადინს, მას დაემორჩილეთ, ვითომ ის ავთანდილია და თუ მე დრომდე არ მოვედი, მაშინ მიგლოვეთო. ავთანდილმა ღარიბული ტანსაცმელი ჩაიცვა და წავიდა.

შერმადინმა ქვეშევრდომებს წაუკითხა ავთანდილის წერილი, რამაც ყველას გული დასწყვიტა, მაგრამ ვისთვის უნდა დაეტოვებინა სამეფო თუ არა შენთვისო და ყველამ თაყვანი სცა შერმადინს.

ავთანდილის წასვლა ყმის საძებნელად და გამოქვაბულში ასმათისადმი ნაამბობი

ავთანდილმა არაბეთის საზღვარი გადაიარა, უამრავი სხვა ქვეყნებიც მოიარა, მაგრამ ვერსად იპოვა ის უცხო მოყმე, რომელსაც ეძებდა. მოხვდა ისეთ ქვეყანაშიც, სადაც გზად ერთი კაციც კი არ შეხვედრია, რომ რამე ეკითხა. ამასობაში წელიწადი და სამი თვე გავიდა. ამ ხნის მანძილზე თინათინზე ფიქრი გონებიდან არ შორდებოდა და მისი საყვარელი სახე სულ თვალწინ ედგა.

ერთგან მაღალ, დიდ მთას მიადგა, საიდანაც ჩანდა მინდორი, რომელიც შვიდი დღის გასავლელი იქნებოდა. მთის ძირას წყალი იდგა, ხიდი არსად არ ჩანდა, წყალს კი ორივე მხრიდან ნაპირი შეეკრა. ერთი პირობა იფიქრა უკან დაბრუნება, მაგრამ თინათინის სახე წარმოუდგა და გზა განაგრძო. ერთი თვის განმავლობაში გზად არავინ შეხვედრია მხეცების მეტი. ერთ ადგილას შეჩერდა, ჭამა მოუნდა, ისრით განგმირა ცხოველი, ცხენი საბალახოდ გაუშვა, თითონ კი მწვადს წვავდა. უცებ მისკენ მომავალი ექვსი ცხენოსანი შენიშნა, იფიქრა მეკობრეები ხომ არ არიანო, მაგრამ დაინახა, რომ ორ წვერიან კაცს ერთი უწვერული ყმაწვილი მოჰყავდა, რომელიც თავში იყო დაჭრილი, ტიროდა და სული ძლივს ედგა. ავთანდილმა გასძახა: - ვინ ხართ, მეკობრეებს მიგამსგავსეთ, მათ მიუგეს: - დაწყნარდი და მოგვეშველე, ჩვენ ვართ სამი ძმა, ჩვენი ციხე ქალაქი ხატაეთშია, აქ კარგი სანადირო ადგილებია და წამოვედით. თან უთვალავი ლაშქარი გვყავდა. ერთი თვე ვინადირეთ, ბევრი ნადირი დავხოცეთ. ჩვენ, ძმებმა კი, ყველას ვაჯობეთ, მაგრამ ერთმანეთში სიმართლე ვერ დავადგინეთ, თუ ვინ ვის ჯობნის თავის მკლავითო და ვთქვით, მოდი სიმართლე გავარჩიოთო. ამიტომ ირმის ტყავით სავსე ლაშქარი ავყარეთ და წასვლა ვუბრძანეთ. ჩვენ ვიახლეთ სამი მეაბჯრე, მოვინადირეთ მინდორი, ტყენი და ღრენი და დავხოცეთ უამრავი მხეცი და ფრინველი. უცბად, შავ მერანზე კუშტად მჯდომი მოყმე გამოჩნდა ტანზე ვეფხის ტყავის სამოსით, რომლის მსგავსი მშვენება ჯერ კაცის თვალს არ ენახა, სახე მზესავით უელავდა, მოგვინდა

მისი შეპყრობა, შევეცადეთ და ამიტომ ვართ ამ ვაებაშიო. უმ-
ცროს ძმას თავზე მათრახი გადაჰკრა და ერთი მოქნევით თავი
ასე გადაუფხრიწა, თვითონ კი ლაღად და აუჩქარებლად წავიდა.
ძმებმა ავთანდილს შორიდან დაანახვეს ის მოყმე. ავთანდილს
საწადელი აუხდა, იპოვა, რასაც ამდენი ხნის განმავლობაში
ეძებდა. მან ძმებს უთხრა, რომ ღარიბი ვინმე ვარ, მე იმ ყმის სა-
ძებნელად წამოვედი. როგორც მე ამიხდა საწადელი, ისე თქვენ
ძმას ღმერთი ნურას ავნებსო. ავთანდილმა მათ უჩვენა თავისი
სადგომი, მიდით ჩრდილში გადადით და მოისვენეთო. ეს უთხრა
თუ არა, ცხენს დეზი ჰკრა და როგორც გავაზი, ისე გაფრინდა.

ავთანდილი იმ ყმას როცა მიუახლოვდა, გაიფიქრა, რომ გო-
ნიერმა კაცმა ძნელი საქმე გონიერად უნდა განსაჯოს. რადგან
ის ყმა სასაუბროდ თავისთან არავის უშვებს, ამიტომ თუ მივე-
წევი, ან ის მე მომკლავს, ან მე მასო. სჯობს უკან გავყვე, ვნახო
სად წავა და მერე გადავწყვეტ როგორ მოვიქცეო. ორი დღე-ღა-
მე სდია დაღლილ-დაქანცულმა ავთანდილმა იმ ყმას, საჭმელა-
დაც კი არ შეჩერებულან ერთი წუთით. საღამოს გამოჩნდა დიდი
კლდე, რომლის შიგნითაც დიდი გამოქვაბული იყო, ძირს კი წყა-
ლი ჩადიოდა. წყლის პირას იდგა მაღალი თვალუწვდენელი ხე,
რომელიც კლდეს ეყრდნობოდა. ის ყმა გამოქვაბულში შევიდა,
წყალი და კლდე გაიარა. ავთანდილი ცხენიდან ჩამოხტა, ცხე-
ნი ხეზე მიაბა, ხეზე ავიდა და ზემოდან ათვალიერებდა ყველა-
ფერს. მან შეამჩნია, რომ გამოქვაბულის კარიდან გამოვიდა შავი
ჯუბით მოსილი ქალი, რომელიც ატირდა და ცრემლები ღვარად
ჩამოუვიდა, როცა დაინახა ის ყმა. ეს უკანასკნელი ცხენიდან
ჩამოხტა და ქალის ყელს მკლავით შემოეჭდო. ავთანდილი გაკ-
ვირვებული გადმოჰყურებდა მათ ქცევას. ქალმა გამოქვაბულ-
ში შეიყვანა ცხენი, მოჰხადა აღკაზმულობა, ყმას შეხსნა აბჯა-
რი და შინ შევიდნენ. გათენდა, ქალი გამოვიდა, ცხენი შეკაზმა,
ყმას გამოუტანა აბჯარი, ქალი ტიროდა, მკერდზე ხელს იცემდა
და თმის ტევრს იგლეჯდა. ერთმანეთს მოეხვივნენ, აკოცეს, ყმა
ცხენზე შეჯდა და იმავე გზით წავიდა, საიდანაც მოვიდა.

ავთანდილმა უკვე ახლოს დაინახა კაცის ულვაშ-აშლილი
წვერი და გაუკვირდა, *„ნუთუ მზეაო ცისა?“*. ავთანდილი ხეს
ამოფარებული გაკვირვებით ადევნებდა თვალს და ფიქრობდა,

რომ იმ ყმის წასვლით საქმე კარად მოუგვარდა. ავთანდილმა გადაწყვიტა ქალი შეეპყრო, ამ ყმის ამბავი ეთქმევინებინა, თავისიც ყველაფერი ეთქვა მისთვის და სიმართლე გაეგო. ამით, არც ავთანდილი *„ჰკრავდა ხმალს ყმას და არც მისგან მიიღებდა“*.

ავთანდილი გამოქვაბულთან მივიდა, ცხენზე შეჯდა და მისკენ გაემართა, კარი ღია დახვდა, ქალი გამოიჭრა გულმხურვალე ცრემლმორეული, მას ეგონა, რომ ტარიელი დაბრუნდა, მაგრამ უცხო რომ დაინახა, გაიქცა. ავთანდილმა ქალი, როგორც კაკაბი, ისე დაიჭირა და დააბა, ქალი ტიროდა და ტარიელს უხმობდა. ავთანდილი ეხვეწებოდა, ნუ გეშინია, კაცი ვარ, ადამიანი, მითხარი ვინ არის ის ყმა, ნუ ჰყვირი ასე ხმამაღლაო. ქალი ტიროდა, დამეხსენი, ჩემგან ნურაფერ ამბავს ნუ ელოდებიო. ბოლოს ავთანდილს მოსწყინდა ხვეწნა, მივიდა მასთან, თმით წამოსწია და ყელზე დანა მიაბჯინა, მაგრამ ქალი გაუტეხელი იყო.

მერე ავთანდილი ცალკე დაჯდა, დაიწყო ტირილი, ცრემლთა ფრქვევა და თან ქალს ბოდიშს უხდიდა, ასე რომ მოექცა. ქალს, რომელსაც ასმათი ერქვა, შეეცოდა მტირალი უცხო კაცი. ავთანდილმა უთხრა: - შენ ახლა მე ველარ მაპატიებ, ძალიან განგარისხე, მაგრამ შეიბრალე მიჯნური ადამიანი. ქალმა სიტყვა მიჯნური რომ გაიგო, ასკეცად ატირდა. ავთანდილი ასმათს გამოუტყდა, რომ ის მისმა მიჯნურმა და მზემ გამოგზავნა იმ ყმის საძებნელად და ყველაფერი მოუყვა დაწვრილებით. ასმათი შეპირდა ავთანდილს, იქნებ რამე მოვაგვარო და შენი თავი შევაყვარო, შემდეგ კი, თავად გიამბობს თავის ამბავს და შენს საყვარელ ქალსაც გაახარებო.

ასმათმა ავთანდილი დამალა. როცა ტარიელი მოვიდა ასმათმა ჰკითხა ადრე მოსვლის მიზეზი. ტარიელს თურმე მონადირეთა მთელი ლაშქარი შეფეთებია გზაში და ამიტომ წამოსულა ადრე. ასმათმა ტარიელს უსაყვედურა, როდემდე უნდა იყო ასე, მეგობრის გარეშე, მთელი ქვეყანა მოგივლია და ერთი კაცი ვერავინ მონახე, რომელიც გვერდით ამოგიდგებოდა და დაუმეგობრდებოდიო. თუ გინდა, მე მოგგვრი კაცს, რომელიც გიმეგობრებს, მაგრამ უნდა შემომფიცო, რომ მას ხელს არ ახლებ და არ მოჰკლავ. ტარიელმა ასმათს შეჰფიცა.

ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრა

ასმათი გავიდა ავთანდილის მოსაყვანად. ტარიელმა რომ დაინახა მზესავით ჭაბუკი, ძალიან მოეწონა. ტარიელმა და ავთანდილმა ერთმანეთი არ იუცხოვეს, გადაეხვივნენ, ერთმანეთი გადაკოცნეს და ბაგეებიდან ბროლის კბილებმა გამოანათეს, მათ ყელი-ყელს გადააჭდეს და ერთმანეთს აუტირდნენ. ორივე დიდხანს ტიროდა ცხელი ცრემლებით. მათი შემყურე ასმათი კი მზის სწორებს ეუბნებოდა: - თავებს ნუ დაიხოცავთ და თქვენ მზეს ნუ დაიბნელებთო.

ტარიელმა ავთანდილს მიმართა: - ძალიან მეჩქარება, მითხარი შენი საიდუმლო, ვინ ხარ, სადაური, საიდან მოდიხარ და სად მიხვალ, მე კი სიკვდილსაც აღარ ვახსოვარ და მისგან განწირული ვარო. ავთანდილმა უპასუხა: - მე ვარ არაბი, არაბეთშია ჩემი დარბაზები, მიჯნურობითა და უშრეტი ცეცხლით ვარ დამწვარი და ჩემი პატრონის ასული მიყვარს. მე შენ თუმცა არ მიცნობ, მაგრამ მინახავს, როგორ დახოცე საწყალი მონები. მე და ჩემი პატრონი მინდორში ნადირობისას გადაგეყარეთ. ჩვენმა პატრონმა გიხმო, არ მიხვედი, შემდეგ ლაშქარი გამოგეკიდა და ყველა ამოხოცე, მერე მეფეც გამოგეკიდა და როცა დაინახე, შენ ცხენიანად უკვალოდ გაქრი. მეფე ძალიან შეწუხდა, ყველგან გძებნეთ, ვერსად გიპოვეთ და ვერც შენი მნახველი ვერავინ ვნახეთ. ახლა ჩემი მზისა და მთვარის გამოგზავნილი ვარ შენს მოსაძებნად და დასახმარებლადო.

ტარიელსაც გაახსენდა მათი მაშინდელი ნადირობის დროინდელი ამბავი და ისიც, რომ მათ გამოექცა და თავისი ცხენი უჩინარს დაამსგავსა, ახლა მოხვედი და ძალიან მესიამოვნა შენი დანახვა, ტანად სარო და სახით მზეს ჰგავხარ, მამაცი ხარ და ძნელია შენნაირი ზეცისმიერი კაცის პოვნა. მე ვგრძნობ შენი გულის მხურვალებას ჩემდამი და მიუხედავად იმისა, რომ შენ არაფერი გმართებს ჩემი, წესია, მიჯნურს მიჯნური ებრალება. მე შენს საყვარელს დაგაშორე, წამოსულხარ ჩემს საძებნელად და პატრონის სამსახურად, ღმერთმა ინება და მიპოვნე. ახლა მე უნდა გიამბო თუ რა ცეცხლი მწვავს, მომისმინე და გიამბობ ყველა-

ფერს, რაც უნდა დამემართოს. ასმათს კი უთხრა მის გვერდზე დამჯდარიყო, წყალი მოეტანა და თუ ცუდად გახდებოდა, წყალი ეპკურებინა სულის მოსათქმელად, თუ მოკვდებოდა, ეტირა და საფლავი გაეთხარა მისთვის.

ტარიელი მოემზადა თავისი ამბის მოსათხრობად, მაგრამ დიდხანს ხმა ვერ ამოიღო, ცრემლები გადმოყარა და დაიწყო მოთქმა თავისი გულის სწორისადმი: ... ***„ჩემო ჩემთვის დაკარგულო, იმედო და სიცოცხლეო, გონებაო, სულო გულო, ვინ მოგკვეთა არა ვიცი, ხეო, ედემს გადარგულო!“***

ტარიელი ავთანდილს უყვეგა თავის ამგავს

ტარიელმა სული მოითქვა და დაიწყო: - თქვენთვის ცნობილია, რომ ინდოეთს შვიდი მეფე ჰყავს. მათ შორის ექვსი სამეფო ფარსადანს ეპყრა. იგი იყო უხვი, მდიდარი, პატიოსანი, ტანად ლომი და სახით მზესავით გამოიყურებოდა. ბრძოლაშიც ვერავინ ამარცხებდა. ტარიელის მამა - სარიდანი, ფარსადანის სამეფოში იყო მეშვიდე მეფე, რომელიც მეტად პატივსაცემი კაცი იყო და ვერავინ ვერ ჰკადრებდა წყენას. მას განცალკევებულად ყოფნა აღარ უნდოდა და გადაწყვიტა, მეფე ფარსადანის მფარველობაში შესულიყო. მან მეფეს მოციქულები გაუგზავნა, ფარსადანმა რომ შეიტყო ეს ამბავი, ღმერთს მადლობა შესწირა და შეუთვალა სარიდანს, მოდი და პატივს გცემ, როგორც ძმასა და მშობელსო. მეფემ სარიდანს უბოძა ამირბარობა (საზღვაო მინისტრი).

ფარსადან მეფეს და დედოფალს ვაჟიშვილი არ ჰყავდათ, მეფემ იშვილა ტარიელი, თავისი გვარი მისცა და ბრძენ ადამიანებს მიაბარეს ხელმწიფისათვის საჭირო ქცევათა შესასწავლად. ტარიელი რომ გაიზარდა, თვალად მზეს და ტანად ლომს დაემსგავსა. ხუთი წლის ასაკში მისთვის ლომის მოკვლა იგივე იყო, რომ ჩიტი მოეკლა. ტარიელის მნახველები მას მზეს და ედემში გაზრდილს ადარებდნენ. ტარიელი ხუთი წლის რომ გახდა, იმ დროს დედოფალი დაორსულდა და გოგონა, ნესტან-დარეჯანი გაუჩნდა... ამ სახელის ხსენებაზე თხრობის დროს ტარიელს გული წაუვიდა. ასმათმა წყალი აპკურა და როცა სული მოითქვა თხრობა გააგრძელა... ახლად დაბადებული გოგონა, უკვე მაშინვე, მზეს ჰგავდა და მის შემდეგ ტარიელის გულს სიყვარულის ალი მოედო.

მეფე ფარსადანს სამეფოს მკვიდრნი ულოცავდნენ გოგონას შეძენას და ფარსადანიც უხვად ასაჩუქრებდა ყველას. გავიდა დრო. დედოფალი და მეფე ტარიელსაც და ნესტანსაც ერთნაირად ზრდიდნენ. შვიდი წლის რომ შესრულდა, ნესტანი მთვარეს დაემსგავსა, იგი მზეს ჯერ ვერ შეეჯიბრებოდა, მაგრამ მასთან გაყრას ვერ შეძლებდა ალმასის დარად გამოწრთობილი გულიც კი.

ფარსადანმა ქალიშვილს ძვირფასი სასახლე აუშენა, რომლის შიგნით ლალის თვლებით მოჭედილი, გადახურული და ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილით შემოფარგლული კარავი იდგა. სასახლის კართან ბაღი იყო გაშენებული, ხოლო დასაბანად, მილის საშუალებით, ვარდით გაჯერებული წყალი შედიოდა. დღე და ღამე საკმეველს აკმევდნენ ნესტანის სასახლეს. ნესტან - დარეჯანი ხან კოშკში იჯდა, ხან ბაღის ჩრდილში ჩამოდიოდა. მას სიბრძნეს ასწავლიდა მეფის ქაჯეთში განათხოვარი და ქვრივი და, სახელად დავარი. ნესტანის სახეს ვერავინ ხედავდა, მისი კარვიდან ისმოდა მხოლოდ თამაშის დროს ასმათისა და ორი მონის ხმა.

ამ დროს ტარიელი თხუთმეტი წლის იყო და მეფე ფარსადანის წინაშე, როგორც შვილი ისე იზრდებოდა. იგი თვალად და ტანადაც ედემში გაზრდილს ჰგავდა და სროლასა და ასპარეზშიც მას ბადალი არ ჰყავდა.

მერე ტარიელის მამა ფარსადანი გარდაიცვალა, რომლის იმ ქვეყნად წასვლა შვილმა ძალიან განიცადა, მთელი წელიწადი სიბნელეში იჯდა და მამას გლოვობდა. მასთან მივიდნენ მეფესთან დაახლოებული პირები და მოახსენეს მეფის ბრძანება, რომ მათაც ძალიან სტკივათ სარიდანის დანაკლისი, მაგრამ დროა, გაიხადო შავები და ამირბარობას შეუდგეო. მამისადმი სიყვარულმა ტარიელი გამოიყვანა მგლოვიარე მდგომარეობიდან. ინდოეთში შეიქმნა ზეიმი, მეფე-დედოფალი მას მიეგებნენ, როგორც მშობლები, გვერდით დაისვეს, მოეფერნენ და ტარიელი დაითანხმეს ამირბარად არჩევაზე.

ტარიელის გამიჯნურების ამბავი

ომხრობის გაგრძელება ტარიელს გაუძნელდა... რადგან მის მიმართ წუთისოფელი მუდამ ავის მქმნელი იყო და მისგან დაცემული ნაპერწკალი მას ხანგრძლივად წვავდა.

ტარიელმა განაგრძო ამბის თხრობა: - ერთ დღეს, მეფემ და ტარიელმა ხოხბებზე ინადირეს. ნადირობის შემდეგ მეფემ ტარიელს სთხოვა, ხოხბები მიერთმია მისი ქალისთვის. ტარიელმა იცოდა, რომ არავის არ უნდა დაენახა მისი მზის სადარი ქალიშვილი... ტარიელმა ასმათს უბრძანა, რომ ხოხბები გამოერთმია. ამ დროს ტარიელი მოფარდაგებულის გარეთ იდგა, ასმათმა კარვის ფარდა რომ ასწია, ნესტანს მოჰკრა თვალი და მის სულსა და გულს ლახვარი ეცა. ასმათმა გამოართვა ხოხბები და მის შემდეგ ტარიელს სიყვარულის მუდმივი ცეცხლი წვავს... თხრობის დროს ტარიელი და ასმათი ორივე ატირდა, ასმათმა წყალი აპკურა, მაგრამ ტარიელმა ხმა დიდხანს ვერ ამოიღო, მისი ცრემლი კი, მიწას ერთვოდა. გონს რომ მოვიდა, გააგრძელა... ხოხბები გამოართვა თუ არა ასმათმა, ტარიელი მაშინვე დაეცა, მხარსა და მკლავში ძალა დაკარგა, როცა გამოფხიზლდა დიდ დარბაზში, საწოლში იწვა, მეფე და დედოფალი ტიროდნენ და ღაწვებს იხოკავდნენ... იქვე ყურანის მკითხველებიც შენიშნა ტარიელმა. მეფემ თვალგახელილი რომ დაინახა ყელზე შემოეხვია და უთხრა: - „შვილო, შვილო, ცოცხალი ხარ? ხმა ამოიღე“. ტარიელმა პასუხი ვერ გასცა და ისევ გული წაუვიდა. სამი დღე იყო ტარიელი უგრძნობლად. ექიმებსაც უკვირდათ: - „ეს რანაირი სენია, მას სამკურნალო არაფერი სჭირს, რაღაც სევდა შემოპარვიაო“.

ზოგჯერ ტარიელი შმაგად წამოიჭრებოდა, დედოფალი ამ დროს ზღვა ცრემლებს ღვრიდა. დარბაზში იწვა სამი დღე და ღამე არც ცოცხალი და არც მკვდარი. მერე როცა ცნობა დაუბრუნდა ტარიელს, ღმერთს შეევედრა: „ღმერთო, ნუ გამწირავ, შეისმინე ჩემი ვედრება, მომეცი ძალა და ენერგია, აღმიდგინე ჯანმრთელობა, რათა არ გამჟღავნდეს ჩემი სიყვარული და ჩემს სახლში დამაწვინეო“. ლოცვამ უშველა, მომჯობინდა და

დაწყლულებული გული გაიმაგრა. როცა საწოლიდან წამოჯდა, მეფე დედოფალმა დიდად გაიხარეს, წვენი დაახვრეპინეს. როცა მომჯობინდა ტარიელმა ცხენზე ჯდომა მოიწადინა, შეჯდა ცხენზე და მეფეც თან ახლდა, მოიარეს მოედანი და წყლის პირი და როცა დაბრუნდა, მის საწოლს ასმათის მონა მოადგა და ასმათის საარშიყო წერილი გადასცა... ტარიელს ძალიან გაუკვირდა, რადგან ასმათისგან არ მოელოდა ასეთ წერილს, მაგრამ მისგან აუგი იქნებოდა წერილზე პასუხის გაუცემლობა და პასუხად მსგავსი საარშიყო წერილი მისწერა.

დღეები გადიოდა და ტარიელის გული უფრო მეტად იწვოდა ნესტანის სიყვარულით. ველარ მიდიოდა სალაშქროდ, მინდორში სათამაშოდ, დარბაზობაზე. მკურნალებმა ისევ დაუწყეს სამკურნალოდ მისვლა, მაგრამ ვერაფერი არგეს... ვერავინ შეიტყო, რა ცეცხლი სწვავდა ტარიელს. იფიქრეს სისხლის გამოშვება უშველიდა და მეფემ ბრძანება გასცა, მისთვის ხელი გაეხსნათ. ასე სისხლგაშვებული და სევდიანი საწოლს იყო მიჯაჭვული, როცა ასმათის მონამ წერილი გადასცა. ასმათი თავისთან უხმობდა. პასუხად მისწერა, რადგან მიხმობ, არ დაგზარდებიო. თან გულში გაიფიქრა, ამირბარს არ შეშვენის ასეთი საქციელი, თუ გაიგებენ, არავის მოეწონებაო. ამ დროს მეფის კაცი მოვიდა, ტარიელს იბარებდა თავისთან, აინტერესებდა მისი ჯანმრთელობის ამბავი, როცა გაიგო, რომ სისხლი გამოუშვეს და ახლა უკეთესადაა, ტარიელს უთხრა, ახლა გეყოფა სახლში ჯდომაო. ცხენზე შესვა ისე, რომ წელზე არაფერი შემოარტყა, ხოხბებზე სანადიროდ წაიყვანა, თვითონ მეფემ მოინადირა ხოხბები, წამოვიდნენ სასახლეში და ნადიმობა გამართეს... ამ დროს მონამ ტარიელს ყურში უჩურჩულა, ქალი მოვიდა, ამირბარის ნახვა მინდაო. ტარიელმა უთხრა, ჩემს საწოლში შეიყვანე და ახლავე მოვალო. მონადიმეებმა დაშლა მოინდომეს, მაგრამ ტარიელმა მათ უთხრა, არ დაიშალოთ და მეც ახლავე მოვალო.

ტარიელი საწოლში შევიდა, მონა კი კართან დარჩა სადარაჯოდ. ოთახში ტარიელს დახვდა სახეზე ზეწარმობურული ქალი, რომელიც მოკრძალებულად მიესალმა და თავი მდაბლად

დაუკრა. ტარიელს გაუკვირდა, მიჯნურისაგან თაყვანისცემა ვის გაუგიაო და ქალს უთხრა: - ახლოს მოიწიე, თუ ჩემი სიყვარული გჭირს, მანდ რად ზიხარო. ქალმა უპასუხა, რომ ეს დღე მისთვის მეტად სასირცხვილოა, გგონიათ, რომ მაგისთვის მოვედი? ამ წერილმა გაგანდოს, ჩემთვის რაც უთქვამს ჩემს პატრონსო და ნესტანის წერილი გადასცა.

ნესტან-დარეჯანის წერილი ტარიელისადმი და ტარიელის პასუხი

ნესტანი ტარიელს წერდა: - ლომო, გულზე წყლულს ნუ დაიჩნევ, მე შენი ვარ, ნუ მოჰკვდები, მაგრამ ბნედა ცუდი მძულს, ახლა ასმათი მოგახსენებს ჩემგან თქმულ ყველაფერს. წერილში ეწერა: ***„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია? სჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია“.*** მე შენი ქმრობა უწინაც მინდოდა, მაგრამ აქამდის სასაუბროდ დრო არ მქონდა. ახლა ამას მოგახსენებ, წადი ხატაელებს შეები და თავი გამოიჩინე, გიჯობს ცუდად ნუღარ სტირი, შენმა მზემ მეტი რა უნდა გითხრა, აჰა, ბნელი გაგინათეო.

პასუხად ტარიელმა მისწერა: - ღმერთმა შენს მეტი არავინ მომცეს... აჰა, მკვდარი გამაცოცხლე, ამას იქით აღარ ვბნდები. ასმათმა გადმომცა შენი დანაბარები, რომ ასეთი ურთიერთობა სჯობსო, ვინც გნახავს ჩემგან მოსულს, ჩვენს საუბარს ვერ შეიტყობს და ნამუსისთვის ასე აჯობებსო, ტარიელმა ნესტანს ისიც მისწერა, რომ ასმათს მიართვა ჯამი ოქროთი და რჩეული თვლებით სავსე, მაგრამ მან მხოლოდ ერთი ოქროს ბეჭედი აიღო სახსოვრადო.

ტარიელის წერილი ხატაელებისადმი და მათი პასუხი

ამის შემდეგ ტარიელმა ხატაელებს წერილი მისწერა, რომ ინდოეთის მეფე ღმერთივით ძლიერია, ვინც მასთან იმეგობრებს, ესეც ემეგომრება, ვინც არა, თავისი თავის მადლიერი არ დარჩებაო. მობრძანდით და ეწვიეთ ჩვენს მეფესო. როცა ნახავთ ბრძანებას, აქამდეც მოხვალთ, თუ არადა, ჩვენ მოვალთ ისე, რომ არ მოგეპარებით. სჯობს მოხვიდეთ, რომ თქვენი სისხლი არ დაიღვაროსო.

ხატაელები მოვიდნენ და სიტყვა მოიტანეს მეტად უკადრებელი: - არც ჩვენ ვართ ჯაბანნი და არც ციხეები გვაქვს გაუმაგრებელი, ვინ არის თქვენი ხელმწიფე და ჩვენზე პატრონობას რატომ გვპირდებაო. თვითონ ხატაეთის მეფე რამაზმა წერილი მოსწერა ტარიელს, გამიკვირდა, რაც შენს წერილში წერია, რატომ, რისთვის გვიხმე, ჩვენ ხომ დიდი ერის პატრონები ვართ, ამის მერე ასეთი წერილი აღარ მოგვწეროო...

ტარიელმა მთელი ინდოეთიდან ლაშქრის გამოწვევა ბრძანა. ინდოეთის განაპირა კუთხეებიდანაც კი. ურიცხვი ჯარი შეიკრიბა და მინდორ-ველი გაივსო საუცხოოდ შეკაზმული ცხენებითა და ხვარაზმული აბჯრით აღჭურვილი ლაშქრით, რომელთაც ხელთ ეპყრათ ინდოეთის მეფის წითელ-შავი ფერის დროშა.

ტარიელისა და ნესტანის პირისპირ შეხვედრა

ტარიელთან მონა მივიდა და ასმათის წერილი მიუტანა. ასმათი წერდა, მანდ ტირილს გირჩევნია, როგორც კი შეღამდება, მოხვიდე, შენი მზე გიხმობსო. დანიშნულ დროს ტარიელი სწრაფად მივიდა. ბაღის კარი შეაღო თუ არა, ასმათი შეეგება და სიცილით უთხრა: - წამოდი, მოგელის ლომსა მთვარეო. ასმათმა შეიყვანა ფარდის შიგნით და ტარიელს დახვდა მისი მთვარესავით შუქმდინარე, მწვანით შემოსილი, მოკრძალებული და ტანითა და სახით მეტად ძვირფასი ნესტან-დარეჯანი.

ტარიელი წარსდგა მის წინაშე და გული გაუნათდა, ცრემლიც შეუწყდა. ნესტანმა ასმათს ჩუმად უთხრა, რომ ამირბარს მოახსენე დაჯდესო და ბალიში მოუმარჯვა ტარიელს დასაჯდომად. ტარიელი დაჯდა და უკვირდა, სული როგორ მიდგასო. ნესტანმა ტარიელს უთხრა: წეღან გაწყენინე, რომ საუბრის გარეშე გაგიშვი და მე, როგორც მზემ ჩემთან გაყრით დაგაჭკნე, როგორც ბარის ყვავილი, ცრემლი გადენინე, მაგრამ სირცხვილია და თანაც საჭიროა ამირბართან ჩემი მორიდება. ამავე დროს ქალს მართებს მამაკაცისადმი დიდი მოკრძალება, მაგრამ უარესია ართქმა და ჭირის დამალვა. მას შემდეგ, რაც ერთმანეთი გავიცანით, მტკიცედ მიმაჩნდა თავი საშენოდ, თუ გატყუებ, ღმერთმა მიწად მაქციოს. წადი, შეები ხატაელებს, ილაშქრე, ღმერთმა გაგამარჯვებინოს და გახარებული დამიბრუნდი და ვიდრე კვლავაც შენი ნახვა გამახარებს, გული ჩემთვის გაიმაგრეო!

ტარიელმა მოახსენა: - არ მენანება შენთვის თავდადება, რადგან შენ გადამარჩინე, შენ ხარ ჩემი თვალთა მზე, წავალ, შევებმები ხატაელებს, რომ ლომი გმირულად გამოვჩნდეო. მათ ერთმანეთს სიყვარული შეჰფიცეს სიკვდილამდე, ცოტა ხანს კიდევ დაჰყვეს ერთმანეთთან, ტკბილად ისაუბრეს, ხილი მირთვეს. ტარიელი ტირილითა და ცრემლთა დენით დაბრუნდა, ძალიან ეძნელებოდა მასთან დაშორება, მაგრამ სული ლხენით ჰქონდა სავსე და გული კი სალი კლდესავით გამაგრებული...

ტარიელის წასვლა ხატაეთს და დიდი ომი

ფილას ტარიელი შეჯდა ცხენზე, ჰკრეს ბუკსა და ნაღარას, მთელი უთვალავი მხედრობა მზად იყო და ტარიელის სარდლობით საბრძოლველად გაემართა ხატაეთს. გადაიარეს ინდოეთი, ცოტა ხნის შემდეგ გზად შემოხვდათ ხატაეთის მეფის, რამაზის ერთ-ერთი ხანი, რომელმაც თავის გულის მოსაფხანად ტარიელს უთხრა: - ინდოელებო, ჩვენი მგლები დასჭამენ თქვენს ხარებსო. ტარიელს რამაზისაგან გამოუგზავნეს ძალიან დიდი ძღვენი და თან უთხრეს - მეფე გკადრებს, ნუ ამოგვწყვეტ, არ დაგვარბიო, არ დაგვიხოცო შვილნი და საქონელი, თუ რამ შეგცოდეთ, ვნანობთ და ციხე-ქალაქებსა და ცოტა ყმებსაც მოგცემთო.

ტარიელმა გვერდზე მოისვა ვეზირები, ისაუბრეს და ტარიელს უთხრეს: - შენ ყმაწვილი ხარ, მაგათ ჯერ არ იცნობ, ჩვენ უკვე ვიწვნიეთ, თანაც არაერთხელ მაგათი სიმუხთლე და ტარიელს ურჩიეს: - შეარჩიე ლაშქარში ძალიან მამაცი ყმები და შეუთვალე რამაზ მეფეს, რომ გულთან მიიტანე მათი დანაბარები, ამიტომ მოვალ მხოლოდ სამასი კაცით, დანარჩენ ლაშქარს კი, ტარიელმა დაუბარა, რომ არ შეჩერდნენ და საითაც ჩვენ წავალთ, გამოგვყევით, მაგრამ მცირე დაშორებით და როგორც კი შეგატყობინებთ, მაშინვე უსწრაფესად გამოემართეთ ჩვენკენო.

სამი დღის სიარულის შემდეგ ხატაეთისკენ მიმავალ მცირე ლაშქარს შემოეყარა კიდევ სხვა კაცი, ისევ მრავალი ძღვენით და რამაზი უთვლიდა, როცა შეგხვდებით, მაშინ ნახავთ, თუ როგორი უკეთესი ძღვენით დაგხვდებითო... გზად ტარიელი თავისი ლაშქრით ხშირი ტყის პირას გაჩერდა, კვლავ სხვა მოციქულნი დახვდნენ და ულამაზესი ტაიჭი მოჰყავდათ ძღვნად, შენს ნახვას ნატრობენ მეფენიო. მეც ხვალ შეგხვდებითო, ერთ-ერთმა უთხრა ტარიელს, მაგრამ მან აღარ გაუშვა მოციქულები, უბრალო კარავში შეიპატიჟა და მოეფერა.

ნათქვამია, რომ კარგი კაცის მიერ გაკეთებული საქმე, უბრალოდ არ წახდება. როცა მოციქულები მიდიოდნენ, ერთი მათგანი მალულად შეჩერდა, ჩამორჩა თავისიანებს და ტარიელს

ჩუმად უთხრა, რომ ის დავალებულია ტარიელის მამასთან და რადგან თქვენს ღალატს აპირებენ, უნდა გაცნობოთ, რომ მათ შენგან მალულად ასჯერ ათასი ჯარი ჰყავთ და სხვაგან კიდევ სამჯერ მეტი, ასე რომ გიხმობენ ისინი, დიდ ფათერაკს შეგამთხვევენ, მეფე დაგხვდებათ, მალულად აბჯარს ჩაიცვამენ, იქაურობას დააკვამლიანებენ და ყოველმხრივ შემოგესევიანო. ტარიელმა მადლობა გადაუხადა ამის მთქმელს და უთხრა, თუ არ მოვკვდები, ათასობით სამაგიეროს მოგიძღვნი, წადი მათთან და არ დაგივიწყებო.

ტარიელმა არავის არ გაანდო ეს ყველაფერი, მაგრამ უკან, გზად მომავალ თავის მხედრობას შეუთვალა, რომ უსწრაფესად გადმოევლოთ მთა-გორები. ნახევარი დღის სიარულის შემდეგ, რაღაც ქედი რომ გადაიარეს, ტარიელმა მინდორში მტვერი შენიშნა და გაიფიქრა, მალე რამაზის ლაშქარი მოვა, რომელსაც ჩემთვის მახე აქვს დაგებული. ტარიელმა მაშინვე თავის მხედრობას შეუძახა: - ძმანო, ისინი მოღალატენი არიან, თქვენ არ შეშინდეთ, მათი სულები უკვე ზეცაში რბიან და უშიშრად შევებათ ხატაელებს, ხმლები ტყუილად ხომ არ გვაბიაო. მან ლაშქარს უბრძანა, რომ ჩაეცვათ ჯავშნები და მკლავზე შემოეგრაგნათ ჯაჭვები, რაზმი დააწყო და დიდი სისწრაფით გაექანნენ მომხვდურებისაკენ. ხვარაზმელებმა გარშემო ყველაფერი დააკვამლიანეს, მათი ღალატი გამჟღავნდა, სამალავებიდან გამოვიდნენ და მრავალი რაზმი შექმნეს.

მაგრამ მადლობა ღმერთს, ტარიელს ვერაფერი ავნეს. მან შუბი ითხოვა, ახლოს მივიდა ერთ რაზმთან, შუბი მძლავრად მიმართა ერთი კაცისკენ და ცხენიანად დაბლა დასცა, შუბი გაუტყდა, მაგრამ ხელთ გალესილი ხმალი ეპყრა და მტრის რაზმში ისე შეიჭრა, როგორც გნოლის ჯოგში ქორი, კაცი კაცს შემოტყორცნა, ცხენ-კაცების გორა დააყენა და ერთიანად ამოწყვიტა ორი წინა რაზმი. ტარიელს ალყა შემოარტყეს, მაგრამ მას ვერავინ უმკლავდებოდა. შუაზე გადაკვეთილებს ხურჯინივით ერთმანეთზე ჰკიდებდა.

უკან მომავალი ლაშქარი, რომელიც ტარიელმა სასწრაფოდ გამოიწვია, გამოჩნდა და მინდორი ვეღარ იტევდა ინდოელ მხედ-

რებს. ისინი სცემდნენ დოლსა და ბუკს. ხვარაზმელებმა გაქცევა დაიწყეს, მათ ტარიელის ლაშქარი დაედევნა, მეფე რამაზი და ტარიელი ერთმანეთს ხმლით შეებნენ. ხვარაზმელები შეიპყრეს, ტარიელი ხელში დაიჭრა. მეომრები ტარიელს შემოეხვივნენ, აქებდნენ და ლოცავდნენ. მეომრებმა ქალაქის კარი უომრად გააღებინეს და ლაშქარს ნადავლი ააღებინეს.

ტარიელმა რამაზს შეუთვალა, რომ შენი სიმუხთლე მე წინასწარ შევიტყვე, სიმაგრეების გამაგრებას შეეშვი, ყველა მე გადმომილოცეო. რამაზმა შემოუთვალა, არაფრის ღონე არ მაქვს, ერთი ჩემი დიდებული და შენი ყმები გამაყოლე, მეციხოვნეებთან გავაგზავნი და ყველა სიმაგრესა და სიმდიდრეს შენ გადმოგცემო.

ამის შემდეგ ტარიელმა გადაიბარა ხატაეთის საგანძური. ერთგან ნახა საოცარი, წინ გახსნილი ქალის მოკლე კაბა და ოქროთი მოქარგული ქალის თავსაბური, ტარიელმა ვისაც კი უჩვენა ისინი, ყველა გაოცებული იყო, ღვთის სასწაული ეგონათ, მისი ნაქსოვის სიმტკიცე ნაჭედს ჰგავდა. ტარიელმა ესენი თავისი მზე, ნესტანისთვის გაიფიქრა, მეფისათვის კი საჩუქრად შეარჩია ის, რაც უცხო ქვეყნიდან მოილაშქრა, ეს ათჯერ ასი სიმდიდრით დატვირთული ჯორ-აქლემი იყო.

ტარიელის წერილი ინდოეთის მეფისადმი და გამარჯვებით დაბრუნება

წერილში ტარიელი წერდა: - მეფეო, ჩემს ამბავს მოგვიანებით გაცნობებ, მაგრამ ხატაეთის მეფე შევიპყარი და ალაფითა და ტყვეებით ვბრუნდები. ხატაეთის სახელმწიფო დავიარე და სიმდიდრეები წამოვიღე, აქლემები არ მეყო და ხარებით წამოვზიდეო.

ტარიელს მისი გამზრდელი მეფე შემოეგება, ქებით შეამკო და დაჭრილი ხელი თვითონ გადაუხვია რბილი სახვევით. ღამით ნადიმად დასხდნენ, დილით აიყარნენ და მეფემ ბრძანა, ხატაელთ მეფე მაჩვენეთ და ტყვეებიც მომგვარეთო. ტარიელმა რამაზ მეფე შეპყრობილი მოიყვანა. ინდოეთის მეფემ იგი შვილივით ტკბილად მიიღო, მეფემ ტყვეებს უმასპინძლა, მიუალერსა, შემდეგ მათ შეუნდო, რამაზ მეფეს კი უბრძანა: - იცოდე, შეწყალებულს გაგგზავნი, მაგრამ აღარ გაბედო ჩვენი მტრობაო. კონტრაქტი გააფორმეს წელიწადში ასჯერ ასი ოქროს ფულით გადახდაზე. შემდეგ მეფემ ყველა დაასაჩუქრა და შეწყალებულები უკან დააბრუნა. ხატაელთა მეფემ დაუმადლა, მდაბლად დაუკრა თავი ფარსადან მეფეს და უთხრა: - თქვენი ორგულობა ღმერთმა შემანანა და თუ ოდესმე შევცოდავ, მომკალიო, - თქვა და წავიდა.

ცისკრისას მეფის კაცი ეწვია ტარიელს და მეფის ბრძანება გადასცა: - მას შემდეგ, რაც შენ წახვედი, სამი თვე გავიდა და მინდორში ისრით მოკლული ნადირი არ მიჭამიაო. ტარიელი მაშინვე სანადიროდ მოიკაზმა, მეფესთან მივიდა და ავაზების ჯარი დახვდა, შევარდენებითაც სავსე იყო დარბაზი. მეფეც უკვე შეკაზმული იჯდა და ფრიად გაიხარა ტარიელის მისვლით. ნადირობის შემდეგ სასახლეში დაბრუნდნენ. მთელი ქალაქი ომგადახდილ ტარიელს უჭვრეტდა, რომელსაც წინ ჩახსნილი ღილკილოიანი, ენიანი კაბა ეცვა. ტარიელს მეფე-დედოფალი შეეგება, ნესტანიც იქვე იყო, რომელსაც ნარინჯისფერი ტანსაცმელი ეცვა და მთელ სახლს, შუკას და უბანს ანათებდა. დედოფალი შემოეგება ტარიელს, რომელსაც ხელი ყელზე ჰქონდა ჩამობმული,

შვილივით გადაკოცნა და გვერდით მოისვა. ნესტანი და ტარიელი პირისპირ ისხდნენ და ერთმანეთს მალულად უჭვრეტდნენ და ორივეს ერთმანეთის სიყვარული სწვავდა.

გაიმართა დიდი ლხინი. ვიდრე აიყრებოდნენ, მეფემ უთხრა ტარიელს, რაც უცხო გაცვია, ძალიან გიხდება და კარგია, მაგრამ შენ დაიმსახურე ასი საგანძური, იქ უამრავი ქსოვილია და რაც შენ გინდა, ის შეიკერე და ჩაიცვი, ჩვენი ნუ გრცხვენიაო და ტარიელს მისცა იმ საჭურჭლეების გასაღებები. გამთენიისას აიყარნენ, ტარიელმა თავის საწოლს მიაშურა, მაგრამ ნესტანის სახე სულ თვალწინ ედგა და ძილი არ ეკარებოდა.

ნესტან-დარეჯანის წერილი ტარიელისადმი და პასუხი ნესტანს

ჟონა მოვიდა ტარიელთან, ჩადრით მოსილი ქალი გკითხულობსო. ტარიელი მაშინვე წამოიჭრა ზეზე და დაინახა მისკენ მომავალი ასმათი, სიხარულისაგან გადაკოცნა იგი, მოისვა გვერდით და ჰკითხა ნესტანის ამბავი. დღეს თურმე ერთმანეთი გინახავთ და მოგწონებიათ ერთმანეთიო, უთხრა ასმათმა და თანაც ნესტანის წერილი მიართვა, სადაც ეწერა: - ვნახე ომგადახდილი შენი სიტურფე, ცრემლის დენის მიზეზი არ გაქვს, ღმერთმა ამაცილოს უშენობა, მოიშორე მწუხარება, ამის შემდეგ ნუღარ იტირებ, ჭირს თავი აარიდე. შენ რომ თავსაბური გეხურა, ის მე მომეცი, შენც გესიამოვნება, რომ შენი საჩუქარი მე დამამშვენებს, ჩემგან კი, ეს სამკლავე გქონდეს საჩუქრადო... და აქ ტარიელმა ტირილი დაიწყო, მასთან ერთად ასმათიც ატირდა. შემდეგ ტარიელმა პირთან მიიტანა ნესტანის ნაჩუქარი სამაჯური და თქვა: - მე მაქვს სამკლავე სამკაული, რომელიც მას მკლავზე ებაო, ეს ჩემთვის შეუფასებელიაო და გულიც წაუვიდა... ამ ამბის მსმენელი ავთანდილი, რომელიც იქვე იჯდა და უსმენდა ტარიელის მონათხრობს, ძალიან შეწუხდა, რადგან დაინახა, ტარიელს ზაფრანის ფერი დასდებოდა. ტარიელი გონს როცა მოეგო, ავთანდილს მოუბოდიშა, გიჟივით ვიქცევი, მაგრამ მაშინ ასმათმა მისი სამაჯური რომ მომიტანა და ახლა გამახსენდა, სიხარულისგან მომივიდაო... მაშინ ტარიელმა მყისიერად მისწერა პასუხი ნესტანს და მადლობა შეუთვალა სამაჯურისათვის, რომელმაც მას გული გაუნათა, წერილთან ერთად ასმათს ნესტანისთვის ხატაეთიდან ჩამოტანილი ქალის თავსაბური და კაბა გაატანა...

ნესტან-დარეჯანის გათხოვების შესახებ რჩევა

ტარიელმა განაგრძო თხრობა... დილით ადრე ტარიელს უხმეს სასახლეში. მეფე-დედოფალი ერთად ისხდნენ, ტარიელიც მათ წინ დაჯდა. მეფე-დედოფალმა ტარიელს ამცნო, რომ გადაწყვიტეს თავისი ქალიშვილისთვის ქმრის შერთვა, რომ ტახტი სიძეს უნდა მისცე, რათა სამეფოს უპატრონოსო. მეფემ ბრძანა: - ხვარაზმშის ხელმწიფეს ვთხოვოთ, თუ მოგვცემს თავის შვილს სასიძოდო... ტარიელმა ეს რომ გაიგო, ***„დამიწდა და დანაცრდა“***, მაგრამ მეფე- დედოფალს ამ საკითხზე რომ არ დათანხმებულიყო, იგი მათ ვერ ჰკადრებდა და ამიტომ დაეთანხმა თავისი სულის ამოსახდელ გადაწყვეტილებას.

კაცი გააგზავნეს ხვარაზმშასთან შვილის სათხოვნელად. კაცი მოვიდა, რომელმაც შემოუთვალა ხვარაზმშის სიხარული და რომ ისინი ვერც კი ინატრებდნენ ინდოეთის მეფის ქალიშვილის ხელს სათხოვნელადო. მეფე ფარსადანმა კვლავ გააგზავნა კაცი სასიძოს მოსაყვანად და ტარიელის გულს კი სევდა შემოაწვა.

ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და ნესტანის რჩევა

ტარიელი სევდიანი იჯდა თავის ოთახში, როცა ასმათის მონამ ნესტანის წერილი მოუტანა. ნესტანი მას დაუყოვნებლივ იბარებდა თავისთან. წავიდა, ბაღი გადაიარა, კოშკში შევიდა და ასმათი თვალცრემლიანი დახვდა, როცა ტარიელი დაინახა, ვერაფერი უთხრა, მხოლოდ ცრემლები გადმოჰყარა, რითაც ტარიელს გული უფრო დაუმძიმა. ასმათი ტარიელს გაუძღვა, ფარდა გადასწია, შევიდა და დაინახა, რომ ნესტანს მისივე ნაჩუქარი თავსაბური შემოეხვია, პირქვე იწვა და კლდის ნაპრალის ვეფხვს ჰგავდა. ნესტანი წარბშეჭმუხვნით წამოიჭრა და განრისხებულმა უყვირა ტარიელს: - რისთვის მოხველ, პირის გამტეხო, გამწირავო და მუხთალო ფიცის გამტეხო, ზენა გადაგიხდის სამაგიეროს, ხომ იცოდი ხვარაზმშას ჩემს საქმროდ მოყვანის ამბავი, შენც იქ მჯდარხარ და მოგიცია ამის თანხმობა, შენ გატეხე ჩემი ფიცი და ღმერთმა გადაგიხადოს სამაგიეროო.

ტარიელმა დაინახა სასთუმალზე გადაშლილი ყურანი, აიღო ხელში და ნესტანისაგან პასუხის ნება ითხოვა. იგი თავის დაქნევით დაეთანხმა და ტარიელმა უპასუხა, რომ მას ფიცი არ გაუტეხავს, როცა დარბაზში შევიდა და შექმნეს დიდი ბჭობა, იგი მათ ვერ დაუშლიდა, რადგან მისი მხრიდან დიდი უმეცრება იქნებოდა, არავის მივცემ შენს თავს, სჯობს ეს საქმე სხვანაირად მოვაგვაროო. ნესტანმა გვერდით დაისვა ტარიელი და ლმობიერად დაელაპარაკა: არ ივარგებს, რომ ინდოელებს სპარსელები დაუახლოვდნენ, ამიტომ, როცა მოვა, სჯობს მიპარვით მოჰკლა, სხვას კი, არავის ხელი არ ახლო და ზედმეტი სისხლი არ დაღვარო, მამაჩემს კი ჰკადრო, რომ ინდოეთს სპარსელებს ვერ მისცემ შესაჭმელად, რადგან ის შენი მამულია და არც ერთ ტრამალს და უმცენარო ადგილს არ დავუთმობ მათო. ამის შემდეგ მეფე შეგეხვეწება ჩემს თხოვნასო. ტარიელს მოეწონა ნესტანის გეგმა და დაეთანხმა.

ხვარაზმშის შვილის ინდოეთს მოსვლა და ტარიელი მას ჰკლავს

ვახარობელი მოვიდა, მეფესთან სასიძო მოდისო. მეფეს გაუხარდა, ტარიელი გვერდით მოისვა და უთხრა, რომ ეს დღე მისთვის სასიხარულოა, შენს დას ქორწილი გადავუხადოთ, კაცი გავაგზავნოთ, რომ უხვად გასცენ საჩუქრები, სიძუნწე არ გვეკადრებაო. სასიძომ არ დაახანა და ხვარაზმელები უამრავი ლაშქრით ჩამოვიდნენ. მეფემ ბრძანა, რომ მოედანზე კარავი გაეშალათ სტუმრების დასასვენებლად. ტარიელმა მოედანზე წითელი ატლასის კარვები გააშლევინა და სტუმართა რაზმები მათში განლაგდნენ. ტარიელი ამ საქმიანობისას დაიღალა და დასასვენებლად სახლში წასვლა გადაწყვიტა. ცხენიდან ჯერ კიდევ არ იყო ჩამომხტარი, რომ ასმათის მონამ ნესტანის წერილი გადასცა. იგი თავისთან იბარებდა. ტარიელს ნესტანი ძალიან გამწარებული დახვდა და წარბშეჭმუხვნით უთხრა: - კვლავ მომატყუე და გამწირე, რას გაჩერებულხარ, წინ საომარი დღე გაქვსო. ტარიელს ეწყინა, აღარაფერი უთქვამს, ფიცხლად გამობრუნდა და შესძახა: - ქალი ომში როგორ მიწვევს, ასე როგორ დავძაბუნდი!

ას მეომარს უბრძანა საომრად მომზადებულიყვნენ, შესხდნენ ცხენებზე, ქალაქი გაიარეს, ტარიელმა სასიძოს კარვის კალთა ჩასჭრა, სასიძოს ფეხზე ხელი მოჰკიდა და სვეტს შეანარცხა. ატყდა საშინელი გლოვა. ტარიელი ცხენზე შეჯდა, მდევრები დახოცა და გამაგრებულ ქალაქში შევიდა, რომელშიც მტერი ვერ შეაღწევდა. ტარიელი გამთენიისას ადგა, ჩაიცვა და მეფისგან გამოგზავნილ სამ დიდებულს ეწვია, რომლებმაც მოახსენეს მეფის დანაბარები: - ღმერთმა იცის, შვილივით გაგზარდე, ასე როგორ შემიცვალე სიხარული სიმძიმით, ხვარაზმშის სისხლი რატომ დამადებინე, ჩემი ქალი თუ გინდოდა, რატომ არ გამაგებინე და შენს გამზრდელს სიცოცხლე რატომ გამიმწარეო.

ტარიელმა შეუთვალა: - მე სიმართლის მთქმელი და რვალზე უმტკიცესი ვარ. თქვენ იცით, რომ ინდოეთს მემკვიდრე არ ჰყავს, ყველა დაიხოცა, მე ვარ დარჩენილი, თქვენ ძე არ გყავთ, ქალის მეტი და ხვარაზმშას უნდა დარჩეს ინდოეთის მეფის ტახტი და მე ხმალი უნდა მერტყას? თქვენი ქალი არად მინდა და გაათხოვე, ინდოეთი ჩემია და არავის მივცემო...

ტარიელმა გაიგო ნესტანის დაკარგვის ამბავი

ტარიელმა გზაზე ორი ქვეითი დაინახა, ერთ მონას თავგაგლეჯილი და პირზე სისხლმდინარე ქალი მოჰყავდა, იცნო ასმათი, შორიდან დაუძახა: - რა მოხდა, რა ცეცხლმა დაგვდაგა? საბრალო ასმათი ატირდა და დიდხანს სიტყვა ვერ დასძრა და მის მკერდს ღაწვებიდან ჩამონადენ ცრემლთან ერთად სისხლი ედებოდა. ასმათი გონს რომ მოვიდა, მერე მოახსენა: - როცა სასიძო მოჰკალი და ხმა გავარდა, მეფემ შენ დაგიძახა, მიხმეთო ხმამაღლა ყვიროდა, ვერსად ვერ გიპოვეს. მერე ბრძანა: - ვიცი, რომ მათ უყვარდათ ერთმანეთი. ჩემს დას მოვკლავ, მას გაუბამს ჩემი გოგო ეშმაკის ბადეში, ბოზ-კუროებმა რა უთხრეს, რა უქადაგეს, ვერ გადამირჩებიან, ღმერთს ვფიცავო.

მეფის წესი იყო, რასაც იტყოდა, აუცილებლად შეასრულებდა, დავარმა, მეფის დამ იცოდა, რომ მეფე თავის ფიცს არ გატეხდა და ძალიან შეწუხდა, რადგან ის არაფერ შუაში იყო. იგი მოსთქვამდა ისეთ სიტყვებს, რაც ასმათს საერთოდ არ გაეგონა: - ბოზო, შე ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე და სისხლს მე რად მაზღვევინებო, თმაში სწვდა ნესტანს, თმები დააგლიჯა, დაალურჯა. დავარი როცა გაძღა მისი ცემით, ორი ქაჯი სახის მონას კიდობანი მოატანინა, შიგ ჩასვეს ნესტანი, დავარმა უბრძანა მონებს, კიდობანი ზღვაში ჩააგდეთ, წმინდა წყალი ვერ ნახოსო და ჩემი ძმა ვიდრე მე ჩამქოლავს, თავს მოვიკლავო, დანა დაიცა გულში და მოკვდაო, თქვა ასმათმა. მერე ასმათი ეხვეწებოდა ტარიელს, მომკალიო, მაგრამ ტარიელმა უთხრა: - დაო, რა შენი ბრალია, რად მოგკლა, ეს ვალი მე მაწევს და მის საძებნელად წავალ, სადაც კლდე და წყალიაო. ტარიელი სწრაფად შეჯდა ცხენზე, ას სამოცი კარგი მოყმე თან წაიყვანა. ზღვის პირას ნავი ნახა, ჩაჯდა, მაგრამ ვერავითარი სხვა ნავი ვერ შეამჩნია ზღვაზე, იგი უფრო გაშმაგდა, ყველგან ეძებდა ნესტანს, მაგრამ წელიწადი ისე გავიდა, მისი მნახველიც ვერავინ ნახა. თავის თანმხლები ყმები ყველა დაეხოცა, ზღვა-ზღვა ცურვა მოსწყინდა, გამოვიდა ზღვის ნაპირზე. მას შერჩა მარტო ასმათი და ორი მონა და ტარიელს ახლა ტირილი მიაჩნდა ლხინად და სდიოდა ცრემლი ღვარად...

ნურადინ ფრიდონის ამბავი, როცა ის ტარიელს შეხვდა და ტარიელმა უშველა ფრიდონს

ტარიელმა ღამით იარა. ზღვის ნაპირზე ბაღი ჩანდა, ქალაქს ჰგავდა, მივიდნენ, ერთ მხარეს კლდეში გამოქვაბულები ნახეს. ტარიელი ხის ძირას წამოწვა და მიეძინა. როცა გაეღვიძა თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. რაღაც ძახილი შემოესმა, დაინახა, რომ ზღვის პირას ვიღაც მოყმე დარბოდა და ყვიროდა, თურმე წყლული აწუხებდა, სისხლი სდიოდა, ჩიოდა და მტერს აგინებდა. შავ ტაიჭზე იჯდა და როგორც ქორი ისე დაჰქროდა. ტარიელმა მონა გააგზავნა, უნდოდა, რომ მას შეხვედროდა და შეუთვალა, „ლომს ვინ გაწყენინებს?“ მაგრამ იმ ყმამ მონას ყურადღება არ მიაქცია. ტარიელი ფიცხლად შეჯდა ცხენზე, დაეწია და უთხრა, რომ შეჩერებულიყო და მისთვის მოესმინა. როგორც ჩანს, მას ტარიელი მოეწონა, სვლა შეანელა და მას თან გაჰყვა. ტარიელის ერთი მონა დასტაქარი (ექიმბაში) იყო. მან ისრის ნატეხი უმტკივნეულოდ ამოუღო ჭრილობიდან და წყლული შეუხვია. შემდეგ შეეკითხა, ვინ იყო და მკლავი ვისგან ივნო... მან უპასუხა, რომ მქვია ნურადინ ფრიდონი, პატარა ქვეყნის მეფე ვარ... მამის ძმა და მამაჩემი, პაპაჩემმა რომ გაჰყარა, ზღვის შიგნით პატარა კუნძული მე მხვდა წილადო, ბიძაჩემს და მის შვილებს კი, ვინც მე დამჭრეს, მათკენ დარჩა სანადირო ადგილები, დღეს გამოვედი სანადიროდ ზღვის პირას, გზა შემიკრეს, ყველა დამიხოცეს, მაგრამ ჩემი სისხლი მათ არ შერჩებათო.

ფრიდონმა ტარიელი და მისი თანმხლები პირები თავის ქალაქში დაპატიჟა, ქალაქში რომ შევიდნენ, ქალაქის მცხოვრებლები გამოეგებნენ და ძალიან შეწუხდნენ, ფრიდონი დაჭრილი რომ დაინახეს. ტარიელს ქებას ასხამდნენ. ტარიელს ძალიან მოეწონა მათი ტურფა და მდიდარი ქალაქი, ყველას ტანთ ოქროს ტანსაცმელი ეცვა.

ფრიდონი ისე მომჯობინდა, შეეძლო ცხენ-აბჯრის ხმარება და ომი. საბრძოლოდ მოამზადეს ნავები და კატარღები და მოწინააღმდეგეებს ტარიელი და ფრიდონი მძლავრად დახვდნენ,

მათ ნავებს ერთმანეთს ახეთქებდნენ და ყველანი წყალში ცვიოდნენ. ზღვის შემდეგ ცხენებით შემოუტიეს, მაგრამ ფრიდონი, როგორც ლომი ისე იბრძოდა. ტარიელმა და ფრიდონმა მათი ლაშქარი გააქციეს, ბიძა და ბიძაშვილები კი დაატყვევეს და თან წამოიყვანეს.

ფრიდონი ნესტანის ამბავს ჰყვება

ერთ დღეს ფრიდონი და ტარიელი სანადიროდ გამოვიდნენ. ფრიდონი მოუყვა ერთ ამბავს, რაც ერთხელ ნადირობისას ნახა. იმ დროს, თურმე ფრიდონმა ზღვაზე შეამჩნია რაღაც არსება, რომელიც იხვს მიამსგავსა. ზღვაზე მცურავი არსება რომ მოუახლოვდა, დააკვირდა და დაინახა, რომ ნავი იყო. რომელსაც კაცები მოაცურებდნენ. თვალები დააცეცა და დაინახა კიდობანი, რომელზეც მთვარე იჯდა. ორი შავი მონა ამოძვრა იქიდან, ქალი გადმოსვეს, რომლის მსხვილი ნაწნავებიდან ნათელი იღვრებოდა, ირგვლივ კი ყველაფერი ისე განათდა, რომ მზის შუქი დაჩრდილა. ფრიდონმა ცხენი გაქუსლა იმ მხარეს, მაგრამ ვეღარ მიუსწრო. ეს რომ გაიგო ტარიელმა, ცეცხლი მოედო და ფრიდონს თავისი ამბავი ცრემლების ღვრით მოუყვა. ფრიდონი ტარიელს როგორც შვილს ისე ემუდარებოდა, რომ დაწყნარებულიყო, თან უთხრა, რომ შენ ინდოეთის მეფე მოსულხარ ჩემდა წყალობად და მე ვალდებული ვარ დაგეხმაროო. მან ხალხი დააგზავნა ზღვაზე ყველგან, სადაც ნავების გასაჩერებელი ადგილები იყო, რათა გაეგოთ რამე კიდობანით მოგზაური ადამიანების შესახებ და საით წავიდნენ ისინი. მათ ვერაფერი შეიტყვეს. ამიტომ ტარიელმა გადაწყვიტა, თვითონ გაეგრძელებინა თავის მზის ძებნა.

ფრიდონმა ტარიელს საუკეთესო ცხენი მოუყვანა საჩუქრად, ტარიელმა დედამიწისა და ზღვის ზედაპირები ყველგან მოიარა, მაგრამ ვერაფერი გაარკვია. იგი მიადგა ერთ გამოქვაბულებს, რომელშიც ადამიანის მსგავსი დევები ცხოვრობდნენ. ტარიელი მათ შეებრძოლა, დაამარცხა, მათი გამოქვაბულები დაისაკუთრა და ახლა თავის დობილ ასმათთან ერთად აქ ცხოვრობს.

აქ დაამთავრა ტარიელმა თავისი ამბის თხრობა და ავთანდილს სთხოვა, დაბრუნებულიყო არაბეთს, მოენახულებინა თავისი საყვარელი არსება, აქ მარტო არ იქნება, ასმათი მას არ მიატოვებს. ავთანდილს არ უნდოდა მისი მიტოვება, მაგრამ შეპირდა, არ მიატოვებდა და ორი თვის შემდეგ აუცილებლად დაბრუნდებოდა.

ავთანდილის ამბავი არაბეთში წასვლისას

ავთანდილი დაბრუნდა შერმადინთან, სადაც თავისი მხედრობა ჰყავდა დატოვებული. მეგობრები ერთმანეთს სიხარულის ცრემლებით შეეგებნენ. ავთანდილმა შერმადინს უამბო ყველაფერი, რაც მან ნახა. ავთანდილმა შინაური ამბები მოიკითხა, შერმადინმა ყოველივე მოახსენა და უთხრა, შენი წასვლა არავინ იცის, როგორც მითხარი, ისე მოვიქეციო. იმ დღეს ავთანდილმა ინადიმა, დაისვენა, ცისკრის ჟამს შეჯდა ცხენზე და წავიდა. შერმადინი მახარობლად წავიდა და ათი დღის სავალი სამ დღეში დაფარა. მეფე მომავალ ავთანდილს შეეგება, რომელიც მაშინვე ცხენიდან ჩამოხტა და მეფეს თაყვანი სცა. დარბაზში შესულებს ყველა მხიარულად მიეგება და უხაროდათ ავთანდილის დაბრუნება. ავთანდილმა თაყვანი სცა თავის მზეთა მზეს. სამი დღე გაგრძელდა ნადიმობა. მეფე ავთანდილს ისე უყურებდა, როგორც შვილს ტკბილი მამა. უხვად გაიცა საჩუქრები, მარგალიტი, ძვირფასეულობა. მეფემ ტარიელის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა. ავთანდილმა დაწვრილებით მოუთხრო ყველაფერი, ისიც კი, რომ ტარიელი დევთა გამოქვაბულში ცხოვრობს თავის საყვარელი ქალის ნესტანის მეგობარ ქალთან ერთად, რომ ყმას ვეფხის ტყავი აცვია და ისეთივე ქუდი ახურავს.

ავთანდილმა თინათინს აცნობა, რომ აუცილებლად უნდა დაბრუნდეს ტარიელთან, რადგან დაჰპირდა დაბრუნებას და საყვარელი ქალის მოძებნაში დახმარებას, რადგან:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გ ზად და ხიდად“.

თინათინი ეტყვის, რომ მე ყოველი გულის წადილი ამისრულე. პირველი ის, რომ მშვიდობით დამიბრუნდი, იპოვე დაკარგული ადამიანი და მეორე, ჩემგან დანერგილი სიყვარული შენ გაზარდე და ვიპოვე წამალი აქამდე ჩემი დადაგული გულისო! მეორე დღეს ავთანდილი მეფესთან და დიდებულებთან ერთად სანადიროდ გაემართნენ, ინადირეს და იმხიარულეს, ავთანდილი კი გულმოკლული დაბრუნდა, რადგან საყვარელ თინათინთან განშორების ჟამი ახლოვდებოდა, მან თავს შეუძახა, რომ:

„სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დადება...
ავად შეჰფერის მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება!“

ავთანდილი ეთხოვება როსტევან მეფეს და ვეზირის საუბარი მეფესთან

ვათენდა თუ არა ავთანდილი ვეზირთან (მინისტრთან) წავიდა, რომელიც სიხარულით შეეგება ავთანდილს, თაყვანი სცა და შეჰკადრა ქება, რომ სტუმარი სასურველი უნდა იყოს და მასპინძელი კი მხიარულიო. როცა ავთანდილი და ვეზირი მისი ოჯახის წევრების გარეშე დარჩნენ, ავთანდილმა ვეზირს დახმარება სთხოვა იმაში, რომ როსტევან მეფე უნდა დაითანხმო, გამიშვას, ნება მომცეს იმ ყმას, ტარიელს დავეხმარო და მხარში ამოვუდგე მისი საცოლის მოძებნაში. მას მე პირობა მივეცი, რომ მასთან აუცილებლად დავბრუნდები. რომ არ დავბრუნდე, ჩემი მხრიდან დიდი სიცრუე და სიმუხთლე იქნება, რომ გაჭირვების ჟამს გვერდში არ დავუდექი. ვიცი, როსტევანი უფლებას არ მომცემს წასვლაზე, იქნებ როგორმე დაიყოლიო და პატივისცემა ჩემზე იყოსო. ვეზირი დიდხანს უარს ეუბნებოდა, მაგრამ ავთანდილი ცრემლმორეული ევედრებოდა და ბოლოს დაითანხმა, რომ წასულიყო მეფესთან ნებართვის ასაღებად. მაგრამ ვეზირს ფეხები უკან რჩებოდა, რადგან მეფის რისხვის ეშინოდა.

მართლაც, როცა როსტევანმა ვეზირის საშუალებით შეიტყო ავთანდილის წასვლის სურვილი, საშინლად განრისხდა, ვეზირს ავი, შმაგი, უმეცარი, შლეგი უწოდა, თავის მოკვეთით დაემუქრა, სკამი კედელს შეალეწა, უყვიროდა, როგორ გაბედე და მისი წასვლის შესახებ ამბის მოსაყოლად მოხვედიო.

ვეზირი გაწბილებული დაბრუნდა ავთანდილთან და უთხრა, რომ „მე თვით კაცად აღარ ვარგ ვარ“ და მიკვირს მეფემ ცოცხალი როგორ გამომიშვაო და მოუყვა მისი რისხვის შესახებ. ავთანდილმა უთხრა, როგორც ჩანს, მეფე ჩემს წასვლას არასოდეს დათახმდება და გაპარვა მომიწევსო. ვეზირმა სათანადო პატივი სცა ავთანდილს და მის თანმხლებ პირებს და დასაჩუქრებული გაუშვა.

ავთანდილმა კი, მადლობის ნიშნად უძვირფასესი ქსოვილები და ლალ-იაგუნდის ფერის ძვირფასი თვლები გაუგზავნა და შეუთვალა, რომ მე შენს ვალს იოლად ვერ გადავიხდი და თუ ცოცხალი დავრჩი, შენს სიყვარულს სიყვარულით გადაგიხდიო.

ავთანდილის საუბარი შერმადინთან
და ავთანდილის ანდერძი

შერმადინთან მისული ავთანდილი მას შესჩივლებს, რომ როსტევან მეფემ უარი უთხრა ტარიელთან დასახმარებლად წასვლაზე. მეფემ არ იცის, რომ ტარიელი არაკაცს არ იკარებს და დასახმარებლად მე მელოდება და ახლა ჩემი წაუსვლელობა ღალატის ტოლფასი იქნება, არადა მოყვრისათვის მოყვრობის გამოსაჩენად ავთანდილს მიაჩნია სამი რამ, ესენია:

„პირველი, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ -მოთმენა,
მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ - მოწყენა,
გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა“,

ამიტომ, სიტყვა რომ არ გავაგრძელო, ახლა გაპარვაა ჩემი გულის წამალი. ჩემს სახლს და მხედრობას შენ გაბარებ და გააგრძელე შენი საქმიანობა ისე, როგორც აქამდე ასრულებდი, ძალა არ მოგაკლოს ღმერთმა, მტრებს ერიდე და შენი ჩემდამი სამსახური კარგად დაგიფასდება. შერმადინმა ცრემლის დენით უპასუხა, მარტოობის არ მეშინია, მაგრამ უშენოდ ვერ გავძლებ, წამიყვანე და მიმსახურეო. ავთანდილმა უარი უთხრა, რადგან სახლს შენს გარდა ვერავის ვანდობ, ამიტომ ვერ წაგიყვანო. თან დასძინა, რომ მე ვარ ადამიანი, რომელსაც... ***“სიკვდილი მოყვასისთვის თამაშად და მიჩანს მღერად“***, მით უმეტეს, რომ ჩემმა მზემ თინათინმა გამიშვა ტარიელის დასახმარებლადო. ავთანდილმა შერმადინს როსტევან მეფისათვის გადასაცემად თავისი დაწერილი ანდერძი გადასცა. შერმადინს კი უთხრა, თუ მოვკვდები, შენ თავს ნუ მოიკლავ, ეგ სატანის საქმიანობა იქნებაო.

ავთანდილი როსტევან მეფეს სწერდა, რომ თქვენი ნების საწინააღმდეგოდ გავიპარე და გთხოვთ, ისევე შემინდოთ ჩემი საქციელი, როგორც ღმერთი შემინდობდა. ვიცი, რომ ბოლოს არ დაჰგმობთ ჩემს განზრახვას, რადგან ბრძენი კაცი მოყვარეს არ გასწირავს გასაჭირის ჟამს. მხოლოდ პლატონისეულ თქმულს

გკადრებთ, რომ *„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა , მერმე სულსა“*. თანაც მეფეო:

„არ - დავიწყება მოყვრისა არ ოდეს გვიზამს ზიანსა;
ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა!
ვერ ვეცრუვები ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა,
რა უარეა მამაცსა სულ-დიდსა, წასვლა - გვიანსა“?...
...„ კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!
ბოლოს შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!“

მეფეო, იმის დარდი, რომ სიკვდილს არ მოელოდება ადამიანი, ძალიან ცდება, რადგან დღისა და ღამის შემყრელი უეცრად მოდის, რადგან მისი ამ ქვეყნად ყოფნა მხოლოდ დროის საქმეაო. მეფეო, თუ საწუთრო დამამხობს და ვერ დამიტირებს მშობელი, თქვენ შემიწყალეთ, თქვენმა მოწყალე გულმა. ჩემი ურიცხვი საქონელი, რაც მაქვს, გლახაკებს დაურიგე, მონები გაათავისუფლე, გაამდიდრე ობლები და არაფრის მქონენი, მომიგონებენ და დამლოცავენ. რაც თქვენთვის არ ივარგებს, გამოსაყენებლად ზოგი მიეცი სასტუმროების, ზოგი კი ხიდების ასაგებად.

მეფეო, გევედრები, რომ ჩემს რჩეულ და წყალობაჩვეულ შერმადინს თვალთაგან ცრემლს ნუ დაადენინებ და შემინდე ყველაფერიო. ამის შემდეგ ეს ანდერძი გადასცა შერმადინს მეფისათვის მისართმევად, მოეხვია და ატირდა სახლიდან გასვლის წინ *ავთანდილი ღმერთს შეევედრა:*

„მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,
მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის თქმათაო!
ღმერთო, ღმერთო, გეაჯები[1] , რომელი ჰფლობ ქვეყნად ზესა,

[1] გეაჯები - გევედრები

შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,
მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა ,
ნუ აღმოფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა!
ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, არვინ მივის შენგან[1] კიდე,
შენგან ვითხოვ შეწევნასა, რა ზომსაცა გ ზასა ვლიდე,
მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე განმარიდე !
თუღა დავრჩე, გმსახურობდე, შენდა მსხვერპლსა შევსწირვიდე.

ლოცვის შემდეგ ავთანდილი ცხენზე შეჯდა, მალვით გაიარა კარი და შერმადინი, რომელიც ტიროდა და მკერდზე ხელს იცემ-და, უკან დააბრუნა.

[1] შენგან - არ მყავს შენს გარდა

როსტევან მეფემ გაიგო ავთანდილის გაპარვა

როცა გათენდა, როსტევანი ცუდ გუნებაზე ადგა, მას კარგად აღარ ახსოვდა წინა დღის ამბავი და ვეზირს უხმო. როცა იგი დარბაზში შემოვიდა, მეფემ უთხრა, გუშინ ძალიან განვრისხდი და ცუდად მოვიქეცი, თავიდან ამიხსენი ყველაფერიო. ვეზირმა წინა დღის ამბავი დაწვრილებით მოახსენა. მეფე ისევ განრისხდა და ვეზირს უთხრა, ნურაფერს მეტყვი, თორემ სულს დავლევო, ვეზირი გავიდა, ეგონა, მეფე აღარ დაიბარებდა, მაგრამ კვლავ უხმო და მან მოახსენა, რომ ავთანდილი ფარულად წასულაო. მეფემ რომ მოისმინა, დაიწყო მოთქმა, ტირილი, წვერის გლეჯა, რომ თავის გაზრდილს ვეღარ იხილავდა. ვერ ნახავდა მხიარულ, კარგ მონადირეს, ბურთაობის მოყვარულს, ტანადს და მარგალიტივით სრულყოფილს, ვეღარ მოისმენდა მის სასიამოვნო ხმას და საერთოდ, რა ვუყო ჩემს ტახტსა და სასახლეს უიმისოდო.

მეფე აგრძელებდა მოთქმას, ვიცი, რომ ის შიმშილით არ მოკვდება, მას მისი მშვილდ-ისარი გადაარჩენს და ღმერთის წყალობით ჭირი გაუადვილდებაო, მაგრამ მე რომ მოვკვდები, ჩემი გაზრდილი ვერ დამიტირებსო. სასახლეში დიდებულებმა მოიყარეს თავი, მეფემ მათ შესტირა, ყველა ტიროდა და მოთქვამდა. როცა დაწყნარდნენ, როსტევანმა იკითხა, გაიგეთ, მარტო წავიდა თუ ყმასთან ერთადო. მეფესთან დარცხვენით და ტირილით მოვიდა შერმადინი და გადასცა ავთანდილის დაწერილი ანდერძი. რომ წაიკითხეს, კვლავ იტირეს და მერე მეფემ ბრძანა:

„მხიარულსა ნუ ჩაიცმენ ჩემი სპანი[1]
ვამლოცველნეთ დავრდომილნი, ობოლნი და ქვრივნი სხვანი,
შევეწივნეთ, მშვიდობისა ნუთუ ღმერთმან მისცენ გ ზანი !“

[1] სპანი - მხედრობა

ავთანდილი წავიდა ტარიელთან მეორედ შესახვედრად და იპოვნა იგი გულწასული

ნათქვამია, მთვარე მზეს რომ მოშორდება, მოშორება მთვარეს ანათლებს, პირიქით, როცა მიუახლოვდება, შუქი დაწვავს და გაეყრება, მაგრამ ვარდს უმზეობა გაახმობს და ფერს მოაკლებს, ჩვენ კი საყვარელი ადამიანის დანახვა - ძველ ჭირს გაგვიახლებსო.

ავთანდილმა ბევრი იარა, მაგრამ ტარიელს ვერსად მიაგნო. შენ ვიდრე შეგეყრები, თავს მოვიკლავ თუ რაიმეში დავეჭვდებიო, ფიქრობდა იგი. როცა დაღამდა, მთვარეს უთხრა: - დაიფიცე შენი ღმერთის სახელი, შენ ხარ მიჯნურთა მიჯნურობის სენის მიმცემი, ასევე გაქვს წამალი მოთმინებისა და გეხვეწები, რომ მაპოვნინე, ვისაც ვეძებ შენსავით მშვენიერსო. დადიოდა და მოთქვამდა ტირილით.

დღისით კლდიან ადგილას თხა მოკლა, მწვადი შეწვა და მიირთვა. ბოლოს როგორც იქნა, ერთ გამოქვაბულს მიადგა. კართან თვალცრემლიანი ასმათი დაინახა, ავთანდილი სახარულისაგან ასმათს გადაეხვია და აკოცა და მაშინვე ტარიელი მოიკითხა. ასმათი ატირდა და უპასუხა, რომ შენი წასვლის შემდეგ ისიც წავიდა და მის შემდეგ არ მინახავს და მის შესახებ არაფერი არ გამიგიაო. ავთანდილი ძალიან შეწუხდა, დაო, რატომ მიმტყუნა, იგი ხომ შემპირდა, რომ დამელოდებოდა და აუცილებლად დავბრუნდებოდი. მართალი ხარ, მაგრამ მდინარე ტიგროსიც იკმარებს, რაც მას თვალთაგან ცრემლი უღვრია. წასვლისას მას ვკითხე, ავთანდილი რომ მოვა და არ დახვდები, რა უნდა ქნას?.. მიპასუხა, რომ მომძებნოს, თუ მკვდარს მიპოვის დამმარხოს და დამიტიროს, თუ ცოცხალი დავხვდე, გაუკვირდეს, რომ ისევ ცოცხალი ვარ. ასმათი მიუგებს; - ***„ესე არაკი მართალი ჩანს ქვათა ზედა სწერია, ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“***. კარგს იზამ თუ მოძებნი. გააკეთე შენი შესაფერისი საქმეო.

ავთანდილმა უთხრა ასმათს, სახლიდან გამოვიჭერი, როგორც ირემი წყლის საძებნელად და მე კი ტარიელს ვეძებ ყველგან. ჩემს საყვარელს მოვშორდი, ვერ ვეახელი, მერე სახლიდან

გამოპარვით წამოვედი, მეფე-დედოფალი მოვიმდურე და ძალიან ვაწყენინე, ჩემს გამზრდელს ვუორგულე, ყველაფერი დავივიწყე და ახლა დამშვრალი და მტირალი ვზივარ. დაო ასმათ, დრო აღარ მომცემს მეტი საუბრის ნებას, წავალ და გავაგრძელებ ძებნას, ან ვიპოვი, ან სიკვდილი მეწვევაო და ავთანდილი ცრემლთა ფრქვევით წავიდა.

ავთანდილი ეძებდა, ყვიროდა მის სახელს, სამი დღის განმავლობაში მოიარა მრავალი ხევი. შამბნარი, ტყე და ველი, მაგრამ ვერავინ იპოვა ტარიელის შესახებ რაიმე ამბის მცოდნე.

მტირალმა და ფერშეცვლილმა ავთანდილმა ერთი ქედი გადაიარა და ერთ მზიან-ჩრდილიან ველზე, შავი შამბნარის პირას შეამჩნია სადავეუკუყრილი ცხენი, გაიფიქრა აუცილებლად ის იქნებაო, რომ შეხედა, ავთანდილს გული გაუნათდა - ტარიელი იყო. მაგრამ ახლოს რომ მივიდა, დაინახა გრძნობადაკარგული ტარიელი, რომელიც სიკვდილის პირას იყო. პირი დაკაწრული ჰქონდა, ერთ მხარეს მოკლული ლომი და სისხლიანი ხმალი ეგდო, მეორე მხარეს, უსულო მკვდარი ვეფხვი. ტარიელს თვალის გახელაც კი არ შეეძლო, გრძნობა სრულად დაჰკარგოდა, სიკვდილს მიახლოვებოდა.

ავთანდილი თვალებიდან ცრემლებს უწმენდდა, სახელს ჩასძახოდა და ეუბნებოდა, ავთანდილი ვარო, მაგრამ მას არაფერი ესმოდა. ავთანდილმა როგორც იქნა მოასულიერა ტარიელი, მან იცნო იგი, მოეხვია, აკოცა და უთხრა: - ძმაო, ხომ შემოგფიცე, რომ სულის გაუყრელად გიხილავდი, ახლა დამეხსენ, რომ სიკვდილამდე ვიტირო, მაგრამ გევედრები, მხეცების შესაჭმელად არ დამტოვო. ავთანდილი გაუწყრა: საქმეს შენსას ავად რატომ ქმნი? მიჯნური ვინ არ ყოფილა და სიყვარულის ალი ვის არ სწვავს? მაგრამ სატანას რად წაუღიხარ და თავს ნებით რატომ იკლავ? მამაცურად უნდა მოიქცე, რადგან ბრძენნი ამბობენ, რომ:

„ხამს მამაცი მამაცური, სჯობს. რა ზომცა ნელად ტირსა.
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“.

...ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილნი[1] სდებიან?
ვის არ უნახვან პატიჟნი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან?
არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრეფიან!

ავთანდილი ტარიელს არწმუნებდა, რომ: - ***რაც არა გწადდეს, იგი ქმენ. ნუ სდევ წადილთა ნებასა***, ტარიელი კი იმეორებდა, ხომ ვნახეთ ერთმანეთი, გავიხარეთ, ხოდა, ახლა მოყვრებო, მოდით, დამმარხეთ და მიწა მომაყარეთო. ავთანდილი მრავალნაირი სიტყვებით არწმუნებდა, ნუ ხარ შენი თავის მტერი, რომ მოკვდე, ამით რას არგებ შენს თავსო. ავთანდილმა როცა ვერაფერი შეასმინა, უთხრა: - თუ სიკვდილი გიჯობს, კარგი მოკვდი, მაგრამ ერთ რამეს გეხვეწები და შემისრულე:

„ნუ გამგ ზავნი გულმოკლულსა, ერთი მიყავ საწადელი,
ერთხელ შეჯე, ცხენოსანი გნახო ჩემი სულთა მხდელი,
ნუთუ მაშინ მოვიქარვო სევდა ესე აწინდელი;
მე წავალ და შენ დაგაგდებ, იქნეს შენი საქადელი[2]!“

ავთანდილი ევედრებოდა, რომ შემჯდარიყო, იცოდა, რომ ცხენზე ჯდომა, მას დარდს განუქარვებდა. როგორც იქნა დაითანხმა, ავთანდილმა ცხენი წინ დაუყენა, წყნარად შესვა და წყნარად წაიყვანა მინდვრისაკენ. ცხენით სიარულმა ტარიელი მოამჯობინა და ავთანდილმა ტარიელი ნელ-ნელა საუბარში შეიყოლია და ასმათზე გადაუკრა სიტყვა: - ის ხომ შენი დობილი, შუამავალი და შენი სიყვარულის გამზრდელია, შენ კი მარტო მიგიტოვებია და არ უნდა ნახოო? მართალი ხარ, მე არ მეგონა, რომ ვიცოცხლებდი, რადგან გადავრჩი, თუმცა ჯერ ისევ დარეტიანებული ვარ, წავიდეთო და ასმათისკენ გაემართნენ, მართლაც, ***„გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“***.

ვიდრე ასმათთან მივიდოდნენ, ტარიელმა გზაში დაწვრილებით უამბო ავთანდილს, თუ როგორ დახოცა ლომი და ვეფხვი. როცა ტარიელი ავთანდილს ელოდებოდა, გამოქვაბულში

[1] სახმილნი - სიყვარულის ცეცხლი
[2] საქადელი - დანაპირები

ყოფნა მოსწყინდა, ვეღარ გაძლო და მინდორში მოინდომა ცხენით გავლა. ქედი რომ გადაიარა შამბნარში გადააწყდა ლომსა და ვეფხვს, რომლებიც ერთმანეთის მოყვარულებს ჰგავდნენ, სახით მიჯნურებს მიამსგავსა. ისინი ერთმანეთს შეებნენ და გამწარებით იბრძოდნენ. ვეფხვი გარბოდა, ლომი მისდევდა, ჯერ ილაღობეს, მერე მედგრად წაეკიდნენ ერთმანეთს, ვერ დამშვიდნენ. ტარიელმა ლომს მიმართა: რა აწყენინე შენს საყვარელს, ფუ, მაგ მამაცობასო და ლომს მიუხტა, ლახვარი გადაჰკრა და მოკლა. შემდეგ ხმალი გატყორცნა, გაიჭრა, ვეფხვი ხელით შეიპყრო და მისი კოცნა მოუნდა, ვეფხვი უღრენდა და სახეზე ბრჭყალებით სისხლს ადენდა. ტარიელმა ვეღარ გაუძლო, ვეფხვი მოიქნია, მიწას დაანარცხა და ისიც მოკლა. ამ ამბავს რომ ჰყვებოდა, ავთანდილთან ერთად ისიც ატირდა.

ტარიელი და ავთანდილი გამოქვაბულში მიდიან ასმათის სანახავად

ასმათმა რომ დაინახა გამოქვაბულისკენ მომავალი ტარიელი და ავთანდილი, მათ ტირილით მიეგება, ორივე გადაკოცნა და ღმერთს შეჰღაღადა: -

„ღმერთო, რომელი არ ითქმის კაცთა ენითა,
შენ ხარ სავსება ყოველთა, აგვავსებ მზეებრ ფენითა;
გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ - საქებელო სმენითა!
დიდება შენდა, არ მომკალ ამათთვის ცრემლთა დენითა!“

ტარიელი მიუგებს ასმათს: - ჰე, დაო, რაც მე აქ ცრემლი მიდენია და რამდენიც ჩვენ გაგვიცინია, იმის ნაცვლად საწუთრო გვატირებს, ეს სოფლის წესია, ახალი ამბავი არ არის, მაგრამ შენი ბრალი, თორემ სიკვდილი ჩემთვის ლხინიაო. ავთანდილსაც გაახსენდა მისი მზე თინათინი, როცა მე მასთან არ ვარ, იმ დროს სიცოცხლე ჩემთვის სინანულია და ცეცხლიც მწვავს, მაგრამ ჩვენ გულს უნდა შევუძახოთ, რომ კლდესავით გამაგრდეს, ვიდრე მათი ნახვა მოგვიწევსო. შემდეგ ორივენი დადუმდნენ, ორივეს ერთნაირი ცეცხლი სწვავდა. ასმათმა მათ ვეფხვის ტყავი დაუგო, ორივე დასხდნენ და გააგრძელეს ერთმანეთთან საამო საუბარი. შემდეგ მწვადი შეწვეს, ტარიელს პირი არ დაუკარებია, ჭამის თავი არ ჰქონდა.

დილას ტარიელმა უთხრა ავთანდილს, რომ რაც შენ ჩემთვის გაგიკეთებია, ღმერთი სამაგიეროს მოგიზღვავს. ახლა კი წადი, დაბრუნდი შენ მზესთან. ავთანდილმა მიუგო, გეყოფა ჩემი სწავლება, მე ჩემს მზეს დავეთხოვე და მისი ნებით ვარ შენთან დასახმარებლად წამოსული. ახლა რომ დავბრუნდე, რა უნდა ვუთხრა? ტარიელი ავთანდილს შეეხვეწა, ახლა წადი და ერთი წლის შემდეგ, კვირას გამოქვაბულში მიპოვი, თუ არ მოვედი, ცოცხალი აღარ ვიქნები. შემდეგ ორივე ცხენებზე შესხდნენ, მოინადირეს, მერე გამოქვაბულში დაბრუნდნენ. დილით ასმათს გამოეთხოვნენ და ტირილით დაშორდნენ. ტარიელმა და ავთან-

დილმა ის დღე ერთად გაატარეს, მივიდნენ ზღვის სანაპიროზე და იქ შეჩერდნენ. ავთანდილმა ტარიელს უთხრა, რატომ მოიშორე მაგ ცხენის მომცემი ძმადნაფიცი ფრიდონი? ახლა მე წავალ მასთან და მასწავლე მისი გზაო. აღმოსავლეთით წადი და ორივე ზღვის პირას იარე, თუ ნახო, ჩემი მოკითხვა გადაეციო. შემდეგ თხა მოკლეს, ზღვის პირას ცეცხლი დაანთეს, შეწვეს, მიირთვეს და ხის ძირას ერთად მიწვნენ. ცისკარზე ადგნენ, ერთმანეთს დაემშვიდობნენ და მათი ცრემლები ველს ეფინებოდა. მერე ორივენი სხვადასხვა მხარეს წავიდნენ და მზეც კი თანაუგრძნობდა მათ მწუხარებას.

ავთანდილის წასვლა ფრიდონთან და მასთან სტუმრობა

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგ მცა[1] ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“.

ვარიელთან დაშორებული ავთანდილი ტირილით მიდიოდა და მისი ხმა ცას სწვდებოდა. იგი ამბობდა, რომ სისხლი ღვარად სდენია და კვლავაც სდის, დაშორება ისევე ძნელია, როგორც მაშინ, როცა შევეყრებით ერთმანეთს. ყველა კაცი ერთნაირი არაა, კაციდან კაცამდე დიდი ზღვარიაო. ავთანდილს თინათინის სახე არ სცილდებოდა თვალთაგან, იგი მზესა და ვარსკვლავებს გაესაუბრა. მზეს უთხრა, თინათინის ღაწვები შენ გგავს და შენ მას ჰგავხარ, თქვენ ორივე ანათებთ მთაშიც და ბარშიც, მაგრამ ჩემი გული რატომ დატოვეთ გაუმთბარად? ცას შესტიროდა და თან მზეს ევედრებოდა, როგორც მძლეთა-მძლეს, რომელიც მდაბალს აამაღლებს და ბედნიერ მეფობას მისცემს, მე კი ნუ გამყრი საყვარელთან და დღეს ღამედ ნუ შემიცვლიო. პლანეტა კრონოსს სთხოვდა, - მოდი, მომიმატე ჭირზე ჭირი, გული შავად შემიღებე და ხშირი სიბნელე მომეციო. იუპიტერს ევედრებოდა, ღმერთივით მართალ ბჭეს, რომ გული გულს გადაეჭდოს, სიმართლეს ნუ გაამრუდებ და ამით სულს ნუ წაიწყმედო. იგი გაესაუბრა მარსს, ვენერას, მერკურს და თავისი გულის დარდები გაუზიარა. მთვარეს კი უთხრა, მოდი, მთვარეო, შემიბრალე. მე შენსავით ვმჭლევდები, მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვმსხვილდები, ზოგჯერ ვწვრილდები, მას უამბე ჩემი ნათქვამი. უთხარი ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვკვდებიო.

მოიმღეროდა ავთანდილი ტკბილად, მის მოსასმენად მხეცებიც მოდიოდნენ ტყიდან, წყლიდან და მიწიდანაც ამოდიოდნენ და ცრემლებს ღვრიდნენ.

---

[1] ნიადაგმცა - მუდამ

ავთანდილი სამოცდაათი დღე ზღვის პირას გზას მიუყვებოდა. შორიდან შენიშნა, რომ ზღვის შუაგულიდან ნავები მოცურავდნენ. მოიცადა, ვიდრე მოუახლოვდებოდნენ და ჰკითხა;- გეხვეწებით მითხარით, ვინ ხართ, ვისია ეს სამეფო და ვის ემორჩილება?

მოახსენეს: - სახით და აგებულებით ტურფაო, ძალიან გვეუცხოვე და მოგვეწონე, ამიტომ გეტყვით: აქამდე თურქეთის საზღვარია, მოსაზღვრეა ნურადინ ფრიდონი, ამა ქვეყნის ჩვენი პატრონი მეფე, მხნე, უხვი, ძლიერი, ცხენის ფიცხლად მხტომელი და ცის შუქთა მფენიო. ავთანდილმა უთხრა: - ჩემო ძმანო, კარგ ადამიანებს შეგხვდით, სწორედ თქვენს მეფეს ვეძებ, მასწავლეთ, საით წავიდე ან რა სიგრძისაა გზა, რომ მივიდე? მენავეებმა ავთანდილს მოახსენეს, რომ ეს გზა მიდის მულღაზანზაროსკენ, იქ დაგხვდება ჩვენი მშვილდოსანი და მახვილხმლიანი მეფე. აქედან ათ დღეში მიხვალო და ისევ შეაქეს ავთანდილი. მან გზა განაგრძო და ვინც კი გზად ხვდებოდა, ყველა მოწიწებით ეპყრობოდა, გზას ასწავლიდნენ და მისი გაშვება ეძნელებოდათ.

ავთანდილმა მალე გაიარა ნასწავლი გზა და დიდ მინდორზე შეამჩნია დიდი ლაშქარი, რომელსაც ალყა შემოერტყა მინდვრისათვის, როგორც ჩანდა მონადირეები იყვნენ. ავთანდილმა ერთ შემხვედრ კაცს ჰკითხა: - ეს რა ზათქისა და ზარის ხმააო? მულღაზანზაროს მეფე, ფრიდონ ხელმწიფე ნადირობს და ველ-შამბნარის გზა არის შეკრულიო. ამ დროს, ლაშქრის მიერ წრედ შემორტყმულ ადგილზე, შუაში საიდანღაც ორბი გადმოფრინდა, ავთანდილმა არ დაახანა, ცხენით შეუტია, ისარი შეტყორცნა და ორბი ჩამოაგდო, რომელსაც სისხლი სდიოდა. ავთანდილი გადახტა ცხენიდან, ორბს ფრთები დააჭრა და ისევ წყნარად დაჯდა ცხენზე.

მონადირეებმა ალყა დაშალეს, მოვიდნენ, ავთანდილს აქეთ-იქიდან უვლიდნენ, არც კი კადრებდნენ შეკითხვას თუ ვინ იყო და არც არაფერს ეუბნებოდნენ. მინდვრის შუაში გორაზე ფრიდონი იდგა და თან ორმოცი მსროლელი ახლდა. ავთანდილი იქით გაემართა და თან ის წრეც მიჰყვებოდა. ფრიდონს გაუკვირდა და თავის მხედრებზე გაწყრა. მონა გააგზავნა ამბის გა-

საგებად, მონა ფიცხლად მივიდა, მაგრამ რომ ნახა საროსტანა, ულამაზესი ადამიანი, თვალები გაუშტერდა და სიტყვის თქმა დაავიწყდა. ავთანდილმა ამბის გასაგებად გამოგზავნილს უთხრა, წადი, შენს პატრონს მოახსენე, რომ ვარ უცხო ვინმე, ტარიელის ძმადნაფიცი და თქვენთან მოსულიო.

ტარიელის ხსენებაზე ფრიდონს ცრემლი გადმოსცვივდა, გული აუჩქარდა, ფიცხლად ჩაირბინა ფერდობი და ჩაეგება ავთანდილს. ერთმანეთს გადაეხვივნენ, უცხოობას არ მორიდებიან. ორივეს მოეწონა ერთმანეთი, ცხენებზე შესხდნენ და ფრიდონის სასახლისკენ გაემართნენ. ნადირობა ჩაიშალა და ავთანდილის სანახავად მოსულები გაოცებულები იყვნენ: „ასეთი ხორციელი შეუქმნია ნეტარ, რასა!“

ავთანდილმა ფრიდონს უთხრა, ალბათ გეჩქარება გაიგო, საიდან მოვედი, საიდან ვიცნობ ტარიელს და რად ვუხმობ მას ძმადო... და მოკლედ მოუყვა ყველაფერს, რომ იგი არაბეთის სახელმწიფოს მხედართმთავარია და რომ ერთ დღეს სანადიროდ გასულებმა შემთხვევით იხილეს ვეფხვის ტყავში ჩაცმული ყმა, მეფემ ლაშქარი გააგზავნა მისი ვინაობის გასაგებად, მაგრამ იმ ყმამ ყველა ამოწყვიტა... მოკლედ ყველაფერი მოუყვა და ისიც, რომ ახლა დევებისთვის წართმეულ გამოქვაბულში ცხოვრობს თავის დობილ ასმათთან ერთად და ნანადირევით მასაც არჩენს. გვერდზე ვერავის ვერ იტანს. მხოლოდ მე, უცხო ადამიანს მომისმინა და მომითხრო თავისი ამბავი, თუ რა გადაიტანა თავისი სასურველი ქალის ძებნაში. როგორც მთვარე სულ დაუდგრომლად დადის და შენსავე ნაჩუქარ ცხენზე ზის და როგორც ნადირი, ადამიანებს ერიდება. თქვენი დაძმობილების ამბავი მან მომითხრო, ახლა მიპოვნიხარ და რა ვქნა, როგორ მოვძებნო, მისი მზისა და ლხინის მნახველი არ ვიციო. ავთანდილი და ფრიდონი ერთად ტიროდნენ და ცრემლების გუბეს აყენებდნენ.

შევიდნენ ფრიდონის ქალაქში. სასახლე დახვდა სახელმწიფოსთვის სრულად მოკაზმული და შესაფერისი. ტურფად ჩაცმული მონები, მთელი გულით და აღტაცებით შეჰყურებდნენ ავთანდილს. უამრავმა დიდებულმა მოიყარა თავი, ავთანდილი და ფრიდონი ერთად დასხდნენ და ერთმანეთს ამშვენებდნენ,

შეიქმნა დიდი პურობა. იმ დღეს კარგად მოილხინეს, როცა გათენდა, ავთანდილი განბანეს და შემოსეს უძვირფასესი ატლასის შესამოსელით და წელზე შემოარტყეს ფასდაუდებელი სარტყელი(ქამარი).

რამდენიმე დღე დაჰყო ავთანდილმა ფრიდონთან. მასთან ერთად სანადიროდ დადიოდა და შორი-ახლოს რაც ხელთ მოჰხვდებოდათ, ნადირს ჰხოცავდნენ. ავთანდილის ნასროლი ისარი ყველა მშვილდოსანს დარცხვენილს ტოვებდა.

ავთანდილმა ფრიდონს უთხრა, რომ შენთან დაშორება ჩემთვის სიკვდილის ტოლფასია, მაგრამ გრძელი გზა მაქვს გასავლელი და თანაც სასწრაფო საქმე. ფრიდონსაც არ ეთმობოდა ავთანდილის წასვლა, მაგრამ დალოცა და უთხრა, წადი, ღმერთი გიწინამძღვრებსო, მაგრამ მარტო შენი გაშვება არ შეიძლება, თან ყმებს გაგაყოლებ, იახლე და იმსახურე ისინი. ფრიდონს მოუყვანა ოთხი ერთგული მონა, სრული საომარი იარაღი - მკლავზე გასაკეთებელი ჯაჭვითა და ბარკლის დასაფარავი საომარი ტანსაცმლით. სამოცი ლიტრა ღვინო, სრული უნაგირით გაწყობილი უებრო ტაიჭი და ერთი წვივმაგარი ჯორი, რომელსაც აჰკიდა საწოლისათვის საჭირო საგებელი. ფრიდონმა ცხენით საზღვრამდე მიაცილა ავთანდილი და გაახსენდა, რომ აქ ნახა, ზანგმა მონებმა რომ მოიყვანეს მზის მსგავსი, კბილთეთრი და ლალისფერტუჩებიანი მნათობივით ქალი. მაგრამ ფრიდონი რომ დაინახეს, ისე გაჰქრნენ, როგორც ფრინველებიო... ორივენი თვალცრემლიანი დაშორდნენ ერთმანეთს.

ავთანდილის წასვლა ნესტანის საძებნელად და ქარავანთან შეხვედრა

ზღვის პირას მიმავალი ავთანდილი ფიქრობდა ტარიელზე, მაგრამ არ ავიწყდებოდა თავისი მზე თინათინი - ის არის ჩემი გამმრთელებელი გულისაო. ერთგან, ქედი რომ გადაიარა, დაინახა ზღვის კიდეზე მდგომი აქლემების ურიცხვი ქარავანი. ავთანდილი მათ მიუახლოვდა და ჰკითხა, თუ ვინ იყვნენ. ქარავნის უხუცესი იყო ბრძენი კაცი უსა. მან შეაქო ავთანდილი, ხოტბა შეასხა და დალოცა, შემდეგ ჰკადრა, ხმელეთის სინათლევ, შენ მოხვედი ჩვენი მლხენი? ჩამობრძანდი ცხენიდან და მოგახსენებთ ჩვენს ამბავს. მოქარავნეებმა უთხრეს, რომ მაჰმადიანი ვაჭრები არიან ბაღდადიდან. ზღვათა მეფის ქალაქში წამოვიდნენ სავაჭროდ უამრავი საქონლით. ზღვის პირას გულწასული კაცი ვნახეთ. როცა ვუშველეთ, ენა ამოიდგა და გვითხრა, იმ ქალაქში ნუ შეხვალთ, თორემ დაგხოცავენ. ეგვიპტიდან გამოვემგზავრეთ ქარავნით, უამრავი საქონლით დატვირთულები. როცა შევედით, იქ მეკობრეები დაგვხვდნენ და დაგვხოცეს ნავზე დამაგრებული სახნისის წვერით, ყველა მოკვდა, არ ვიცი, მე როგორ გადავრჩი და აქ ვინ მომიყვანაო, ასე გვითხრა. აი, ეს არის მიზეზი, რის გამოც აქ ვდგავართ, დაბრუნებით განუზომელ ზიანს მივიღებთ, თუ შევალთ დაგვხოცავენო. ჩვენ კი ამის ძალა არ გვაქვს. ავთანდილმა მიუგო, თქვენ ვაჭრები მშიშრები ხართ, ომის არაფერი გაგეგებათ. კარებები ჩაკეტეთ და ნახავთ მარტო როგორ შევებმებიო.

ავთანდილმა აბჯარი ჩაიცვა, ცალი ხელით რკინის კეტი ეჭირა და ნავის თავთან დადგა უშიშრად და მამაცურად. მეკობრეებმა ძელი აძგერეს, რომელსაც სახნისი ჰქონდა წამოგებული. ავთანდილმა კეტი მოიქნია და ძელი მოტეხა, ნავი დაულეწელი დარჩა. მეკობრეთა ლაშქარი შეშინდა და გადასასვლელი გზა ვერ მოძებნეს, ველარ მიასწრეს და ავთანდილი მეკობრეთა ლაშქარს ისე ხოცავდა, როგორც თხებს და ზღვაში ჰყრიდა, ზოგი ეხვეწებოდა, ნუ დაგვხოცავო და მათ არ ჰკლავდა, არამედ იმონებდა... ავთანდილმა მეკობრეთა სიმდიდრით დატვირთული ნავი

შეატყუპა უსას ნავს და უთხრა: მეკობრეთა სიმდიდრე თქვენგან ძღვნად მიმიღიაო. მოქარავნეებმა დიდად გაიხარეს, ავთანდილს აქებდნენ, კოცნიდნენ და ეძახდნენ: ასეთი ძნელი ფათერაკისაგან გადაგვარჩინეო.

ჩვენი სიმდიდრეც შენი იყოსო. მაგრამ ავთანდილმა უთხრა, თქვენი არაფერი მინდა, ის მეკობრეთა სიმდიდრეც თქვენი იყოსო. თქვენგან მე მხოლოდ ერთი რამ მინდა. გარკვეული დროის განმავლობაში ჩემს შესახებ ნურაფერს იტყვით, არც იმას, რომ გიპატრონეთ, თქვით, რომ ჩვენი უფროსიაო. მე სავაჭრო ტანსაცმელს ჩავიცვამ და დავიწყებ აღებ-მიცემობას. ჩვენს ძმობას გაფიცებთ, ეს საიდუმლო შემინახეთო. მათ ძალიან გაუხარდათ ეს პირობა, თაყვანი სცეს და დააიმედეს.

ავთანდილის გულანშაროში მისვლის ამბავი

ღვა გაიარეს და შევიდნენ ბაღით გარემოცულ, სხვადასხვა ფერის ყვავილებით სავსე ქალაქში. მათ ნავი სამი საბმელით დააბეს. ავთანდილმა ტანზე ჯუბა ჩაიცვა, დაჯდა სკამზე, დაიწყო ვაჭართა ხელმძღვანელობა და ამით თავის ვინაობას მალავდა. მოვიდა ერთი მებაღე, ავთანდილმა მას უხმო და შეეკითხა: - ვინ ხართ, ვისნი ხართ და რა ჰქვია თქვენს მეფესო. თან ეკითხება, დაწვრილებით მითხარი, აქ რა არის ძვირი და რა იყიდება იაფადო. მან მოახსენა, რაც ვიცი ყველაფერს მართალს მოგახსენებთო.

ჩვენი ზღვის სამეფო გულანშარო ათი თვის სავალზეა გადაშლილი. ის მრავალი სიტურფითაა სავსე, აქ ყველა ზღვით ჩამოდის, ყველა ხარობს, სვამენ, თამაშობენ, მუდმივად ისმის სიმღერები, ზამთარ-ზაფხულში ყოველთვის გვაქვს ფერად-ფერადი ყვავილები, ყველა ნატრობს ჩვენთან ჩამოსვლას.

დიდი ვაჭრები სარგებელს იღებენ ყიდვა-გაყიდვით. ხან იგებენ, ხან აგებენ, მე ვარ ვაჭართა უხუცესის - უსენის მებაღე. ეს ბაღი მისია. დიდვაჭარნი როცა მოდიან, მას ნახულობენ და ძღვენს უძღვნიან. ფატმან ხათუნი, მისი ცოლი შინ არის. ის კარგი და მხიარული მასპინძელია და მას ვაცნობებ თქვენი მოსვლის შესახებო. ავთანდილი დაეთანხმა. მებაღემ ისე სწრაფად ირბინა, რომ მკერდიდან ოფლი ჩამოსდიოდა. მებაღემ ხათუნს ახარა ვინმე ვაჭრის, ქარავნის პატრონის ჩამოსვლის ამბავი, რომელიც საროს ტანისა და შვიდი დღის მთვარის მსგავსიაო. ფატმან ხათუნი გაეგება ავთანდილს, მიესალმა, ერთმანეთი მოიკითხეს. ფატმან ხათუნი, თვალად გულმისასვლელი, არც თუ ისე ახალგაზრდა, უკვე საკმაოდ ხანში შესული, კარგი აგებულების შავგვრემანი და პირმსუქანი ქალი იყო, სიმღერისა და მომღერალთა მოყვარული და ღვინის მსმელი. მას უამრავი გარეთ გასასვლელი, სასტუმრო ტანსაცმელი ჰქონდა. იმ ღამეს ფატმანმა ძალიან კარგად უმასპინძლა ავთანდილს და ამანაც კარგი ძღვენი მიართვა, სვეს და მიირთვეს. დასაწოლად ავთანდილი გარეთ გავიდა, ავთანდილი ვაჭრულად შეიმოსა, ზოგჯერ ფატმანი უხმობდა და მასთან რჩებოდა, ისხდნენ, საუბრობდნენ არა მკაცრად. ფატმანს ავთანდილის გარეშე ყოფნა ჰკლავდა.

ფატმან ხათუნს ავთანდილი შეუყვარდა
ფატმანის სამიჯნურო წერილი ავთანდილისადმი

ფატმან ხათუნს ავთანდილი ისე შეუყვარდა, რომ მისი ცეცხლი სწვავდა. დამალვას შეეცადა, მაგრამ ჭირს ვერ მალავდა და ცრემლებს ღვრიდა. ფიქრობდა, რომ ვუთხრა, ვაითუ გაწყრეს და მისი შეხედვაც კი გამიძვირდეს, თუ არ ვეტყვი, როგორ გავძლო, ცეცხლი უფრო გამიხშირდებაო და მკურნალს თუ არ ეტყვი რა გაწუხებს, ვერ განგკურნავსო და გადაწყვიტა, ავთანდილისთვის წერილი მიეწერა. ფატმანმა ავთანდილს ისეთი გულისშემძვრელი წერილი მისწერა, რომ მისი დახევა არ შეიძლებოდა. იგი წერდა:

„ჰე, მზეო, ღმერთსა ვინათგან მზედ სწადდი დასაბადებლად,
მით შეგქმნა მოშორვებულთა ჭირთა, არ ლხინთა მწადებლად,
ახლოს შემყრელთა დამწველად, მათად ცეცხლისა მადებლად,
მნათობთა შენი შეხედვა ტკბილად უჩნს, დასაქადებლად“.

იგი წერდა, რომ მისი შემხედვარენი საბრალოდ იბნიდებიან და მიკვირს ბულბულები შენთან რატომ არ იკრიბებიანო. სრულად ვარ დამწვარი შენგან თუ მზის შუქი არ მომესწრებაო. ღმერთი მოწმეა, რომ მეშინია თქვენთვის ამის თქმა, მაგრამ რა ვქნა მე ბედკრულმა, სრულად დამეკარგა მოთმინება და თუ არ შემეწევი, გავგიჟდებიო. მე ვიდრე ამ წერილის პასუხს მივიღებ უნდა ვიცოდე, რას გადამიწყვეტ, სიცოცხლეს თუ სიკვდილსო. ეს წერილი რომ მიიღო, გაიფიქრა, მან არ იცის ჩემი გული ვის ეკუთვნის და თან:

„ყვავი ვარდსა რას აქმნევს, ანუ რა მისი ფერია!
მაგრა მას ზედა ბულბულსა ჯერ ტკბილად არ უმღერია,
უმსგავსო საქმე ყოველი, მოკლეა მით ოხერია,
რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!“

მაგრამ ავთანდილმა გაიფიქრა, აქ რისთვისაც ვარ და ვისი მოძებნაც მინდა, ეს დიაცი მე დამეხმარება. ის არის მრავალ და

ყველგან მავალ მგზავრთა და კაცთა მოყვარე და უნდა მივყვე მის სურვილს, იქნებ მიამბოს ყოველივე. საერთოდ დიაცს ვინც უყვარს, მას სულსა და გულს მისცემს, რაც იცის ყვლაფერს მოუყვება, თავის დარდს გაუზიარებს, ამიტომ მიჯობს მივყვე, ალბათ როგორმე რაიმეს გავიგებო და თან გაიფიქრა:

„ვერვინ ვერას იქმს, თუ ეტლი[1] არ მოსთმინდების,
მით რაცა მინდა, არა მაქვს, რაცა მაქვს, არ მომინდების;
ბინდის გვარია სოფელი, ეს თურე ამად[2] ბინდდების,
კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდგინდების!“

და ავთანდილმა ფატმან ხათუნს წერილის პასუხი გაუგზავნა: - შენი წერილი წავიკითხე, შენ მომასწარი, თორემ მე უფრო დიდი სურვილი მკლავს და ცეცხლი მედება. შენც გინდა და მეც მინდა შენთან განუწყვეტელი ხლება, ძალიან კარგი, რადგან ორივეს ნებაა. ფატმანს ძალიან ესიამოვნა პასუხი და მისწერა, კმარა, რაც უშენოდ ცრემლი ვღვარე, როცა შეღამდება მოდი, შენთან შეხვედრა დამიჩქარეო.

ავთანდილმა წერილი როცა მიიღო, მაშინვე წავიდა. მაგრამ ფატმანმა მის მოსვლამდე ახალი წერილი გაუგზავნა, სადაც წერდა, ამაღამ ნუ მოხვალ, შენთვის მზად არ ვიქნებიო. მაგრამ ავთანდილი განაწყენდა და უკან აღარ დაბრუნდა.

ფატმანი მოწყენილი დახვდა, მაგრამ დასხდნენ და დაიწყეს კოცნაობა და ლაღობა. ამ დროს კარს მოადგა ვიღაც კეკლუცი, ტანნაკვთიანი ახალგაზრდა კაცი და უკან შემოჰყვა ხმალ-ფარიანი მონა. ყმამ ავთანდილი რომ დაინახა შეკრთა, ფატმანი შეშინდა, ძრწოლვამ აიტანა. შემოსულმა ყმამ კი ფატმანს უთხრა, რომ გათენდება განანებ მაგ მოყმის შენთან ყოფნას, ბოზო დიაცო, ხვალ პასუხს მიიღებ მაგ საქმისათვის, შენს შვილებს შენი კბილით დაგაჭმევინებო.

ფატმანმა დაიწყო ტირილი, თავში ცემა და სახის დახოკვა, დაიწყო მოთქმა - ქმარი მოვკალი, შვილები ამოვწყვიტე და ჩემი სახლი გავანადგურე, ეს შენი სიყვარულის გამო მომივიდაო და ფატმანმა ავთანდილს უბრძანა: - წადი, ის კაცი ღამე მოჰკალი

[1] ეტლი - ბედისწერა
[2] ამად - ამიტომ

ჩუმად. მე და ჩემი ოჯახი დაგვიხსენი მისგან, რომ მოხვალ ყველაფერს მოგიყვები, თუ არა, ამ ღამითვე წაიღე შენი ტვირთი, დატოვე ჩემი მიდამო. ვშიშობ, რომ ჩემი ცოდვის გამო შენც ჭირი მოგეწიოს და მე კი, თუ ის ყმა მოვა, შვილებს პირით შემაჭმევს. თუ იმ კაცს მოჰკლავ, თითზე ჩემი ნაჩუქარი ბეჭედი აქვს და თითიდან მოაძვრეო.

ეს რომ უთხრა, ავთანდილმა მოსთხოვა კაცი გაეყოლებინა წინამძღოლად, რომ იმ კაცის სახლი ესწავლებინა, მან ფატმანი დაამშვიდა, შენ წყნარად იყავი, მე ის ვერას მიზამს, ნახე რასაც ვუზამო.

წინამძღოლმა ავთანდილს უჩვენა ის სახლი. კარის წინ ორი დარაჯი იწვა, ორივე ერთმანეთს შეატაკა და სული ამოჰხადა. ის ყმა კი, საწოლზე მწოლიარე, დანით ჩუმად მოჰკლა, ბეჭდიანი თითი მოჰკვეთა და ცხედარი ზღვაში ისროლა ფანჯრიდან. მათი დახოცვის ამბავი არავის გაუგია.

ფატმანთან რომ შევიდა, ავთანდილმა მოახსენა ყველაფერი, მოწმედ შენი მონა მყავს, იმის მოჭრილი ბეჭდიანი თითი და სისხლიანი დანაო. ახლა მითხარი, რამ გაგაშმაგა ასე, რას გემართლებოდა ის კაცი, მაინტერესებს ძალიანო. ფატმანი ავთანდილს ფეხზე მოეხვია და უთხრა: - მე ღირსი არ ვარ შენი შემოხედვის, გამიმრთელდა გულის წყლული და ჩემი ქმარ-შვილით ახლა დავიბადე. ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვებიო.

ფატმანი ნესტანის ამბავს უყვება ავთანდილს

ქალაქში ასეთი წესი იყო დადგენილი: ნავროზობის დღეს (ახალი წლის დღესასწაული დგებოდა 21 მარტს), არავინ არ ვაჭრობდა, არავინ სადმე არ მიემგზავრებოდა. ყველა იწყებდა ჩაცმა-დახურვას, გალამაზებას, მეფენი კი დიდპურობას და დარბაზობას მართავდნენ, დიდი ვაჭრები კი, ერთმანეთს ძღვენს უძღვნიდნენ. ათი დღის განმავლობაში ყველგან ისმოდა საკრავების ხმა, მოედანზე კი, სიმღერის, ბურთაობის და დოღის ცხენთა ფეხის ხმის დგრიალი.

ფატმანის ქმარი - უსენი, დიდ ვაჭრებს წინ მიუძღვებოდა ხოლმე, მათ ცოლებს კი - ფატმანი და დედოფალი ძღვენს უძღვნიდნენ. მდიდრები თუ ღარიბები, დარბაზობისას დროს მშვენივრად ატარებდნენ და შინ მხიარულნი ბრუნდებოდნენ.

ერთხელ, ნავროზობის დღე რომ დადგა... უყვება ფატმანი ავთანდილს, დედოფალს ძღვენი მივართვით, მათაც გვიბოძეს, აგვავსეს საჩუქრებით და მხიარულები წამოვედითო. საღამოს ფატმანმა ხათუნები ბაღში გაიყვანა, სადაც სუფრა ჰქონდა გაშლილი მათთვის, სადაც ისინი ტკბილად მღეროდნენ და ერთობოდნენ. ბაღის შიგნით ლამაზად და ნატიფად აგებული დახლი იდგა, რომელიც ზღვას გადაჰყურებდა. ერთ მომენტში ფატმანმა რაღაც უმიზეზოდ მოიწყინა და გულზე სევდა შემოაწვა. ვაჭრის ცოლებმა რომ დაინახეს, ყველა წავიდა. ფატმანმა სარკმელი გამოაღო და ზღვისკენ გაიხედა. შორს, ზღვის შიგნით შეამჩნია, რაღაც მოცურავდა, რაღაც ფრინველს თუ მხეცს მიამსგავსა, მაგრამ ახლოს რომ მოვიდა, დაინახა ნავი, რომელშიც ტანადაც და სახითაც შავი კაცები ვიღაცას აქეთ-იქიდან ამოდგომოდნენ. რომ გადმოვიდნენ, ძალიან გაუკვირდა, ისეთი უცხო რამ დაინახა. ფატმანი მათ ჩუმად უთვალთვალებდა. კაცებმა ნავი ნაპირთან მოაცურეს, ბაღის წინ გააჩერეს, მიიხედ-მოიხედეს, ვინმე ხომ არ გვითვალთვალებსო, ვერავინ რომ ვერ შეამჩნიეს, რაღაც დიდი ყუთი გადმოიღეს ნავიდან, თავი აჰხადეს და შავი თავსაბურიანი ქალი გადმოსვეს, რომელსაც ტანთ მწვანე ეცვა და მზესავით ტურფა იყო.

როცა ქალი ფატმანისკენ შემობრუნდა, კლდეს სხივები მოეფინა და მისი ღაწვები(ლოყები) ზეციურად აელვარდა. ფატმანმა თვალები მოხუჭა, ვერ გაუძლო მზის ჭვრეტას. სარკმელი მიხურა. მან მოუხმო ოთხ მონას, დაანახა ინდოელები და უთხრა, ჩუმად მიეპარეთ და შეევაჭრეთ, რასაც მოგთხოვენ მიეცით, თუ უარს გეტყვიან, წაართვით და დახოცეთო. მონებს ქალის გაყიდვაზე უარი რომ უთხრეს, ფატმანმა გადასძახა, დახოცეთო, ასეც მოიქცნენ, დახოცეს და ზღვაში გადაჰყარეს.

ფატმანი ქალს ჩაეგება, ამოიყვანა სახლში, ის მზეს სჯობდა სილამაზითო... ამ სიტყვების წარმოთქმისას ფატმანი ატირდა, მას ავთანდილიც აჰყვა, როცა დაწყნარდნენ, ავთანდილმა სთხოვა ფატმანს, გაეგრძელებინა ბოლომდე ამ ამბის თხრობა. ფატმანმა განაგრძო... როცა მიეგება, მისი სხეულის ყოველი ასო გადაუკოცნა, დასვა თავის ტახტზე და ჰკითხა: - მზეო, ვინა ხარ, რომელი ტომის შვილი, სად მიჰყავდი იმ ზანგებსო. ქალმა არაფერი უპასუხა, ტირილი დაიწყო და წყაროსავით გადმოსდიოდა ცრემლებიო. ძალიან რომ შეაწუხა ფატმანმა შეკითხვებით, ქალი გულამოსკვნით ატირდა და წყნარი ხმით უთხრა: - დედაო, შენ ჩემთვის დედაზე უმჯობესი ხარ, რას კითხულობ ჩემს ამბავს, ერთი ღარიბი უბედური ქალი ვარ, რომ მკითხო, ახლა ძალა არა მაქვს, რომ გიამბოო.

ეს პირიმზე ქალი ფატმანმა მრავალნაკეცი ძვირფასი ქსოვილით შემოსა, რომ მისი შუქი გარეთ არ გასულიყო. დამალა ოთახში და ათი ზანგი მიუჩინა მსახურად. ქალი დღე და ღამ სულ ტიროდა, ცრემლის გუბეებს აყენებდა. ფატმანმა ვერ იპოვა ის დრო, რომ მას ცრემლი არ სდენოდა. ხორციელი ადამიანი ვერ გაუძლებდა იმ მწუხარებას, რასაც ის განიცდიდა. ქალი არც თავსაბურს და არც კაბას არ იცვლიდა, არც ლეიბზე არ წვებოდა, სასთუმლად კი თავის მკლავს იყენებდა. კაბა, რომელიც მას ეცვა, რაღაც უცხო და ძვირფასი ქსოვილისაგან იყო შექმნილი, ძალიან რბილი და მტკიცე ნაქსოვი იყო. ფატმანი ქალს საჭმელს ძლივს აჭმევდა, იმასაც ათასი ხვეწნით.

ამ ტურფამ ფატმანის სახლში ასე დაჰყო დიდი ხანი. ფატმანი თავის ქმარს, უსენს ვერ ანდობდა საიდუმლოს. ეშინოდა, რომ

ქმარს არ გაემჟღავნებინა ის. მერე, როგორც იქნა, გადაწყვიტა, ქმრისთვის გაენდო ეს საიდუმლო, რადგან არ იცოდა, როგორ უნდა ეშველა ქალისათვის. ფატმანი ქმარს ჯერ მოეფერა, მერე უთხრა, რაღაცას მოგიყვები და შემომფიცე, რომ არავის არ გაანდობ ამ ამბავსო. უსენმაც დაიფიცა, რომ სიკვდილამდე არავის არაფერს არ ვეტყვიო. მერე ფატმანმა უსენი მიიყვანა იმ ქალთან და უთხრა, მოდი, მზის სადარს გაჩვენებო. უსენმა გაიკვირვა და შეკრთა, როცა დაინახა მზის შუქდაფენილი ქალი, ნეტავ რისგანაა, თუ ხორციელია ღმერთმა შემრისხოსო... არც მე ვიცი მისი ხორციელობა, მოდი ერთად ვკითხოთო. ორივე ცოლ-ქმარი კრძალვით მივიდნენ მასთან და ჰკითხეს: - ვინ ხარ, როგორ ანათებ ასე, რამ შეგქმნა ასე მზისფერი და ლალის მსგავსიო. ქალმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ ეს უთხრა, არაფერი ვიცი, მომეშვითო და ცოლ-ქმარი მასთან ერთად ატირდა. ქალს ხილი მიართვეს, მაგრამ პირი არ დააკარა.

გავიდა რამდენიმე დღე და ღამე უსენმა ცოლს უთხრა, რამდენი ხანია ჩვენი მეფე არ მინახავს, წავალ, ვნახავ და ძღვენს მივართმევო. უსენმა ლანგარზე დააწყო მარგალიტი და ლალები, წასვლისას ფატმანი ქმარს შეევედრა, მეფის დარბაზში მთვრალები დაგხვდებიან და ამ ქალის ამბავი არავისთან არ წამოგცდესო. მან კვლავ შეჰფიცა: „არ ვიტყვი, თავზე დამეცეს ხმალიო!“

უსენი მივიდა ხელმწიფესთან, მას ნადიმი ჰქონდა და უსენმა ძღვენი მიართვა. უსენის მისვლამდე მრავალი სასმისი შესვეს. კვლავ შეავსეს მრავალი დოქი და ჭიქები და უსენს დაავიწყდა ფიცი, რომელიც ფატმანს შეჰფიცა. მართლაც რო ბრძნულადაა ნათქვამი: ***„არა ჰმართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანიო“.***

დიდმა ხელმწიფემ მთვრალ უჭკუო უსენს ჰკითხა, საიდან მოგაქვს ჩემთან ძღვნად ამდენი თვალ-მარგალიტი და ლალები. უსენმა მეფეს ჰკდრა;

„ჰე, მაღალო ხელმწიფეო, ზეცით შუქთა მომფენელო,
მარჩენელო არსთა, მხეო!
რაცა სხვა მაქვს ვისი არის ოქრო, თუნდა საჭურჭლეო?
დედის მუცლით რა გამომყვა? მბოძებია თქვენგან მეო“.

ძღვენზე თქვენგან მადლობა მე არ მეკუთვნის, სხვა რამეც მაქვს თქვენთვის, თქვენი ძის შესართავად სარძლო, მას კი აუცილებლად დამიმადლებთ, როდესაც ნახავთ მზის მსგავსსაო და მან უსენს უბრძანა, მოეყვანა ის ქალი მასთან.

ფატმანმა გააგრძელა თხრობა... კარს მოადგა მეფის უხუცესი მონა, ფატმანს გადასცეს მეფის ბრძანება. მან ჯერ იუარა, მაგრამ მოახსენეს, რომ უსენმა უძღვნა მეფეს ის პირიმზე ქალი, შენთან რომ არისო. ფატმანი თვალცრემლიანი შევიდა ქალთან და ყოველი მოახსენა, რომ დაასმინეს და ახლა ხელმწიფესთან უნდა წაგიყვანონო. ქალმა ფატმანს უთხრა:

„დაო, ნუ გიკვირს, ეგე რა ზომცა ძნელია!
ბედი უბედო ჩემზედა მიწყივ[1] ავისა მქმნელია,
კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!
სხვადასხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია, ძველია“.

შემდეგ ქალი ადგა უშიშრად, გადმოსცვივდა მარგალიტივით ცრემლები, ფატმანს მოსთხოვა ჩადრი და იმით მოიბურა ტანი და პირი. ფატმანმა რამდენიმე მარგალიტი, რომელიც თითოეული ქალაქის ღირებულებისა იქნებოდა, წელზე შემოარტყა ქალს, იქნებ რამეში დაგეხმაროსო. წაიყვანეს ქალი, მეფე შეეგება და მეფესთან თავმოდრეკით და წყნარად მივიდა. უამრავი მნახველი მოაწყდა დარბაზს. მეფემ გვერდით მოისვა იგი და ტკბილად დაუწყო საუბარი. მითხარი, ვინ ხარ, ვისი ხარ, ვისი გვარისა ხარ, მაგრამ ქალი თავჩაღუნული იჯდა და პასუხს არ სცემდა. მეფემ გაიფიქრა, ან ვინმეს მიჯნურია, ან საყვარელი, ან სხვაგან დაჰქრის მისი გონებაო. ღმერთმა ჰქმნას, ჩემი ვაჟი მალე დაბრუნდეს გამარჯვებული, დავახვედრებ ამ მზეს და მან ათქმევინოს პასუხი. მანამდე კი შუქ-მთვარე იჯდეს მზისგან ასე მოშორებულიო.

ხელმწიფის შვილი, რომელიც კარგი, გულოვანი, უებროდ თვალადი და მშვენიერი იყო, მაშინ ლაშქრად იყო წასული, იქ დიდი ხანი დაჰყო. მამამ კი მისთვის მნათობის მსგავსი საცოლე

[1] მიწყივ - მუდამ

მოამზადა. მას ჩააცვეს ქალის შესამოსელი, რომელზეც მრავალი თვალი კიაფობდა, თავზე დაადგეს ლალის გვირგვინი. მეფემ ბრძანა, რომ უფლისწულის საწოლი მოეკაზმათ, დაუდგეს ოქროს ტახტი, ხელმწიფემ თვითონ დასვა ის მზე ტახტზე.

მეფემ ქალს ცხრა მცველი მიუჩინა. უსენს კი სამაგიეროდ იმ მზის დარი საჩუქრები მისცა. ამ დრო ქალი, რომელსაც ცხრა მცველი ჰყავდა ფიქრობდა, როგორ დაეღწია თავი, გაახსენდა ფატმანის ნაჩუქარი თვალმარგალიტი. გადაწყვიტა მოესყიდა მცველები. ისინი იხმო და უთხრა, რომ მე თქვენს დედოფლად არ გამოვდგები, ჩემი გზა უკიდეგანოა, აუცილებლად თავს მოვიკლავ და გულზე დანას დავიცემ. თქვენ კი ხელმწიფე მოგკლავთ, ამიტომ აიღეთ ეს თვალმარგალიტი, რომელიც ტანზე მარტყია, გამაპარეთ და გამიშვით, თორემ მერე, ინანებთო. შემოიხსნა თვალმარგალიტი, გამჭვირვალე ლალის გვირგვინიც მისცა და შეევედრა, გამიშვითო. მცველებმა რომ დაინახეს ასეთი სიმდიდრე, მეფის შიშიც დაავიწყდათ. ერთმა თავისი ტანსაცმელი მისცა, ქალი გააპარეს სასახლიდან და თვითონაც გაიპარნენ.

ქალი ისევ ფატმანთან მივიდა და უთხრა, რომ მისმა ძვირფასეულობამ უშველა და თავი იმით იყიდა. ღმერთმა გიშველოს, ახლა უკვე ვეღარ დამმალავ, სასწრაფოდ ცხენით გამამგზავრე, ვიდრე ხელმწიფე მდევარს დამადევნებს. ფატმანმა საუკეთესო ცხენი გამოუყვანა საჯინიბოდან, შეუკაზმა, შესვა და ქალი როცა ცხენზე შესვა, ლომს დაემსგავსა. მეფის ხალხმა მთელი ქალაქი მოიარეს, მაგრამ ქალი ვერსად იპოვეს. მერე ფატმანთანაც მივიდნენ. მან უთხრა, მობრძანდით და ნახეთ, მე არ ვარ მეფის შემცოდეო. ვერ ნახეს და გაწბილებულები წავიდნენ. მას შემდეგ ხელმწიფე და მისი ხალხი გლოვობდა, რომ მზე მოგვშორდა და სინათლე მოგვაკლდაო.

ამის მერე ფატმანმა ავთანდილს უთხრა, რომ ის კაცი, რომელმაც შემომისწრო შენთან, ის და მე საყვარლები ვიყავით. ის მზეთუნახავი ქალი რომ შევიფარე, ერთხელ წამომცდა მასთან და მას შემდეგ წავეკიდეთ. მისი ნახვა უნდოდა. ის მეფესთან დაახლოებული პირი იყო და მეშინოდა, არ დავებეზღებინე.

იმ დღეს, ჩემთან მოსულა, დაუბარებია მოვალო, შენთან კა-

ცი გამოვგზავნე, რომ იმ დღეს არ მოსულიყავი, მაგრამ დაემთხვა თქვენი მოსვლა და ამან ძალიან შემაშფოთა. ის მე არ დამინდობ-და, თან მეფესთან დამაბეზღებდა და შვილებსაც დამიხოცავდა. კიდევ კარგი, შენი დახმარებით გადავრჩი ამ ამბავსო. ღმერთმა გადაგიხადოს, რაც შენ ჩემთვის გააკეთეო... ავთანდილმა ფატ-მანს უთხრა, რომ მოყვარე მტერი ყველა მტერზე უფრო მტერია და ჭკვიანი კაცი მას არ უნდა მიენდოსო, თან ფატმანს სთხოვა, იმ ქალზე თუ რამეს შეიტყობ, მეც გამაგებინეო.

ნესტან-დარეჯანის ქაჯების მიერ შეპყრობის ამბავს ფატმანი უამბობს ავთანდილს

ჟას შემდგ, რაც ფატმანმა ნესტან დარეჯანი გააპარა, სახლი და შვილი შესძულდა, უსენი კი, ფიცის გატეხვის შემდეგ ვეღარ უახლოვდება ფატმანს.

ერთ დღეს, საღამოს მზის ჩასვლისას კიბის საფეხურის ზემოთ იდგა ფატმანი. ამ დროს უცხო ქვეყნელი მონურ ტანსაცმლიანი ერთი მონა და კიდევ სამი მგზავრი უბრალო ტილოს ტანსაცმელში გამოწყობილნი შემოვიდნენ და კიბის ბოლო საფეხურთან დასხდნენ. ამოალაგეს თავისი სასმელ-საჭმელი. სვამდნენ, ჭამდნენ და მხიარულად ბაასობდნენ. ფატმანი მათ ზემოდან ჩუმად უყურებდა და მათი საუბარი გარკვევით ესმოდა. ისინი ერთმანეთისათვის უცხოები იყვნენ და საინტერესო ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს. ყველამ თავისი ამბავი მოყვა, მაგრამ ერთმა მონამ თქვა, ჩემი ამბავი თქვენზე უკეთესიაო და მოყვა, რომ ის არის ქაჯთა მფლობელი მაღალი მეფის მონა. მეფეს სენი შეეყარა და ახლა მის შვილებს მისი და, დულარდუხტი ზრდის, რომელიც კლდესავით ქალია. ერთ ძმისშვილს როსანი ჰქვია, რომელსაც მეფის ტახტი უჭირავს. ზღვის იქიდან მოვიდა ამბავი მეფის დის სიკვდილის შესახებ.

მეფის მონა როშაკმა, რომელიც მრავალი ათასი მონის მფლობელი თავადი იყო, გადაწყვიტა, ვიმეკობრებ, სიმდიდრით ავივსები, ნაშოვნით მივალ მეფესთან და როცა ის თავისი დის დასატირებლად წავა, მეც წავყვებიო. მან შეკრიბა ასი საუკეთესო მონა, ისინი დღისით მეკობრეობდნენ, ღამით ისვენებდნენ, უამრავი ქარავანი დალეწეს. ერთხელ, მინდორ-მინდორ რომ მოდიოდნენ, ძალიან ბნელ ღამეში, შუა ველზე შეამჩნიეს რაღაც სინათლე, იფიქრეს, მზე ხომ არ ჩამოჭრილა ხმელეთზეო, ზოგმა თქვა - ცისკარიაო, ზოგმა, მთვარეაო. შორიდან მოუარეს, მივიდნენ და იმ ნათელიდან მათთან მოსაუბრე ხმა მოესმათ: „ვინ ხართ, ცხენოსნებო, თქვენი სახელები მითხარით, გულანშაროს მოციქული ვარ, ქაჯეთს მივალ და მომერიდეთო“. ეს რომ მოისმინეს, ალყა შემოარტყეს პირიმზე ცხენოსანს და უჭვრეტდნენ

პირით მნათობს და ელვასავით მოელვარეს. მონებმა ტკბილად დაუწყეს საუბარი, როშაკმა შეატყო, რომ ქალი იყო და ცხენით გვერდზე დაუდგა. აღარ გაუშვეს, დაიჭირეს და შეეკითხნენ, ვინ იყო და ამ ბნელ ღამეში სად მიდიოდა. მან მონებს არაფერი უთხრა და დაიწყო ცხელი ცრემლებით ტირილი.

როშაკმა მონებს უბრძანა, რომ ნურაფერს ჰკითხავთ, როგორც ჩანს სათქმელად უძნელდება, ღმერთს ჩვენთვის უბოძებია და მეფეს საჩუქრად მივართვათ, დიდად დაგვიმადლებსო და ქაჯეთისაკენ გაემართნენ. იმ მონამ, რომელიც ამ ამბავს ჰყვებოდა, როშაკს სთხოვა, რომ მე ადრე გამიშვი, გულანშაროს მივდივარ, იქიდან ძვირფასეულობა მაქვს წამოსაღები და მერე წამოგეწევითო. ეს ამბავი ამ კაცის თანამგზავრებს ძალიან მოეწონათ.

ფატმანმაც რომ მოისმინა, ცრემლი შეაშრა და გაუხარდა, რომ მისთვის სასურველი ამბავი შეიტყო. მან მოიყვანა ამბის მთხრობელი მონა, ახლოს დაისვა და სთხოვა, რაც იმათ უამბე, მეც მინდა მოვისმინოო და მონამ კვლავ უამბო ის, რაც ადრე ფატმანმა მოისმინა. ფატმანმა სასწრაფოდ აცნობა ავთანდილს სასიხარულო ამბავი. მერე დაიბარა თავისი ორი ზანგი მონა, რომელთაც შეეძლოთ უჩინრად წასვლა და წამოსვლა, ქაჯეთს გაგზავნა და უთხრა, ნურსად გაჩერდებით და მაცნობეთ იმ ქალის ყველა ამბავიო. სამი დღის შემდეგ დაბრუნდნენ და ფატმანს სწრაფად მოუტანეს ამბავი, რომ ის მზის სადარი ქალი მიუყვანიათ ქაჯეთის მეფესთან და მას იგი დაუნიშნია როსანის საცოლედო. გარდა ამისა, დაწვრილებით მოიტანეს ქაჯთა ქალაქის აღწერილობა, რომ ეს ქალაქი მტრის მიერ აუღებელია, რადგან მის შიგნით მაღალი და მაგარი, გრძელი კლდეა. იმ კლდის შიგნით გვირაბია და იქიდან ზემოთ ასაძვრომი ხვრელია და იქ არის დატოვებული ის მნათობი ქალი. გვირაბის კარს მუდმივად მოყმე იცავს, რომელიც არავის დაუნახავსო და ათი ათასი ჭაბუკი იცავს, ქალაქის სამივე კარს კი, სამი ათას, სამი ათასებიო.

ეს ამბავი ავთანდილმა რომ მოისმინა, ძალიან ეამა და ღმერთს მადლობა შესწირა. ფატმანს უთხრა, რომ საინტერესო ამბავი შემატყობინე, მაგრამ ქაჯები ხომ უხორცოები არიან და

ქალები რად უნდათ მაგ უხორცოებსო? ფატმანმა უპასუხა, რომ ქაჯები კი არა, ადამიანები არიან, ქაჯები სახელად ჰქვიათ, რადგან ისინი ზებუნებრივი ძალის მქონენი და დიდად დახელოვნებული ადამიანები არიან. მათთან შებმულნი იქედან დაბრმავებულნი და დამარცხებულები წამოვლენო. მათ შეუძლიათ ბევრი საკვირველების ჩადენა. მაგალითად: საშინელი ქარის გამოწვევა, როგორც ხმელეთზე, ისე წყალზე გარბენა, წყლის დაშრობა და თუ მოიწადინებენ, დღეს დააბნელებენ და ბნელს გაანათებენო. ამიტომ ყველა მათ ქაჯებს ეძახის, თორემ ისინიც ჩვენნაირი ხორციელი ადამიანები არიანო.

ავთანდილმა მადლობა მოახსენა ფატმანს, ძალიან მოეწონა მისი ნაამბობი და ცრემლთა დენით ღმერთს ადიდებდა:

„ღმერთო, გმადლობ, რომელი ხარ ჭირსა მომალხენელი:
ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი,
წყალობა თქვენი იჩქითად[1] არს ჩვენი გარ-მომფენელი!“

იმ ღამეს ფატმანს ეამა ავთანდილთან წოლა, მაგრამ ავთანდილი უსიყვარულოდ ეხვეოდა მის ყელს, რადგან ჰკლავდა თინათინის მოგონება. ავთანდილი მალვით ცრემლს ჰღვრიდა და გულში ამბობდა:

„მნახეთ , მიჯნურნო, იგი, ვინ ვარდია ვისად,
უმისოდ ნეხვსა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ყვავისად!“
ფატმანი კი, -
-„მას ზედა იხარებს, მართ ვითა იადონია,
თუ ყვავი ვარდსა იშოვის, თავი ბულბული, ჰგონია“.

გათენდა, მზე პირის დასაბანად წავიდა. ფატმანმა ავთანდილს უძღვნა მრავალნაირი სამოსი, მაგრამ ავთანდილმა გადაწყვიტა, რომ ფატმანისათვის სიმართლე ეთქვა და ვაჭრული სამოსის ნაცვლად საჭაბუკოდ შეიმოსა და ნამდვილ ლომს დაემსგავსა. ფატმანმა სუფრა გაუწყო და ავთანდილი რომ სხვა-

[1] იჩქითად - მოულოდნელად

ნაირად ჩაცმული დაინახა, ძალიან ესიამოვნა და თან მეტად გაუკვირდა. საუზმის შემდეგ ავთანდილი სახლში ღვინონასვამი, მხიარული დაბრუნდა და დაიძინა. საღამო ჟამს გაეღვიძა და ფატმანს უხმო, მარტო ვარ და მოდიო. ფატმანი გვერდზე მოისვა და უთხრა:

„ჰე, ფატმან, ვიცი ეს საქმე შენია,
დაჰკრთები ამა ამბავსა, მართ ვითა გველ-ნაკბენია,
მარა აქამდის მართალი შენ ჩემი არა გსმენია,
ჩემი მომკვლელნი წამწამნი შავნი გიშრისა ხენია“.

შენ მე ვინმე ვაჭარი, ქარავნის პატრონი გგონივარ, მაგრამ მე ვარ არაბეთის მეფის როსტევანის მხედართმთავარი, დიდი მხედრობისა და მრავალი სიმდიდრის პატრონი. მეფეს ერთი ასული ჰყავს, ხმელეთის მპყრობელი მზე, ჩემი დამწველი და დამადნობელი, რომელმაც გამომგზავნა იმ ქალის საძებნელად, რომელიც შენ აქ გყოლია... და ავთანდილმა ყველაფერი უამბო ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის შესახებ დაწვრილებით. ბოლოს უთხრა:

„მოდი და, ფატმან, მეწიე, ვეცადნეთ მისსა რგებასა,
ვუშველოთ, იგი მნათობნი ნუთუ მიეცნენ შვებასა;
ვინცა სცნობს კაცი, ყველაი ჩვენსა დაიწყებს ქებასა,
ნუთუ კვლა მიჰყვნენ მიჯნურნი ერთმანეთისა ხლებასა“- ო.

ავთანდილმა ფატმანს სთხოვა, რომ ქაჯეთს გავაგზავნოთ შენი გრძნეული შავი მონა და ქალს ვაცნობოთ ყველაფერი. ღმერთმა ჰქმნას, რომ ქაჯთა სამეფო ჩვენ დავამარცხოთო. ფატმანმა ღმერთს მადლობა შესწირა, რომ უკვდავების სწორი ამბავი გაიგო, მოჰგვარა ავთანდილს ის ყორანივით შავი მონა და უბრძანა, ნესტანთან წერილისა და ამბის მიტანა. ფატმანმა ნესტანს მისწერა წერილი.

ფატმანის წერილი ნესტან-დარეჯანთან
და ნესტანის პასუხი

ფატმანმა წერილი ნესტანის ქებით დაიწყო:

„აჰა, მნათობო, სოფლისა მზეო ზენაო,
შენთა შორს - მყოფთა ყოველთა დამწველო, ამაზრზენაო,
სიტყვა მჭევრო და წყლიანო, ტურფაო, ლამაზ - ენაო,
ბროლო და ლალო - ორივე კვლა ერთგან შენათხზენაო!“

მიუხედავად იმისა, რომ შენი ამბავი მე არაფერი გამაგებინე, თუ რა ცეცხლი გწვავდა, მე შენს შესახებ სიმართლე გავიგე და ძალიან გავიხარე. შენთვის შექმნილი ტარიელიც გაახარე და ორივეს წადილი შეგსრულებოდეთ. შენს საძებნელად მოსულია ტარიელის ძმადნაფიცი, არაბი ავთანდილი, როსტევან მეფის მხედართმთავარი, რომელსაც ვერავინ დაიწუნებს. მე და ავთანდილმა ქაჯეთში ერთი მონა გამოვგზავნეთ შენთან, რომ გაგვიგოს, ქაჯები მოსულები არიან თუ არა სახლში, ან ვინ არიან მათი მცველები, მათი უფროსი ვინაა, რაც იცი მანდაური ამბავი ყველაფერი დაწვრილებით გაგვაგებინე. შენს საყვარელ ტარიელსაც რამე ნიშანი გამოუგზავნე და ყველა შენი ჭირი ლხინად გექცევაო.

ფატმანმა წერილი დაწერა და თან წერილს უთხრა: - წადი, უსტარო, მე შენ დაგნატრი, რადგან შენ ჩემზე ბედნიერი ხარ, რადგან ნესტანის თვალები შენ გნახავენო.

ფატმანმა წერილი გადასცა იმ გრძნეულ, შავ კაცს, მან რაღაც მწვანე ბალახი წამოისხა ტანზე, იმ წამსვე გაუჩინარდა და ბანიდან ბანზე გადაფრინდა და როგორც მშვილდოსანი კაცის ისარი, უკვე ბინდბუნდში ქაჯეთში იყო. მან უჩინრად გაიარა უამრავი მცველების წინ და ნესტანთან შევიდა, როგორც გრძელწვერიანი, შავი პირისახის ზანგი გრძელი თმით დ ტანზე ნაბდით. ნესტანი შეკრთა, ფერი შეეცვალა. ზანგმა აუწყა, ნუ გეშინია, მე ფატმანის გამოგზავნილი ვარ და ეს წერილი გეტყვის, რომ მართალს ვამბობ. გაკვირვებული ნესტანი ცხელი ცრემლებით ასველებდა წერილს და ის კაცი მოუყვა, რაც მან იცოდა. ***ნესტანმა წერილი მისწერა ფატმანს:*** დედაზე ძვირფასო ხათუნო, შენმა

წერილმა ძალიან დამაიმედა. აქ მთელი სამეფო და ათასობით მხედრობა მიცავს. ქაჯთა მეფე ჯერ არ მოსულა. ჩემს ძებნას არ გირჩევთ, მაგრამ უიმისოდ ჩემი სიცოცხლე ძალიან ძნელია. შენ ჩემი ამბავი მაშინ არ გიამბე და დაგიმალე. ჩემს ტარიელს შეეხვეწე, ნუ წამოვა ჩემს საძებნელად. მე რაც მჭირს საკმარისია, მე რომ ეგ მკვდარი ვნახო, ორი სიკვდილით მოვკვდები. რაიმე ნიშნის გამოგზავნას მთხოვ, გიგზავნი მის მიერ ნაჩუქარი თავსაფრის პატარა ნაჭერს.

ნესტანმა ამავე დროს წერილი დაწერა ტარიელისთვის გადასაცემად.

ნესტან-დარეჯანის წერილი ტარიელისადმი

ნესტანმა გულის განმგმირავი წერილი მისწერა ტარიელს, თან გულამოსკვნილი ტიროდა:

„ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები,
გული კალმად მაქვს, კალამი ნაღველსა ამონაწები,
მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები-
გულო შავ-გულო, გაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები!

ტარიელ, ჰხედავ, სოფელი რა საქმეებს აკეთებს, ჩემთვის უშენოდ ცხოვრება ძალიან ძნელია. როგორ გაგვყარა წუთისოფელმა და ამ კრულმა დრომ, რა უნდა ქნას უშენობით დადაგულმა ჩემმა გულმა. აქამდის მე ცოცხალი არ მეგონე, შენი სიცოცხლე იმედად მედება გულზე. ჩემი რაც ჭირი მაწუხებდა აქამდე, ახლა ლხინად მექცა. ფატმანმა დიდი ამაგი გამიწია, მაგრამ უარესი დამემართა და ახლა ქაჯთა ხელში ვარ. ძალიან მაღალ ციხეში ვზივარ, გზა გვირაბით შემოდის, მცველები საგუშაგოს არასოდეს ტოვებენ და ყველას ხოცავენ, ვინც მათ შეებმება. ამათ ბრძოლის სხვა წესები აქვთ, შენ რომ მოგკლან, აბედივით დავიწვები, ან კლდიდან გადავვარდები, ან თავს დანით მოვიკლავ. მზე უშენოდ არაფერი არაა ჩემთვის, რადგან შენ ხარ იმ მზის ნაწილი. თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილი ტკბილი მექნება, რადგან:

„მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რადგან სულსა,
მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;
მომეგონოს მოშორვება, მემატების წყლული წყლულსა;
ნუცა სტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო შენთვის დაკარგულსა!“

ტარიელ, წადი ინდოეთს, რამე არგე ჩემს მშობლებს, რომლებიც მტრებისაგან შევიწროებულნი არიან. მე კი მომიგონე ხოლმე შენთვის ცრემლშეუშრობელი. გიგზავნი შენეული ნაჩუქარი თავსაფრის მონაკვეთსო. ეს რომ დაწერა, მოიხსნა ტარიელის ნაჩუქარი უცხო ქსოვილისგან შეკერილი რიდე. მისი ერთი წვერის ბოლო წააკვეთა და წერილში ჩადო.

გულანშაროსკენ მიმავალმა გრძნეულმა მონამ სწრაფად, წამიერად მიუტანა წერილი ავთანდილს, რომელიც ხელაპყრობით მადლობდა ღმერთს, რომ აუსრულა ნანატრი საქმე. ავთანდილმა ფატმანს უთხრა, რაც შენ ჩემთვის გააკეთე, ჩემგან გადაუხდელია, ახლა უკვე დრო აღარ იცდის, სწრაფად უნდა მივიყვანო ქაჯეთს მათი მომსპობი და ამომწყვეტი. ფატმანმა უთხრა, გული მიბნელდება, რომ ნათელს მოვშორდები, მაგრამ ჩემი დარდი ნუ გექნება, თუ ქაჯებმა დაგასწრეს, შენ იქ მისვლა გაგიძნელდებაო.

ავთანდილმა მასთან მყოფ ფრიდონის მონებს მოუხმო და უბრძანა, რადგან მე ვერ წავალ სასწრაფო საქმის გამო, თქვენ სწრაფად უნდა წახვიდეთ ფრიდონთან და უამბოთ ნამდვილი ამბავი. თქვენი ვალი გადასახდელი მაქვს, მაგრამ მე ჩემს სახლში არ ვარ, ამიტომ მეკობრეებს რაც წავართვით, ის სავსე ხომალდი თქვენი იყოს, ჩემს ძმადნაფიც ფრიდონს კი, ეს ჩემი წერილი მიართვითო.

ავთანდილის წერილი ფრიდონისადმი

„ფრიდონ მაღალო, სვე - სრულო მეფეთ-მეფეო,
ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შუქ-მოიეფეო[1],
მოვლენილო და მორჭმულო მტერთა სისხლისა მჩქეფეო,
უმცროსმან ძმამან შორი-შორ სალამი დავიყეფეო[2]!“

ავთანდილმა ფრიდონს დაწვრილებით მისწერა ნესტანის ამბავი, რომელიც ქაჯეთის მეფეს ჰყავს დაპატიმრებული და რომ ამჟამად ქაჯები წასულები არიან, ქალს კი უამრავი მხედრობა იცავს, მაგრამ სადაც შენ და შენი ძმა ტარიელი იქნებით, იქ ყველაფერი გაადვილდება. ბოდიშს გიხდი, რომ ვერ გნახე, მაგრამ დაყოვნება აღარ შემიძლია, რადგან პატიმრად ტარიელის მთვარეაო. შენმა მონებმა კარგი სამსახური გამიწიეს, ქება არ უნდა იმ ადამიანებს, ვინც თქვენთან დიდი ხნის ნამსახურები არიან. ბრძენთაგან ნათქვამია, „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობსო“.

დაწერა წერილი ავთანდილმა, გადაახვია და შეკრა, ზოგი რამ ფრიდონს სიტყვიერადაც შეუთვალა. ავთანდილმა მონახა მის მხარეში მიმავალი ხომალდი და ავთანდილს ცხელი ცრემლებით ეთხოვებოდნენ ფატმანი, უსენი და მათი მონები.

[1] შუქ-მოიეფეო - შუქის უხვად მომცემი
[2] დავიყეფეო - შემოგითვალეო

ავთანდილის წასვლა გულანშაროს და ტარიელთან შეხვედრა

ავთანდილმა გადმოიარა ზღვები. გაზაფხული იდგა, ქვეყანა მწვანით იყო შემოსილი, ვარდის ფურცლობის დრო იყო. ღრუბლები ბროლის ცვარს ცრიდნენ. ავთანდილმა ტარიელისკენ სიარულში გადმოიარა უდაბური და უგზო ადგილები. გზად, შამბნარში, სადაც შეხვდებოდა ლომი ან ვეფხვი, მათ ხოცავდა. შორიდან გამოქვაბულები დაინახა, იცნო, გაუხარდა, მაგრამ გაიფიქრა, რომ ტარიელი გამოქვაბულში დიდხანს არ გაჩერდებოდა და სადმე მინდორში წავიდოდაო, მართლაც, მინდორში გადმოუხვია და სიმღერითა და მისი სახელის ძახილით მაღალ ხმაზე ყვიროდა. ცოტა რომ გაიარა, შამბნარის პირას, ტარიელი დაინახა ხელში სისხლიანი ხმლით, მას ლომი მოეკლა. ავთანდილის ხმა მოესმა, იცნო და მისკენ გახელებული გაიქცა, ერთმანეთს გადაეხვივნენ, ყელს ყელი გადააჭდეს, ტარიელი სიხარულისაგან ატირდა. ავთანდილმა თავისი მოელვარე კბილებიდან გამოანათა და ტარიელს ღიმილით უთხრა: გავიგე ამბავი, რომელიც შენ გაგიხარდებაო და ავთანდილმა გამოიღო ნესტანის პირსაბურის მონაჭერი და ტარიელმა რომ დაინახა, იცნო და გული წაუვიდა.

ავთანდილმა ძალიან ინანა თავისი საქციელი, უცებ რომ მიახალა ტარიელს სასიხარულო ამბავი: -„ წყალი სწრაფად რად დავასხი ცეცხლსა, ძნელად დასაშრეტსაო“. ავთანდილმა გონზე ვერ მოიყვანა ტარიელი. წავიდა წყლის მოსატანად, მაგრამ წყალი ვერ ნახა, ლომის სისხლი წამოიღო და მკერდზე დაასხა ტარიელს, იგი შეკრთა, თვალი გაახილა და წამოჯდომა შეძლო. მან წერილის კითხვა დაიწყო და ცრემლები ღვარად მოსდიოდა.

ავთანდილმა უთხრა, ახლა ტირილის დრო არ არის, უნდა გვიხაროდეს, ადექი, წავიდეთ და მოვძებნოთ შენი მზე და მთვარეო. ტარიელმა ავთანდილს მადლი მოახსენა, მე სამაგიეროს ვერ გადაგიხდი, ღმერთი იქნება შენი მფარველი და სამაგიეროს გადამხდელიო. შესხდნენ ცხენებზე და გამოქვაბულისკენ წავიდნენ. კართან ასმათი იჯდა, დაინახა ორივე ტურფა მეგობარი

მოიმღეროდნენ, წამოვარდა სიხარულით, ავთანდილი ცხენიდან გადმოხტა და ასმათს მოეხვია. ერთმანეთს ეფერებოდნენ და სიხარულის ცრემლებს ღვრიდნენ. ავთანდილმა ასმათს გადასცა მისი გაზრდილის, ნესტანის წერილი, ასმათი სიხარულისაგან თრთოდა და ავთანდილმა უთხრა: -

„ლხინი მოგვეცა, მოგვშორდა ყოველი ჭირი ძნელია,
მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, - არსება მისი გრძელია!“

მას შემდეგ, რაც ტარიელმა იმ დევებს(გოლიათ ადამიანებს) გამოქვაბული წაართვა და ისინი კი დახოცა, მათი ძვირფასეულობა ხელუხლებელი იყო. ტარიელმა ავთანდილს უთხრა, მოდი გავხსნათ და ვნახოთ თუ რა ზომისაა ეს სიმდიდრე. დალეწეს ორმოცი კარები და ნახეს აურაცხელი სიმდიდრე: ბურთისოდენა მარგალიტები, ოქრო და ვერცხლი დაუთვლელი, იარაღით გავსებული ზარაფხანა, სადაც ეწერა, რომ იქ დევს საოცარი აბჯარი (ჯაჭვ-მუზარადი, ბასრი ალმასის ხმალი), თუ ქაჯები დევებს შეებმებიან, მათთვის დღე ძნელი იყოსო. გახსნეს კიდევ კიდობანი, სადაც იყო სამი მეომრისათვის შესამოსელი: ჯაჭვი, ხმალი, მუზარადი, საბარკული (ბარკლის დამცავი) ზურმუხტის ბუდეებით. მეგობრებმა თქვეს, რომ ეს ნიშანია ჩვენთვისო. თითოთითო აიღეს და ერთი ფრიდონისთვის შეინახეს საჩუქრად და ღვედით შეკრეს. ოქრო და მარგალიტი გამოიტანეს, გამოვიდნენ და ორმოცივე საჭურჭლე გამოკეტეს. მეგობრებმა გადაწყვიტეს გათენებისას წასულიყვნენ და ხმლები ხელში მაგრად დაეჭირათ.

ტარიელისა და ავთანდილის წასვლა ფრიდონთან

ვათენდა თუ არა, მეგობრები გაემართნენ ფრიდონისკენ, თან ასმათიც წაიყვანეს, რომელიც უკან შემოისვეს, ცხენზე. მერე ვიღაც ვაჭრისაგან ოქროს ფასად ცხენი იყიდეს და თან მეგზურად ვიღაც გაიყოლეს. გზად შეხვდნენ ფრიდონის მეჯოგეებს, ჯოგი მოეწონათ და თქვეს, ეს ფრიდონის ჯოგიაო და გადაწყვიტეს გახუმრებოდნენ მეგობარს და ცოტა ემხიარულათ. მოდი, ფრიდონის ჯოგი წავასხათ (გავიტაცოთ), რომ დაინახავს, საომრად წამოვა, უცებ გვიცნობს, შეკრთება და გულსაც გაახარებსო.

დაიწყეს ფრიდონის საუკეთესო ტაიჭების დაჭერა, მეჯოგეებმა ყვირილი ატეხეს, მეგობრებმა მშვილდები მოიმარჯვეს, მეჯოგეები გარბოდნენ და ყვიროდნენ: გვიშველეთ, მეკობრეებმა ამოგვწყვიტესო. ხმა გავარდა, შეიყარნენ და ფრიდონს აცნობეს ყოველივე. ფრიდონი შეიარაღდა, შეჯდა ცხენზე და ველს დაფარავდა იმდენი კაცით გამოვიდა საბრძოლველად. ტარიელს და ავთანდილს მუზარადებით ჰქონდათ სახეები დაფარული. ტარიელმა ფრიდონი როცა დაინახა, მუზარადი მოიხადა, გაიცინა და ფრიდონს უთხრა: - რას ჩადიხარ, ჩვენი მოსვლა რატომ გეწყინა? უპურმარილო მასპინძელი ომით მოგვეგება წინო.

ფრიდონი ფიცხლად ჩამოხტა ცხენიდან და თაყვანი სცა ტარიელს. ისინიც ჩამოხტნენ, მოეხვივნენ და გადაკოცნეს ერთმანეთი. ფრიდონმა ხელის აპყრობით მადლობა შესწირა ღმერთს. დიდებულებიც მოეხვივნენ, რომლებიც სტუმრებს იცნობდნენ. ფრიდონი უკვე მზად იყო და სტუმრებს მოელოდა და ორმა მზემ და ერთმა მთვარემ ერთმანეთი დაამშვენეს.

სტუმრები ფრიდონის ტურფად ნაგებ სახლში გაჩერდნენ. მეგობრებმა ფრიდონს საჩუქრად უძღვნეს დევების საგანძურიდან წამოღებული აბჯარი და თან უთხრეს, რომ ამჟამად შენთვის სხვა საჩუქარი არ გვაქვს, მაგრამ სხვა ტურფა საჩუქარი შენახული გვაქვსო. ის ღამე ფრიდონის სახლში გაატარეს, მერე ფრიდონმა ისინი ტურფა სამოსელით შემოსა და ძვირფასეულობითაც დაასაჩუქრა.

ფრიდონმა მეორე დღეს უთხრა: - არ ჩათვალოთ ჩემი ნათქვამი ისე, რომ ავი მასპინძელივით მომწყინდა თქვენი სტუმრობა, მაგრამ აქ დაყოვნება არ ივარგებს, გრძელი გზა გვაქვს გასავლელი და ქაჯებმა არ დაგვასწრონ იქ ჩასვლა, დიდი ლაშქარი არ გვინდა, სამასი კაცი გვეყოფა. მე ადრეც ვარ ქაჯეთში ნამყოფი, გარშემო სულ კლდეა და მტერი ვერ მიადგება. ჩვენ ჩუმად უნდა შევიდეთ, ცხადად შებმა არაფერ შედეგს არ მოგვიტანს, ამიტომ ლაშქარი არ გვინდა, რადგან მალვით ვერ წამოვაო.

მეგობრები დაემოწმნენ მის ნათქვამს, ასმათი დატოვეს ფრიდონის სახლში და თან მხოლოდ სამასი საუკეთესო ცხენოსანი გაიყოლეს. ძმად შეფიცულებმა ზღვა გაიარეს, ფრიდონმა გზა იცოდა, დღისით და ღამით მიდიოდნენ. როცა მიუახლოვდნენ ქაჯეთის მიდამოებს, ფრიდონმა მეგობრებს ურჩია, რომ არ შეგვამჩნიონ, ღამით უნდა ვიაროთო, როცა თენდებოდა ჩერდებოდნენ, ღამით კი სწრაფად მიდიოდნენ. ქალაქი გამოჩნდა, მცველთა რაოდენობა უთვალავი იყო. ქალაქს გარედან კლდე ერტყა. გვირაბის შესასვლელთან ათი ათასი ჭაბუკი მცველი იდგა. სამმა ლომმა ვაჟკაცმა ქალაქი მთვარით განათებული დაინახა, გადაწყვიტეს ეთათბირათ, თუ როგორ აჯობებდა ქალაქში შეღწევა.

ნურადინ ფრიდონისა და ავთანდილის რჩევა

ჩემი რჩევა მე მგონი, მცდარი არ იქნება, დაიწყო *ფრიდონმა*. ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი კი საკმაოდ დიდია, პირისპირ შებმა ჩვენ არ შეგვიძლია და ამის დროც არ გვაქვს. ჩვენი სიმცირის გამო გამზრდელები აკრობატებად გვზრდიდნენ, ისე გავირბენდი ხოლმე თოკზე, რომ თვალი ვერ მოასწრებდა დანახვას. ყველა ყმაწვილი მე შემომნატროდა. ახლა ვინც ვიცით ქამანდის გაკეთება (მარყუჟად გამონასკვა), ერთ ბურჯზე ჩამოვაცვათ საბლის (თოკის) წვერი და მასზე გავლა, ისე შემიძლია, როგორც ველზე, თანაც აბჯრით გავლაც შემიძლია და ფარის გატანაც და შიგნით ჩავხტები მკვირცხლად, როგორც ქარი, ლაშქარს დავხოცავ, კარებს გავაღებ და თქვენც იქ მოდით, სადაც ზარის ხმას გაიგებთო.

შენ, ფრიდონ, ლომის მკლავის იმედი გაქვს, მაგრამ შენი რჩევა არ გამოგვადგება, თქვა *ავთანდილმა*. გუშაგები ძალიან ახლო-ახლო დგანან და ერთმანეთს უყვირიან. როგორც კი თოკზე შედგები, გუშაგები გაიგებენ აბჯრის ჩხარუნს და თოკს გადაჭრიან. ეს რჩევა არ ვარგა. სხვანაირად უნდა მოვიქცეთ. სჯობს თქვენ დაიმალოთ იდუმალ ადგილას. მცველები ქალაქში შემავალ მგზავრს არ იჭერენ. სავაჭროდ გამოვეწყობი და ერთ ჯორზე გადავკიდებ მუზარადს, ჯაჭვს და ხმალსო. სამივეს შესვლა არ ივარგებს, შეიძლება რაიმე იეჭვონ. მე მარტო შევალ, მერე ჩუმად ჩავიცვამ აბჯარს და ღმერთმა ჰქნას, შიგნითა მცველები მოვიცილო, კლიტეებს დავლეწავ, თქვენ კი, გარეთა კარებს ეცით გმირულადო.

თუ რამ სხვა სჯობს, თქვენ ბრძანეთო, თქვა ავთანდილმა.

ტარიელის რჩევა, ქაჯეთის ციხის აღება და ნესტანის განთავისუფლება

ქვენ გმირზე მეტი გმირები ხართ, თქვენი რჩევა თქვენივე ძალასა და გულს ჰგავს. ვიცი, თქვენ გსურთ ფიცხელი ომი და ხმლის მოღერება და თუ ომს გაუჭირდება, მაშინ კაციც თქვენ იქნებით, მაგრამ თქვენი რჩევა მე არ გამომადგება. ხმა რომ გაიგოს ჩემმა ძვირფასმა და ზემოდან გადმოიხედოს მზესავით და თქვენ ომში იყოთ ჩაბმული და მე ისე მნახოს უომრად, მე გულზე ლახვარი დამეცემა. მაგ რჩევის მაგივრად გავაკეთოთ ისე, როგორც მე გეტყვით.

როცა დაღამდება, სამთავემ, სამივე მხარეს ფიცხლად მივმართოთ ას-ასი ცხენოსანი კაცი, როცა მოგვეგებებიან ცოტანი ვეგონებით, ჩვენ კი ხმლები მოვიმარჯვოთ, ფიცხლად შევებათ, მერე თავი მოვიყაროთ, კარებთან ვერ მოგვისწრებენ, ჩვენ სამიდან ერთ-ერთი შევალთ, დანარჩენები კი გარეთ შევებმებითო.

ფრიდონმა ტარიელს უთხრა, მე ვიცი, რომ მაგ ჩემეულ ცხენს ვერავინ მოასწრებს, რომ კართან მივიდეს. როცა ეს ცხენი მოგიძღვენი, არ ვიცოდი თუ ქაჯეთისთვის უნდა მოგვესპო მზე, თორემ ჩემი სიძუნწე რომ ვიცი, ამ ცხენს არ მოგიძღვნიდიო. ამ სიტყვებზე მეგობრებმა კარგად იმხიარულეს, მერე მეგობრები დაეთანხმნენ ტარიელის რჩევას და მის განზრახვას, სხვა ცხენებზე გადასხდნენ და მოემზადნენ. გაიყვეს გმირთა შესაფერისი ას-ასი კაცი, ცხენებზე შესხდნენ და მოამზადეს თავისი მუზარადები, თითოეულმა დაიკავა თითო კარი და როგორც კი გათენდა, დაიწყეს მგზავრების მსგავსად სვლა, ვერავინ ვერაფერი შეამჩნია. მათ წამში დაიხურეს მუზარადები და მათრახის ცემით ცხენები სწრაფად გააჭენეს, როცა დაინახეს, რომ ქალაქის კარები გაიღო, ქალაქი აზრიალდა და სამთავე შიგნით შეცვივდა. შეიქმნა ბუკისა და დაფდაფის ცემა.

ქაჯეთს ღმერთის უსაზღვრო რისხვა მოეწია, ველი მკვდრებს ველარ იტევდა და მკვდარი ჯარისკაცების რაოდენობა გაიზარდა. ავთანდილმა და ფრიდონმა ციხის შიგნით ერთად მოიყარეს თავი, მტერი სრულად გაეწყვიტათ, ავთანდილმა და ფრიდონმა

ერთმანეთი დაინახეს, მაგრამ ტარიელი არ ჩანდა და არ იცოდნენ, სად იყო. მივიდნენ ციხის კართან და ნახეს აბჯრისა ხმლის წვერის ნატეხების გროვა და ათი ათასი გუშაგის უსულო გვამი. ციხის ყველა მცველი სნეულებივით ეყარნენ თავით ფეხებამდე დაჭრილები, აბჯარდახეულები. ციხის კარი კი, ბოლომდე დალეწილი, დარბეული და ღია იყო. ავთანდილმა და ფრიდონმა რომ დაინახეს ეს ყველაფერი, მიხვდნენ, რომ ტარიელის ნამოქმედარი იქნებოდა ყველაფერი. გზა გაკაფული დახვდათ, შევიდნენ, ხვრელში აძვრნენ და ნახეს, რომ,

„მზისა შესაყრელად, გამოეშვა მთვარე გველსა,
მუზარადი მოეხადა, ჰშვენის აკვრა თმასა ლელსა,
მკერდი მკერდსა შეეწება, გადაეჭდო ყელი ყელსა“.

ესენიც შევიდნენ მათთან და სამივე ძმობილი შეიკრიბა, მიესალმნენ ტარიელის მზეს-ნესტანს, ისიც შემოეგება ტურფა მოცინარი სახით, აკოცა თავის გადამრჩენლებს და მდაბლად უბრძანა მადლობა ნარნარი სიტყვებით. ტარიელსაც მიულოცეს გამარჯვება, მაგრამ სამასი კაცისაგან, მხოლოდ ას სამოცი დარჩენილიყო ცოცხალი და ფრიდონს ძალიან უმძიმდა თავის მეომართა სიკვდილი.

მოაგროვეს უამრავი სიმდიდრე, სამი ათას ჯორსა და აქლემს აჰკიდეს უამრავი მარგალიტი, იაგუნდი და ლალები. ჩასვეს ნესტანი მოჩარდახებულში და წავიდნენ ზღვათა ქალაქში ფატმანის სანახავად, რათა მისთვის სამაგიერო გადაეხადათ პატივისცემისთვის. ქაჯეთის ქვეყანაში კი ტარიელმა ჯარი დატოვა.

ტარიელის მისვლა ზღვათა მეფესთან

ტარიელმა ზღვათა მეფეს მახარობელი გაუგზავნა:

„მოვალ ტარიელ, მტერთა მძლე, მოსრვით მსპობელი;
ქაჯეთით მომყავს ჩემი მზე, ჩემი ლახვართა მსობელი:
მწადიან, გთხოვო პატივით, ვითა მამა და მშობელი“.

ტარიელმა ზღვათა მეფეს მოახსენა, რომ ახლა ქაჯთა სამეფო ჩემია. რაც კარგი მჭირს, ყველაფერი თქვენი შემწეობითაა, ფატმანს გამოუხსნია ჩემი მზე. დედობა და დობა გაუწევია და ამის სანაცვლოდ გიძღვნი ქაჯთა სამეფოს, იგი ჩემგან შეიწირე, ციხე კარგად გაამაგრე და იქ შენი ხალხი ჩააყენე. მე ძალიან მინდა შენი ნახვა, მაგრამ ვერ გნახავ, შენ წამოდი ჩემთან. ჩემს მაგივრად თქვენ უბრძანეთ ფატმანის ქმარს უსენს, რომ ფატმანი გამოგზავნოს, მას ძალიან გაუხარდება მისი დახსნილის ნახვაო.

ზღვათა მფლობელს გული სიხარულით აევსო, ღმერთს მადლობა შესწირა, შეჯდა ცხენზე, წამოვიდა ტარიელთან ფატმანთან ერთად და გადაწყვიტა მათთვის ქორწილის გადახდა, ათი დღე იარეს, ფატმანს ძალიან გაუხარდა ტარიელის ნახვა - „ლომისა და მზისა, ხმელთა მნათისა“. მათ მიეგება სამივე ზღვათა მეფე და ქება შეასხეს ტარიელს. ფატმანმა ნესტანს რომ შეხედა, ცეცხლი მოეკიდა, მოეხვია, მთელი სხეული გადაუკოცნა და თქვა:

„ღმერთო, რა გმსახურო, განმინათლდა რადგან ბნელი!
ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“.

ზღვათა მეფემ მეტად დიდი ქორწილი გადაუხადა ნესტან-დარეჯანს და ტარიელს, საჩუქრები ხომ ზღვასავით იყო: საჭურჭლეები, ოქრო-ვერცხლი, ატლასის ქსოვილები, იაგუნდი, ტარიელს შეუფასებელი გვირგვინი უძღვნეს, ნესტან-დარეჯანს უძვირფასესი კაბა შემკული იაგუნდით, ბადახშითა და ლალებით. ზღვათა მეფემ ავთანდილს და ფრიდონს უძღვნა განუზომლად დიდი ძღვენი, ძვირფასი უნაგირი, საუკეთესო თითო ცხენი, თითო თვლებიანი კაბა, რომელიც უცხო ფერის შუქს გამოსცემდა, რომელზეც მათ უდიდესი მადლობა მოახსენეს. ტარიელმა ფატმანს უთხრა, რომ მე შენი დიდი ვალი მმართებს, რომელიც

ჩემგან გადაუხდელია და დიდია, მაგრამ რაც კი ქაჯეთიდან სიმდიდრე წამომიღია ყველა მომიცია საჩუქრადო.

მერე სამივე ვაჟკაცმა მეფეს მადლობა მოახსენა და წასვლისას მოწიწებით ითხოვეს ერთი ხომალდი გასამგზავრებლად. რადგან ასე ეჩქარებოდათ, ზღვათა მეფემ მათ ზღვის სანაპიროზე ხომალდი მოუმზადა. მასპინძლებს მათთან დაშორება ეძნელებოდათ და ცრემლთა დენით გაისტუმრეს ისინი. გამოიარეს ზღვები და მერე ასმათთან მახარობელი გააგზავნეს, რომელიც ფრიდონის სამფლობელოში ჰყავდათ დატოვებული. ფრიდონის დიდებულები სიხარულით მიეგებნენ სტუმრებს. ასმათი კი ისე იყო გახარებული, რომ ნესტანი და ის როცა ერთმანეთს ჩაეხუტნენ, ადამიანი მათ ცულით ვერ დააშორებდა. ნესტანმა ასმათს დიდი მადლობა გადაუხადა ერთგულებისა და სიკეთისათვის.

შემდეგ მოიგონეს და დაიტირეს ქაჯეთში ნესტანის დასახსნელად დაღუპული გმირები, რომლებმაც შვება საუკუნოდ მოიპოვეს.

ფრიდონის მიერ ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ქორწილის გადახდა

ფრიდონს თავის სასახლეში მექორწილეებისათვის დიდებული, ათასფერადი სუფრა გაეშალა. ისმოდა მგოსნების ტკბილი სიმღერის ხმა. გულუხვმა ფრიდონმა დიდებული მასპინძლობა გაუწია ნესტან-დარეჯანს და უამრავი ძღვენი მიუძღვნა, მათ შორის ბატის კვერცხისხელა ცხრა მარგალიტი და იაგუნდის ყელსაბამი, ტარიელს მიართვა ლანგარი, რომელიც სავსე იყო მარგალიტებით. სახლი აივსო უძვირფასესი ქსოვილებით. ტარიელმა ძალიან ტკბილი სიტყვებით დიდი მადლობა უძღვნა ფრიდონს. ქორწილი გაგრძელდა რვა დღეს და ყოველ დღეს შეუფასებელ ძღვენს მიართმევდნენ ხოლმე მექორწილეებს. დღე და ღამე არ წყდებოდა საკრავების ხმა.

ტარიელმა ფრიდონს გულიდან ამოსული სიტყვები უთხრა:

„არს გული თქვენი საჩემოდ უფროსი ძმისა სრულისა,
არ გემუქრების სიცოცხლე, არცა მიცემა სულისა,
მე თქვენგან ვპოვე მოკვდავმან ჩემი წამალი წყლულისა“.

შემდეგ ფრიდონს უთხრა, რომ ავთანდილისთვის გადაეცა, რომ შენ რაც ჩემთვის ჭირი ნახე, რა გადაიხდის იმას, მაგრამ თუ მე საწადელს ვერ აგასრულებინებ, მაშინ მე არც ჩემი სახლი მინდა, არც დარბაზი და არც სული. მირჩევნია არაბეთს წავიდეთ, მეც გამოგყვები და ვიდრე შენ ცოლს არ შეგრთავ, ვერც მე ვიქნები ჩემი ცოლის ქმარიო.

ფრიდონმა ავთანდილს გადასცა დანაბარები და უთხრა, რომ ტარიელი აპირებს არაბეთს გამოგყვეს მოციქულადო. ავთანდილს გაეცინა და უთხრა:

„ჩემი მზე არცა ქაჯთა ჰყავს, არცა სჭირს ლხინ-ნაკლულობა,
ჩემი მზე ტახტსა ზედა ზის მორჭმული ღმრთისა ნებითა.
საკრძალავი და უკადრი, ლაღი, არვისგან ვნებითა,
მას ზედა შველა რად მინდა?! რად მეჭვ რასაცა თნებითა?

რადგან შემისრულდა ჩემი გულის წადილი, მაშინ მივალ არაბეთს, როცა ჩემი მზე მოისურვებს, თქვენგან არაფერი მინდა და ზედმეტი გულრწფელობა რა საჭიროაო. ფრიდონმა ტა-

რიელს ავთანდილის ეს ნათქვამი აუწყა, მან ბრძანა, მაგას არ ვიზამ, ამას მისანი არ სჭირდება. მიდი და უთხარი ავთანდილს, რომ მისი გამზრდელის უნახავად წასვლა არ მინდა, რადგან შენდობა მინდა ვთხოვო მისი მრავალი მონის დახოცვის გამო, მხოლოდ ამის შემდეგ დავბრუნდები ჩემს ქვეყანაშიო.

ავთანდილი ტარიელთან მივიდა და მუხლმოყრით შეევედრა: ხომ იცი, რომ მე მეფისგან ნებართვის გარეშე წამოვედი, გამოვიპარე და ღმერთის წინაშე ცოდვას ნუ ჩამადენინებ, რომ შენ ჩემს პატრონზე ხელი აღმართო, რომლის ჩადენა მე თინათინთან დამამდურებს და ვაითუ გამიწყრესო.

ტარიელმა ხელი მოჰკიდა ავთანდილს, ააყენა და სიცილით უთხრა: თუ მოყვარეა, იგი მომისმენს, როგორც სტუმარს და ვუამბობ ყველაფერს, თუ არადა გავშორდებიო. რადგან ტარიელმა არ დაიშალა თავისი ნათქვამი, ფრიდონმა შერჩეული ვაჟკაცები მოიხმო და მათ თან გაჰყვა.

ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი მივიდნენ გამოქვაბულში ასმათთან და არაბეთს გამგზავრება

Ამივე ლომივით ვაჟკაცი ერთად გაემართნენ გამოქვაბულისკენ და ტახტრევანით მიჰყავდათ მზის სადარი ნესტან-დარეჯანი. რომელ ქვეყანასაც გაივლიდნენ, მნახველები ეგებებოდნენ, აქებდნენ, ძღვენს უძღვნიდნენ. მრავალი დღე იარეს იმ ადგილებში, სადაც ტარიელი იყო ნამყოფი ნესტანის ძებნის დროს.

ტარიელმა ბრძანა, დღეს მე გიმასპინძლებთო, იქ, სადაც მე ვყოფილვარ და გონწართმეული ვიყავიო. ასმათმა ირმის ხორცი დაამუშავა, ამხანაგები ლაღობდნენ, მხიარულობდნენ და ღმერთს მადლობას სწირავდნენ. მოიარეს მთელი გამოქვაბულები, იპოვეს ის საგანძური, ბოლოს რომ ტარიელმა დაბეჭდა. ტარიელმა უამრავი რამ უბოძა ფრიდონის თანმხლებ სპას, ყველა აავსო სიმდიდრით, მაგრამ იმ გამოქვაბულის სიმდიდრეს დანაკლისი არ ეტყობოდა, იმდენი სიმდიდრე იყო, დევ-გმირი ადამიანებისაგან ნაგროვები. ფრიდონს უთხრა, შენი ვალი ჩემგან გადაუხდელია და ამიტომ ეს საგანძური, რაც აქ დევს, ყველაფერი შენი იყოს და წაიღეო. ფრიდონმა მდაბლად თაყვანი სცა და დიდი მადლობა გადაუხადა. შემდეგ კაცები გააგზავნა აქლემების მოსაყვანად, რომ განძი წაეღოთ. როცა ყველაფერი მოაგვარეს, არაბეთისაკენ გაემართნენ.

დიდი ხნის სიარულის შემდეგ მივიდნენ არაბეთის საზღვართან. ტარიელმა კაცი გააგზავნა მეფე როსტევანთან და შეუთვალა: - მე, ინდოეთის მეფე მოვალ თქვენს სამეფოში და გიჩვენებ კოკობ ვარდს დაუჭკნობელს და მოუკრეფავს. მე მაშინ, თქვენს მიწაზე რომ ვიყავი, გაწყენინეთ, ჩემი შეპყრობა ინებეთ და თქვენი მრავალი მონა და სასახლის მსახური დაგიხოცეთ. ახლა თქვენთან მოვდივარ იმისთვის, რომ რაც შეგცოდეთ, შემინდოთ და შემიწყალოთ. ძღვენი არ მაქვს, დამიმოწმებენ ფრიდონი და მისი ყმები. ძღვნად თქვენთვის თქვენი ავთანდილი მომიყვანიაო.

მახარობელი როცა მოვიდა, ერთი წამით ენა ვერ დაძრეს,

თინათინის ღაწვებს კი შუქის ელვარება მოემატა და ბროლის სახე წამწამების ჩრდილმა დაამშვენა. დოლს დასცხეს, გაისმა ცხენების თქარათქური, უნაგირების დადგმა და მეფესთან ერთად მრავალი მოყმე ცხენებზე შესხდნენ და იმ მინდორს მიუახლოვდნენ, სადავ ავთანდილი იყო თავის თანმხლებ სტუმრებთან ერთად. ავთანდილმა ტარიელს უთხრა, რომ ვერ მივალ, ძალიან მრცხვენია მეფისო, კარგია, რომ შენს გამზრდელს ეკრძალები, აქ იყავი, იქ ნუ მოხვალ. მე მივალ და მეფეს ვეტყვი, როგორ ემალები. ვფიქრობ, შენს მზეს ღმერთზე ადრე შეგყრიო. თან ფრიდონიც წაჰყვა. გადაიარეს ველი და მეფე როსტევანმა მაშინვე იცნო ტარიელი, რომელიც ცხენიდან გადახტა და მეფეს თაყვანი სცა. მეფემაც ტარიელს თაყვანი სცა, მიესალმა, ყელზე აკოცა და უთხრა: მზე ხარ, შენთან დაშორება არის დღისა და ღამის დაშორება. მეფე გააკვირვა ტარიელის თვალადობამ და სიტურფემ. ფრიდონიც მიესალმა მეფეს და თაყვანი სცა. როსტევანს ავთანდილის ნახვა უნდოდა, მაგრამ ტარიელმა მეფეს უთხრა: ნუ გიკვირთ, მეფეო, ავთანდილის თქვენთან მოსვლის დაყოვნება, მოდით დავსხდეთ ამ მწვანე კორდზე და მოგიყვებით ამის მიზეზსო. მეფეო, მე მოხარული ვარ, რომ თქვენს წინაშე მოსული ვარ ხვეწნით და მუდარით, თვით ავთანდილმა მომცა წამალი იმისა, რომ თავი გადადო ჩემთვის და იგი არის სინათლე და მზის შუქის მომფენი ჩემი სიცოცხლისო. მეფეო, თქვენს ქალს და ავთანდილს უყვართ ერთმანეთი, მუხლის მოდრეკით გევედრები, რომ ქალი მისცე მკლავმაგარ და გულფიქალ ადამიანს, ამის მეტს არას გკადრებ არც გრძლად და არც მოკლედ. მეფემ რომ დაინახა მუხლმოყრილი ტარიელი, თავზარი დაეცა, თაყვანი სცა ტარიელს და უთხრა:

„მე სიძესა ავთანდილის უკეთესსა ვპოვებ ვერა;
ვით მეფობა ქალსა ჩემსა მივეც, აქვს და მას ეფერა;
ვარდი ახლად იფურჩქნების, მე ყვავილი დამებერა,
რადმცა ვკადრე შეცილება რასცა ოდენ იგი სჯერა!“

ტარიელმა მეფისაგან ეს სიტყვა რომ მოისმინა, მდაბლად ეთაყვანა მეფეს და მეფემაც კვლავ თაყვანი სცა ტარიელს. ამ დროს ფრიდონი შეჯდა ცხენზე და ავთანდილთან მახარობ-

ლად გაქანდა, ავთანდილი წამოიყვანა, მაგრამ მეფის მორიდება ჰქონდა და პირს ხელმანდილით იფარავდა. ავთანდილი ფეხზე მოეხვია მეფეს, მან უბრძანა ამდგარიყო, მოეხვია, გადაუკოცნა პირი და უთხრა: - „მოდი, ლომო, შეგყრი მზესა“.

„მეფე ყელზე ეხვეოდა მას ლომსა და ვითა გმირსა,
ახლოს უზის, ეუბნების, აკოცებს და უჭვრეტს პირსა;
იგი მზე და ხელმწიფობა ასრე მიჰხვდა, ვითა ღირსა,
მაშინ, ლხინი ამო არის, რა გარდახდის კაცი ჭირსა“.

მერე მეფესთან ნესტანი მოიყვანეს გასაცნობად. მეფეს მისმა ელვასავით ბრწყინვალებამ თვალი დაახუჭინა, აკოცა და ქება დაუწყო. მერე ყველანი შესხდნენ ცხენებზე და შინისაკენ გაემართნენ.

გვირგვინოსან თინათინს ძოწეულის ფერი კაბა ეცვა, ტარიელი და ნესტანი თინათინს მდაბლად მიესალმნენ, ერთმანეთს მიეგებნენ და გადაკოცნეს. სახლი განათდა მათი სილამაზით.

თინათინი დასვეს სამეფო ტახტზე და გვერდით ავთანდილი მიუსვეს. თინათინს გაუკვირდა ავთანდილის გვერდით ჯდომა. ფერი დაკარგა და გულმა ცემა დაუწყო. მეფემ უთხრა, ნუ გრცხვენია, ღმერთმა მოგცეთ ათას წელს დღეგრძელობა, ბედნიერება და თქვენი ხელით მეღირსოს მიწის დაყრაო.

მეფემ თავის მხედრობას უბრძანა ავთანდილის თაყვანისცემა. „ღმერთის ნებით ესაა თქვენი მეფე, დღეს ამას ეკუთვნის ჩემი ტახტი, ჩემს მცნებებს არ გადაუხვიოთ და ჩემსავით სწორად იმსახურეთო“. ლაშქარმა და დიდებულებმა მეფეს მდაბლად დაუკრეს თავი. ტარიელმა ავთანდილს და თინათინს უთხრა:

„შემიყრიხართ, აღარა გწვავს ცეცხლთა დება,
ქმარი შენი ძმაა ჩემი, აგრე მწადს თქვენი დება[1].
ორგულთა და შემცილეთა თქვენთა მე მქმნა გაფლიდება“.

[1] დება - დობა

ავთანდილისა და თინათინის ქორწილი არაბთა მეფისაგან

ამ დღის შემდეგ ავთანდილი უკვე არაბთა სახელმწიფოს მეფეა. მასთან გვერდით ზის გრაციოზული ტარიელი, ნესტან-დარეჯანს გვერდით ახლავს ულამაზესი თინათინი, თითქოსდა ცა მოიდრიკა ქვეყნად და ორმა მზემ მოიყარა თავი.

დაიწყო დიდი ქორწილი, პურობა, ძღვენთა მიძღვნა, ყველას მზის შუქი დაჰნათის თავზე, იაგუნდის ჯამები, ლალის ჭიქები, უცხო ფერის სხვადასხვა ნაჭედი ჭურჭელი. ყოველი მხრიდან მომღერლებისა და საკრავების ხმა ისმოდა. შერეულად ეყარა ოქროსა და საუკეთესო ლალის გორები. მსმელთათვის მილებიდან ღვინის წყაროები მოედინებოდა, ბინდიდან დილამდე სვამდნენ, გათენდა. საჩუქრის გარეშე არავინ დარჩენილა. უამრავი ატლასის ქსოვილების, მარგალიტის, ლალისა და ოქროს გროვები ეყარა ირგვლივ.

ქეიფში, თამაშში და საჩუქრების მიღება-ძღვნაში გავიდა ერთი თვე. ტარიელმა ავთანდილი მეფე როსტევანთან გააგზავნა, რათა შეეტყობინებინა, რომ დადგა მისი წასვლის დრო, რადგან მისი ქვეყანა მტრის ხელშია და აქ დიდი ხნის დაყოვნებამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს მას. როსტევანმა ჰკადრა, როგორც შენ გიჯობს ისე მოიქეცი, ავთანდილიც წამოგყვეს დიდი ლაშქრით და თქვენი ორგულები გაანადგურეთ. ტარიელმა ავთანდილს ჰკითხა, „ახლად შეყრილ მთვარეს როგორ გინდა, რომ მოეშორო? ავთანდილმა კი უპასუხა: აქ უნდა დამტოვო, რომ დამძრახო, ცოლი უყვარს და გამწირაო. მე აქ დავრჩე და შენ გაგიშვა ჩემი თავის სავაგლახოდ? ტარიელმა სიცილით უთხრა: - მე, ხომ იცი, უშენოდ არ შემიძლია, როგორც გწადია, წამომყევი, არ გეგონოს, რომ მე შენთან გულწრფელი არ ვარო.

მოკლედ, ავთანდილმა ლაშქარს უბრძანა, ინდოეთში მასთან წაყოლა. შეიყარა არაბეთის მხედრობა, ოთხმოცი ათასი კაცი ყველა ცხენიან-კაციანად დაკაზმული ხვარაზმული აბჯრებით.

როსტევანმა მათი წასვლით ძალიან მოიწყინა, ნესტანი და

თინათინი უკვე ორი დობილი, მკერდით მკერდზე და ყელი ყელ-ზე გადაჭდობილი ტირილით მოშორდნენ, აკოცეს ერთმანეთს და გაეყარნენ. დამწუხრებული ტარიელი თოვლის ფიფქივით დნებოდა. მთელი ლაშქარი კი მინდორს ცრემლებით ნამავდა.

მეგობრები დიდი ლაშქრით და ბარგით გაემართნენ ინდოე-თისკენ. სამი თვე იარეს. ერთ მინდორზე შეჩერდნენ სადილად. სადილობისას დოს მაგივრად ღვინოს მიირთმევდნენ.

ტარიელმა ინდოეთის მეფის სიკვდილი შეიტყო

ქედის ზემოთ შეამჩნიეს კაცებისა და სახედრების დიდი ქარავანი, რომლებსაც სულ შავები ეცვათ და გრძელი ნაწნავები უკან წაჭრილი ჰქონდათ. ტარიელმა მოაყვანინა ვაჭრების უფროსი და ჰკითხა საიდან მოდიოდნენ, როცა გაიგო, რომ ინდოეთიდან მოდიოდნენ, უბრძანა მოეთხროთ იქაური ამბები. მათ აუწყეს, რომ ინდოეთს ზეცის დიდი რისხვა დაატყდათ თავს. დიდს, პატარას და ბრძენსაც, ყველას ცრემლი სდის და გაოგნებულები არიან.

ინდოეთის მეფე ფარსადანი იყო ბედნიერი ხელმწიფე, რომელსაც ჰყავდა მზეზე უფრო მნათობი ქალი, კბილ მარგალიტიანი, ტანად ალვის ხესავით, ღაწვ-ბადახშიანი და თმა ყორნისფერიანი. მეფის ქალს და ზღვების ვეზირს ერთმანეთი შეუყვარდათ და ვეზირმა სასიძო მოჰკლა. მეფის ქალი პატარაობიდანვე მეფის დას გაუზრდია, რომელიც გრძნეული იყო. ეს მამიდაც მოკვდა და მეფის მზე ქალიც დაიკარგა. ვეზირმა რომ გაიგო მისი დაკარგვა, საძებნელად წავიდა და ისიც დაიკარგა. მეფე გადაირია, რომ ისინი ვეღარ მოძებნა. უბედურება ჩამოწვა ინდოეთში, შეწყდა მუსიკალური საკრავების ხმა. მეფემ ვეღარ გაუძლო ტანჯვას და გარდაიცვალა. ვაჭარმა ეს სიტყვები რომ დაამთავრა, ნესტანმა დაიკივლა, სასწრაფოდ თავზე მანდილი მოიხადა, სახე დაიხოჭა და თმებს იგლეჯდა, თვალებიდან ცრემლებს სისხლს აყოლებდა და იძახდა: „მოვკვდე, მამაო, მე შენთვის შვილი ყოველთა უარე, ვერა გმსახურე ასულმან, ვერცა რა შეგაგუარე[1] (გასიამოვნე)“.

ტარიელიც მოთქვამდა:

„გამზრდელო, ჰა,ჰა, რა საქმე მსმენია!
მიკვირს, თუ მზეღა რად ნათობს, რად არა დაურჩენია?!
მზე მოჰკვე ყოვლთა სულ-დგმულთა, სოფელი აღარ შენია,
ღმერთსა მიჰმადლე, შემინდევ, რაცა შენ ჩემგან გწყენია“.

ტარიელმა ვაჭრებს უბრძანა, დანარჩენი ამბავიც მოეთხროთ, რა ხდება ინდოეთში. მოახსენეს, რომ ხატაელთა ლაშქარი

[1] შეგაგუარე - გასიამოვნე

ქალაქს შემოესია. მათი ხელმწიფე, ვინმე რამაზიაო. დედოფალი ჯერ ცოცხალია, მაგრამ ძალიან ცუდად არის. გარეთა ციხეებიც დაუკავებია მტერსო. ჩვენ მეფე რამაზს ვუთხარით, ეგვიპტელები ვართო და გამოგვიშვა, არაფერი დაგვიშავაო. ტარიელმა ეს ყველაფერი რომ მოისმინა, ფიცხლად აიყარა და სამი დღის სავალი ერთ დღეში გაიარა. თავისი დროშა აღმართა და წინ არაფერი არ აუფარებია.

ტარიელი ინდოეთს მივიდა და ხატაელები დაიმორჩილა

ტარიელი ინდოეთს მიადგა, სადაც დიდი მთა და ქედი იყო. მან შეამჩნია მტრის აურაცხელი ლაშქარი. ტარიელმა თავის ჯარს შეუძახა, აქ მოსულ მტერს უკვე ნანახი აქვს ჩემი ხმლის ძალა და მოემზადეთო, უთხრა. ისინი ფიცხლად შესხდნენ ცხენებზე და ის ქედი ქარივით ჩაიქროლეს. წინ მიმავალნი დარაჯებს გადააწყდნენ, დაეწივნენ, ცხენიდან ჩამოჰყარეს და ტარიელთან მიიყვანეს. ტარიელმა როცა ჰკითხა, ვინ ხართო, უპასუხეს, რომ რამაზ მეფემ აქ დარაჯად დაგვაყენაო. ტარიელმა დარაჯებს უთხრა, წადით და რასაც გეტყვით, თქვენ პატრონს გადაეცით: ჯანსაღი და ლაღი მეფე ტარიელი, ჩემს ამბავს თქვენი დარაჯები მოგიტანენ, მაგრამ „შიში ვერ გიხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯანია!“ როგორ გაბედე და ინდოეთს როგორ მოადექი. აი, მოვედი, რომ სრულად გაგანადგურო და ჩემი ხმალი შენს ტანზე დავაბლაგვო. მე შენთან მოპარვით არ მოვალ, რაზმი მოაწყვე და შემები, შე პირგაფუჭებულო, ჩემი მორევნა როგორ დაგიტრაბახებია, მე შენ თავსაბურად მოგახმარებ, რაც მუზარადი გამოგიყენებიაო...

დარაჯები წავიდნენ და რამაზს ყველაფერი მოახსენეს: ტარიელ მეფე მოვიდა, უამრავი საუკეთესო ლაშქრით და ინდოეთის დროშით, რომელიც არაბეთის მეფის დროშასთანაა შეტყუპებული და ყველამ იცის, რომ მათი აბჯარი არის შუბიო.

ცოტა რომ გაიარეს, გამოჩნდა ხუთასი ცხენოსანი. არაბთა ცხენოსნები მათთან შეტევისთვის მოემზადნენ. ტარიელმა ისინი შეაჩერა. როცა ცხენოსნები ახლოს მოვიდნენ დაინახა, რომ უაბჯროდ იყვნენ, დანებიც კი არ ჰქონდათ თან. რამაზი ტარიელს ფეხზე მოეხვია და მუხლმოდრეკით შეეხვეწა: შემიბრალე, გაფიცებ იმის ძალას, ვინც გაგაჩინა, ნუ მაცოცხლებ და აქედან მკვდარი წამიღონ. თქვენ დაიკარგეთ, წახვედით უკვე მეათე წელია, ფრინველნიც კი უმეფოდ დარჩნენ, არწივსაც ფრთები მოსტყდა, შევცდი, რომ ამ საქმეს მოვკიდე ხელი. გევედრები, მომ-

კალი მხოლოდ მე, ყველაფერი ჩემი ბრალია, ასევე ამ ხუთას ვეზირსაც კი თავები დასჭერი, ოღონდ მხედრობას ნუ დაჰხოცავ, ისინი არაფერ შუაში არ არიანო.

ზენაარსს შეევედრნენ ვეზირები, „ნუ გვხოცავ, მისსა ძალსა, ვინცა აგრე დაგარჩინა!“

ნათქვამია, რომ ცოდვილი კაცი თავისი ცრემლით შეინდობა, როგორც ნინეველები, როცა სინანულის დროს თავზე მტვერსა და ნაცარს იყრიდნენ და ამით ზეციდან მოსული რისხვისაგან თავს იცავნენ. გარდა ამისა:

„ოდეს მტერსა მოერიო, ნულარ მოჰკლავ, დაიყოვნე:
გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნე“.

ტარიელი მოლბა და განაცხადა: აღარ დაგხოცავთ, თქვენს მიერ გაკეთებული ყველა მრუდე საქმე მიპატიებიაო. ტარიელი დალოცეს, თაყვანი სცეს, ღმერთს მადლობა შესწირეს, რომ სიკვდილს გადაურჩნენ. ერთი კაცი მახარობლად წავიდა ლაშქართან, შეგიწყალათო ტარიელმა. ყველა მას ლოცავდა და გახარებულები იყვნენ. ტარიელი ინდოელებმა ჯერ ვერ იცნეს, მაგრამ, როცა ტარიელმა თავის ხალხს შესძახა: მე მოვედი თქვენი მეფე, თან მყავს ჩემი მნათობი ნესტანი, მაღალმა ზენაარმა მოგვცა ამის წყალობა, მოდით, ვეღარ ვიტან თქვენს სიშორესო. მაშინ იცნეს იგი, ყველამ გაიხარა და ნათლით აივსო გარშემო ყველაფერი. დიდებულები შემოეხვივნენ ორივე ცოლ-ქმარს სიხარულით. ნესტანი დაიბნა, მამისათვის ტირილიც კი ვერ გაბედა. დედოფალმა, ნესტანის დედამ გაიგო ხმაური, ტირილის ხმა, გამოვარდა გარეთ, ტარიელი ტირილით შემოეხვია დედობილს და სინანულით უთხრა: „თქვენი სიცოცხლე მალხინა ღმერთმა, ობოლთა მლხენელმან“. ნესტანმა კი დედას შესტირა, რომ ფერადებში დაგტოვე ჩაცმული და ახლა გული მიკვდება, რომ შავებში გხედავო... დედამ დაუყვავა და უთხრა: ნუ სტირი, ბედიაო და ქალიშვილს გადაუკოცნა პირი და სხეული. მცირე ხნის შემდეგ დიდებულები ყველა ერთად მივიდნენ, მოიკითხეს, თაყვანი სცეს ტარიელს და ნესტანს. ავთანდილმა და ფრიდონმა დე-

დოფალს მიუსამძიმრეს. ტარიელმა დედოფალს გააცნო თავისი ძმადნაფიცები და უთხრა:

„ესენია მხსნელნი ჩვენნი, აწ არ გვცალს გრძლად უბნება ,
ამათ გვაქვს ჩვენ ორთავე სიცოცხლისა მოპოვება “.

დედოფალმა ბრძანა, რომ გლოვა დაემთავრებინათ, დაუკარით, რომ ზეიმი გავიდეს ჩემი კარიდან, თქვენი ოქროს სარტყელები შემოიკარით, იცინეთ და იმღერეთ, ცრემლი არ აწანწკაროთო.

ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა

ინდოეთის დედოფალმა, ნესტანის დედამ ტარიელსა და ნესტანს ხელები ჩასჭიდა და სამეფო ტახტზე დასვა. მოიშორა დარდი, დედის გული გაიმაგრა ქვითკირივით და გლოვა შეცვალა სიხარულად, აღარავინ არ აატირა. მან შავი ძაძა გაიხადა და შეიმოსა დედოფლურად. დიდებულებსაც მხიარული ტანსაცმელი დაუმზადა, ყველა შემოსა, საბოძვარი უძღვნა და ბრძანა: „ჭირი დავივიწყოთ, რადგან ლხინი დაგვებადაო“.

ტახტზე დაბრძანებული ტარიელი და ნესტანი ერთმანეთს შეეფერებოდნენ და ორივეს მზე ვერ სჯობდა, თანაც მათი საწადელი ასრულდა, ინდოეთის შვიდი სამეფო ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა. მათ გახსნეს საჭურჭლეთა კლიტეები. ავთანდილისა და ფრიდონისთვის ორი ტახტი დაამზადეს და ზედ ხელმწიფურად დასვეს.

გაჩაღდა სმა, ჭამა, დიდი პურობა ისე, როგორც ქორწილს შეეფერება. ტარიელი და ნესტანი გლახაკთათვის საჩუქრებსა და საჭურჭლეს ერთ ადგილას აწყობდნენ, დედოფლის ბრძანებით ობლები და ქვრივები მოიყვანეს და დიდი საჩუქრებით აავსეს, დღეგრძელობა უსურვეთ და ღმერთს შეევედრეთო.

ტარიელმა დედოფალს სთხოვა:

„შეიწყალე რამაზ მეფე, მიავალე ღმერთსა შენსა!
ვნახე, მეტად შემებრალნეს, შეუშინდა ხმალსა ჩვენსა,
ღმერთი ალხენს მონანულსა, მოცთომილსა,
ცრემლ-ნადენსა...“

დედოფალმა შეუნდო. რამაზ მეფემ ხელმწიფეებს თაყვანი სცა. ოქრო, თვლები, მარგალიტები ყველგან გორასავით იდო. ვისაც სურვილი ჰქონდა მიდიოდა და ირჩევდა. ავთანდილისა და ფრიდონის თანმხლებლებს მეფემ უთხრა, ნუ გერიდებათ საჩუქრის აღება და თითო კაცს, თითო ჯორი მარგალიტი და სხვა საბოძვარი გაატანა.

ავთანდილისა და ფრიდონისათვის კი საბოძვარს ვინ დაითვლიდა, რაც კი რამ უკეთესი ჰქონდა, დედოფალი მათთვის არ იშურებდა.

ტარიელმა რამაზ მეფესაც მისცა საჩუქარი და უბრძანა, რომ მომავალში გადასახადი უნდა გადაიხადოს, როგორც მას ევალება ისე.

ტარიელმა, ამჟამად მეფემ, ასმათს, რომელიც მისთვის გადამკვდარი იყო, უთხრა:

„რაცა შენ ჰქმენ არ უქმნია არ გამზრდელსა, არცა ზრდილსა;
აწ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდესა, - ერთსა წილსა-
ზედა დაგსვამ, შენი იყოს, გვმსახურობდი ტკბილი ტკბილსა,
ვინცა გწადდეს, ქმრად შეირთე, სამეფოსა უპატრონე;
მუნიდალამცა გვმსახურობდი, თავი შენი დაგვამონე!
ასმათ ფერხნი გარდუკოცნა: შენგან არის ჩემი ღონე,
მონობისა უკეთესი რამც ვიშოვნე, რამც ვიქონე?

ასმათმა მოახსენა: - ხელმწიფეო, მთელი ხმელეთი სრულად რომ მქონდეს, ვერც მაშინ ვერ დაგცილდები, შენი ნათელი მეყოფა, ვერ გავწირავ ჩემს გაწვრთნილს, ვერც სხვაგან წავალ. ტარიელმა კვლავ უბრძანა, კმარა, რაც შენ ჩვენთან ერთად ჭირი ნახე და ჩვენს გამო ცრემლს ჰღვრიდი. სჯობს შემისრულო ჩემი განზრახულიო. ასმათი დამორჩილდა, მოუყვანეს კარგი, გონიერი ყმა. ასმათი მასზე გაათხოვეს და მის ქმარს მეფობის სახელი მისცეს.

ერთ ხანს სამივე ძმობილი ერთად კარგ დროს ატარებდა, თან დაუთვლელი მარგალიტი და საუკეთესო ცხენები უძღვნეს, მაგრამ ავთანდილს სევდა მოერია, ტარიელი მიხვდა, რომ მას ცოლი მოენატრა, ფრიდონმაც უთხრა, წავალ ჩემს სახლში, როცა რამეს მიბრძანებ, შენთან ისე მოვბრუნდები, როგორც ირემი წყაროსთვისო. ავთანდილს კი უთხრა: - უშენოდ ვერ გავიხარებ, მაგრამ რადგან ისწრაფვი, წადი, ლომს მთვარე მოგელისო. ტარიელმა როსტევან მეფისთვის ძღვნად გაატანა ჯუბაჩები (მომცრო ჯუბა), არა კოვზები და ჩამჩები, არამედ თვლებისგან თლილი ჭურჭელი.

ნესტანმა კი თინათინს გაუგზავნა ყაბაჩა, თავსაბური და ერთი თვალი, რომელიც ღამე მზესავით ანათებს და ყველგან ჩანს.

ავთანდილი ტარიელს გამოესალმა, შეჯდა ცხენზე და წავიდა და ორივე დაწვა ცეცხლის ალმა, მთელი ინდოეთი მისტიროდა მას, ის კი ფიქრობდა: „მომკლა მე ამ სოფლის საწამლავმაო“. რამდენიმე დღე ერთად იარეს ავთანდილმა და ფრიდონმა, მერე ერთმანეთს გამოეთხოვნენ და ორივე თავისი გზით წავიდა.

ავთანდილს არაბები გამოეგებნენ, სამეფო დაამშვენა მისმა დაბრუნებამ. მის მზეს ტახტზე გვერდით მიუჯდა, გაიხარეს მნახველებმა და მათი გვირგვინი გაახელმწიფა ღმერთმა.

სამივე ხელმწიფე ერთმანეთს ხშირად სტუმრობდნენ, სამეფოს აფართოვებდნენ და განცხრომით ცხოვრობდნენ. წყალობას ყველას თანასწორად მოათოვდნენ, ისე, როგორც თოვლი. ობლები და ქვრივები გაამდიდრეს, ღარიბები არ მათხოვრობდნენ, ავის მქმნელები დააშინეს და მათი სიბრძნით თხა და მგელი ერთად სძოვდნენ.

დასასრული

გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა,
გარდახდეს, გავლეს სოფელი, - ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!
ვის გრძლათ ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა,
ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა.

ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად[1].
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად.

დავითის ქმნანი ვითა ვთქვნე სიჩალხე-სიხაფენთანი[2]!
ესე ამბავი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი[3], ქებანი მათ მეფეთანი,
ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი[4].

ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი:
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!
რასა ვინ ეძებთ, რას აქნევთ? ბედია მაყივნებელი[5],
ვის არ შეუცვლის, კარგია, ორისავ იყოს მხლებელი.

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია - შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ - სარგის თმოგველსა, მას ენა- დაუშრომელსა,
ტარიელ - მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ - შეუშრობელსა.

---

[1] საკამათებლად - გასართობად
[2] სიჩალხე-სიხაფენთანი - ფხიანობა, შემზარავი ხმა
[3] საქმენი - ყოფაქცევა
[4] ვილაყფეთანი - გავერთეთ
[5] მაყივნებელი - შემარცხვენელი

სარჩევი

მკითხველისათვის 3
დ ა ს ა წ ყ ი ს ი 4
არაბთა მეფის - როსტევანის ამბავი.....10
როსტევან მეფისა და ავთანდილის ნადირობა და
უცხო მოყმის ნახვა 13
თინათინმა ავთანდილი გააგზავნა იმ ყმის მოსაძებნად
და ავთანდილის წერილი თავის ქვეშევრდომებისადმი 15
ავთანდილის წასვლა ყმის საძებნელად და
გამოქვაბულში ასმათისადმი ნაამბობი 17
ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრა.....20
ტარიელი ავთანდილს უყვება თავის ამბავს.....22
ტარიელის გამიჯნურების ამბავი.....24
ნესტან-დარეჯანის წერილი ტარიელისადმი
და ტარიელის პასუხი 27
ტარიელის წერილი ხატაელებისადმი და მათი პასუხი.....28
ტარიელისა და ნესტანის პირისპირ შეხვედრა.....29
ტარიელის წასვლა ხატაეთს და დიდი ომი 30
ტარიელის წერილი ინდოეთის მეფისადმი და
გამარჯვებით დაბრუნება 33
ნესტან-დარეჯანის წერილი ტარიელისადმი
და პასუხი ნესტანს 35
ნესტან-დარეჯანის გათხოვების შესახებ რჩევა.....36
ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი

და ნესტანის რჩევა 37
ხვარაზმშის შვილის ინდოეთს მოსვლა
და ტარიელი მას ჰკლავს.....38
ტარიელმა გაიგო ნესტანის დაკარგვის ამბავი 39
ნურადინ ფრიდონის ამბავი, როცა ის ტარიელს
შეხვდა და ტარიელმა უშველა ფრიდონს 40
ფრიდონი ნესტანის ამბავს ჰყვება.....42
ავთანდილის ამბავი არაბეთში წასვლისას 43
ავთანდილი ეთხოვება როსტევან მეფეს
და ვეზირის საუბარი მეფესთან 44
ავთანდილის საუბარი შერმადინთან
და ავთანდილის ანდერძი 45
როსტევან მეფემ გაიგო ავთანდილის გაპარვა 48
ავთანდილი წავიდა ტარიელთან მეორედ
შესახვედრად და იპოვნა იგი გულწასული 49
ტარიელი და ავთანდილი გამოქვაბულში მიდიან
ასმათის სანახავად 53
ავთანდილის წასვლა ფრიდონთან და მასთან სტუმრობა.....55
ავთანდილის წასვლა ნესტანის საძებნელად
და ქარავანთან შეხვედრა.....59
ავთანდილის გულანშაროში მისვლის ამბავი 61
ფატმან ხათუნს ავთანდილი შეუყვარდა
ფატმანის სამიჯნურო წერილი ავთანდილისადმი.....62
ფატმანი ნესტანის ამბავს უყვება ავთანდილს 65
ნესტან-დარეჯანის ქაჯების მიერ შეპყრობის ამბავს
ფატმანი უამბობს ავთანდილს 71
ფატმანის წერილი ნესტან-დარეჯანთან

და ნესტანის პასუხი 75
ნესტან-დარეჯანის წერილი ტარიელისადმი.....77
ავთანდილის წერილი ფრიდონისადმი.....79
ავთანდილის წასვლა გულანშაროს და ტარიელთან
შეხვედრა 80
ტარიელისა და ავთანდილის წასვლა ფრიდონთან 82
ნურადინ ფრიდონისა და ავთანდილის რჩევა.....84
ტარიელის რჩევა, ქაჯეთის ციხის აღება და
ნესტანის განთავისუფლება.....85
ტარიელის მისვლა ზღვათა მეფესთან.....87
ფრიდონის მიერ ნესტან-დარეჯანისა და
ტარიელის ქორწილის გადახდა 89
ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი მივიდნენ
გამოქვაბულში ასმათთან და არაბეთს გამგზავრება.....91
ავთანდილისა და თინათინის ქორწილი
არაბთა მეფისაგან.....94
ტარიელმა ინდოეთის მეფის სიკვდილი შეიტყო 96
ტარიელი ინდოეთს მივიდა და ხატაელები დაიმორჩილა 98
ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა 101
დასასრული 104
სარჩევი 105

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71

www.mtsignobari.ge

ISBN 978-9941-503-22-1